# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ შუალედური ანგარიშის პროექტი

| N | რეკომენდაცია | რეკომენდატორი ქვეყანა | 2015-2016 წლებში საქართველოს მიერ წარდგენილი პოზიცია | განახლებული ინფორმაცია 2018 წ | პასუხისმგებელი უწყება/უწყებები |
|---|---|---|---|---|---|
| **116.1-116.3** | მოახდინოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის, ასევე კომუნიკაციების პროცედურის შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება **(Ratify the Optional Protocol to the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, as well as the Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on a communications procedure)** | პორტუგალია<br>ურუგვაი | | ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებით ოქმს „შეტყობინების პროცედურების შესახებ" საქართველო შეუერთდა პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის დადგენილებით. ამასთან, აღნიშნული ოქმი საქართველოსთვის ძალაშია 2016 წლის 19 დეკემბრიდან.<br><br>რაც შეეხება „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის" რატიფიცირებას, მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები ინიცირებულია და მიმდინარეობს საკითხის განხილვა კომპეტენტური უწყებების ჩართულობით. | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |
| **116.2-116.5-116.6-116.7-** | მოახდინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა | ესპანეთი<br>პანამა<br>საფრანგეთი<br>მონტენეგრო | | აღნიშნულ კონვენციებთან დაკავშირებით მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და საკითხი განხილვის | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **116.8-<br>116.9-<br>116.10-<br>116.11-<br>116.12-<br>116.13-<br>116.14** | უფლებების შესახებ კონვენციის ფაკულტატური ოქმის, იძულებით გაუჩინარებისაგან პირთა დაცვის შესახებ კონვენციისა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება **(Ratify the Optional Protocol to the Convention on the Rights of Persons with Disabilities, the International Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance and the Optional Protocol to the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights)** | სიერა ლეონე<br>არგენტინა<br>სლოვაკეთი<br>იაპონია<br>სლოვენია<br>ავსტრია<br>თურქეთი | | ეტაპზეა კომპეტენტური უწყებების მონაწილეობით. | |
| **116.4** | მოახდინოს „შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ" კონვენციის რატიფიცირება **(Ratify the International Convention on the Protection of the Rights of All Migrant Workers and** | ჰონდურასი | | „შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ" კონვენციის რატიფიცირებასთან დაკავშირებით შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები მიმდინარეობს და საკითხი განიხილება კომპეტენტური უწყებების მონაწილეობით. | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **Members of their Families)** | | | | |
| **116.15-116.16-116.17** | მოახდინოს ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის რატიფიცირება **(Ratify the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence)** | განა იტალია თურქეთი | | „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენცია რატიფიცირებულ იქნა პარლამენტის 2017 წლის 5 აპრილის დადგენილებით. ამასთან, ხსენებული კონვენცია საქართველოსთვის ძალაშია 2017 წლის 1 სექტემბერიდან. | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |
| **116.18** | გააღრმაოს თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა საბჭოსთან და მის მექანიზმებთან **(Further strengthen cooperation with the Human Rights Council and its mechanism)** | მიანმარი | | 2015 წელს, საქართველო არჩეულ იქნა გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად 2016-2018 წლების ვადით.<br><br>საქართველოს ინიცირებით, საბჭოს 34-ე და 37-ე სესიების ფარგლებში (დღის წესრიგის 10 საკითხი) მიღებულ იქნა რეზოლუცია - „თანამშრომლობა საქართველოსთან", რომელიც მიესალმება საქართველოს თანამშრომლობას ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან და შესაბამის მექანიზმებთან. საბჭოს 34-ე სესიაზე მიღებული რეზოლუციის შესაბამასიდ, 36-ე სესიაზე უმაღლესმა კომისარმა წარადგინა ანგარიში. ანგარიშში, ოფისი მიესალმება საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის გაგრძელებას და მთავრობის ნებას, გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა არსებული სისტემა. მთავრობის მცდელობები, | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დაახლოვოს ეროვნული კანონმდებლობა და სტანდარტები საერთაშორისო სტანდარტებს, ნათლად ადასტურებს, რომ არსებობს ნება, შესრულდეს არსებული ვალდებულებები.<br><br>იხ. ასევე ინფორმაცია 116.19 რეკომენდაციის კონტექსტში. | |
| **116.19** | განაგრძოს კონსტრუქციული თანამშრომლობა ადამიანის უფლებების უნივერსალურ მექანიზმებთან და დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან **(Continue cooperating constructively with the universal human rights mechanisms and continue the practice of cooperation and dialogue with civil society)** | ტაჯიკეთი | | საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან და გაერო-ს სპეციალური მანდატის მფლობელებთან თანამშრომლობას. გასულ წლებში საქართველოში განხორციელებული ვიზიტები:<br><br>• 2016 წლის 15-19 თებერვალი, ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების საკითხებზე გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი, დუბრავკა სიმონოვიჩი.<br>• 2016 წლის 11-18 აპრილი, ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებზე გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი, მოდ დე ბურ-ბუკიკიო.<br>• 2016 წლის 24-29 სექტემბერი, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითებზე გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი, ჩალოკა ბეიანი.<br>• 2017 წლის 28-29 ნოემბერი, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის (OHCHR) საველე ოპერაციებისა და ტექნიკური თანამშრომლობის სამმართველოს დირექტორი, ჟორჟეტ განიონი. | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი)<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | • 2018 წლის 12-22 მარტი, ხანდაზმულთა უფლებების საკითხებზე გაერო-ს დამოუკიდებელი ექსპერტი, როზა კორნფელდ-მატე.<br><br>საქართველოს ხელისუფლება ასევე აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო სექტორთან სხვადასხვა ფორმატში, ადამიანის უფლებათა უკეთესი სტანდარტების დამკვიდრების მიზნით ქვეყნის შიგნით. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმები, რომლებსაც საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020) აღსრულების მიზნით ყოველ ორ წელიწადში ამტკიცებს მთავრობა, როგორც წესი მზადდება ინკლუზიური პროცესის შედეგად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით. ანალოგიურად, ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით სხვადასხვა სექტორული გეგმები, ასევე მზადდება არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით.<br><br>აღსანიშნავია ასევე, რომ გაეროს ადამიანის სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ორგანიზაციების წინაშე სახელმწიფო ანგარიშების მომზადებისას, ასევე კონსულტაციები მიმდინარეობს არასამთავრობო სექტორთან მათი მოსაზრებების გაზიარების მიზნით. | |
| **116.20-116.21-116.22** | განაგრძოს და გააძლიეროს თანამშრომლობა საერთაშორისო | ლიტვა<br>უკრაინა<br>მოლდოვას რესპუბლიკა | | საქართველო პერმანენტულად აყენებდა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ რთულ მდგომარეობას. განსაკუთრებულ | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | საზოგადოებასთან, რათა უზრუნველყოს აფხაზეთში, საქართველო, და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, საქართველო, ადამიანის უფლებების საერთაშორისო მექანიზმებისა და ჰუმანიტარული ორგანიზაციებისა და საზედამხედველო მექანიზმების წვდომა, მოახდინოს რეაგირება, მონიტორინგი და ანგარიშგება იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე **(Continue and intensify cooperation with the international community in order to ensure access of international human rights and humanitarian actors and monitoring mechanisms to Abkhazia, Georgia, and Tskhinvali region/South Ossetia, Georgia, to monitor, report and address the human rights situation of internally displaced persons)** | | | აქცენტს აკეთებდა სიცოცხლის უკანონოდ ხელყოფის ფაქტებზე (კერძოდ, ა.ტატუნაშვილის, გ.ოთხოზორიასა და დ.ბაშარულის მკვლელობებზე), თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვაზე, უკანონო დაკავებებსა და გატაცებებზე, საკუთრების უფლების შელახვაზე (მათ შორის, დევნილთა კუთვნილი სახლების მიზანმიმართულ განადგურებასა და საკუთარ მიწის ნაკვეთებზე წვდომის შეზღუდვაზე), იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების უფლების უგულებელყოფაზე, ეთნიკური დისკრიმინაციის გააქტიურებასა და ოკუპირებულ რეგიონებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვაზე.<br><br>აღნიშნულ საკითხებზე საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ რეგულარულად კეთდებოდა საჯარო განცხადებები და კომენტარები.<br><br>მომზადდა და გამოქვეყნდა კვარტალური ანგარიშები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, სადაც დეტალურად იქნა წარმოჩენილი ადგილზე არსებული მძიმე ვითარება, რუსეთის, როგორც ეფექტური კონტროლის განმახორციელებლის, პასუხისმგებლობა და ადამიანის უფებათა საერთაშორისო მექანიზმების წვდომის აუცილებლობდა აფხაზეთისა და ცხნივალის რეგიონებზე.<br><br>ყველა შესაბამის შეხვედრასა და საჯარო გამოსვლაში, ორმხრივ თუ მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში, საგარეო საქმეთა | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სამინისტროს ხელძღვანელობის მხრიდან პრემანენტულად ესმებოდა ხაზი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას, რუსეთის პასუხისმგებლობასა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებისა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების წვდომის აუცილებლობას.<br><br>2016 წლიდან 2018 წლის აპრილის ჩათვლით გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 35-ე, 36-ე, 37-ე, 38-ე. 39-ე, მე-40, 41-ე, 42-ე და 43-ე რაუნდები. ყველა მათგანზე ორივე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხილვის ერთ-ერთ მთავარ ტემას წარმაოდგენდა აფხაზეთისა და ცხინვალსი რეგიონებში, ისევე როგორც საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული რთული ვითარება, ფუნდამენტური უფლებების (სიცოცხლის, გადაადგილების თავისუფლების, საკუთრების, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლებების) უხეში დარღვევა და ეთნიკური ქართველების დისკრიმინაცია. საქართველო აყენებდა საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის პრაქტიკის შეცვლისა და ე.წ. გადასასვლელი პუნქტების გახსნის აუცილებლობას. ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნება. საქართველო, მონაწილეები აშშ-დან და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებიმუდმივად აყენებდნენ აღნიშნული საკითხის საგნობრივი განხილვის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | აუცილებლობას. საქართველო მუდმივად უსვამდა ხაზს, რომ რუსეთის ფედერაცია ზღუდავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებისა და ჰუმანტიარული ორგანიზაციების წვდომას ოკუპირებულ რეგიონებში და ხაზს უსვამდა აღნიშნული უკანონო პრაქტიკის შეცვლის აუცილებლობას.<br><br>საქართველოს ინიცირებით, საბჭოს 34-ე და 37-ე სესიების ფარგლებში (დღის წესრიგის 10 საკითხი) მიღებულ იქნა რეზოლუცია - „თანამშრომლობა საქართველოსთან“, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება ადგილზე კონტროლის განმახორციელებელი პირების მხრიდან აფხაზეთში, საქართველო და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი, საქართველო რეგიონული და საერთაშორისო დამკვირვებლების, მათ შორის გაერო-ს შესაბამისი მექანიზმების არდაშვებასთან დაკავშირებით. რეზოლუციაში არის მოწოდება გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის და ადამიანის უფლებათა რეგიონულ და საერთაშორისო მექანიზმებს მიეცეთ აღნიშნულ ტერიტორიებზე შეღწევის საშუალება.<br><br>საბჭოს 34-ე სესიაზე მიღებული რეზოლუციის შესაბამასიდ, 36-ე სესიაზე უმაღლესმა კომისარმა წარადგინა ანგარიში. დოკუმენტში გამოთქმულია მწუხარება, რომ მის ოფისს არ მიეცა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შეღწევის საშუალება, კონტროლის განმახორციელებელთა უარის გამო. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ანგარიშში აღნიშნულია, რომ შეღწევის არარსებობა ბადებს ლეგიტიმურ კითხვებს იქ მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.<br><br>საანგარიშო პერიოდში (2016 და 2017 წლებში), გაერო-ს გენერალური ასამბლეამ მიიღო საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის" შესახებ.<br><br>რეზოლუციაში განმტკიცებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლება დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად. ასევე, ყურადღება არის გამახვილებული ამ პირთა საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელობაზე. რეზოლუციის შესაბამისად, 2016, 2017 და 2018 წლებში (იგეგმება მაისის შუა რიცხვებში) გაერო-ს გენერალურმა მდივანმა მოამზადა ანგარიში. | |
| 116.23 | ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტსა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტს წარუდგინოს დაგვიანებული ანგარიშები (**Submit its overdue report to the Committee on Economic, Social and Cultural Rights** | სიერა ლეონე | | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით, ინტენსიურად მიმდინარეობს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის შესრულებაზე მე-3 პერიოდული ანგარიშისა და წამების და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის შესრულების მე-4 და მე-5 პერიოდული ანგარიშის პროექტების მომზადება. ანგარიშის ჯეროვნად შემუშავების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და გაერო-ს | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **and the Committee against Torture)** | | | ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით მხარდაჭერით გაიმართა სპეციალური სემინარი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის განსაზღვრული სტანდარტების შესახებ, სადაც მონაწილეობა მიიღო ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართულმა ყველა უწყებამ. | |
| 117.1 | მოახდინოს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება **(Ratify the Second Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights, aiming at the abolition of the death penalty)** | ურუგვაი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის სიკვდილით დასჯის გაუქმებისადმი მიმართულ მერე ფაკულტატურ ოქმს" საქართველო შეუერთდა პარლამენტის 1999 წლის 2 მარტის დადგენილებით. | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |
| 117.2<br>117.3<br>117.4 | განიხილოს „შრომითი მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირების საკითხი **(Consider ratifying the International Convention on the Protection of the Rights of** | ეგვიპტე<br>ინდონეზია<br>მექსიკა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 116.4 რეკომენდაცია.* | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **All Migrant Workers and Members of their Families)** | | | | |
| 117.5 | მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის დებულებებთან და მოახდინოს მისი ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება **(Take concrete steps to harmonize its national legislation with the Convention on the Rights of Persons with Disabilities and to ratify its Optional Protocol)** | უნგრეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილია უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობაშიც მონაწილეობენ სახელმწიფო დაწესებულებების, ა(ა)იპ „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ (რომელიც შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არაერთ ორგანიზაციას აერთიანებს), აგრეთვე შესაბამისი პროფილის ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კოალიციისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც რამდენჯერმე იქნა განხილული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. ამავე კანონპროექტზე UNDP-ს ეთხოვა ჯგუფისათვის დახმარების გაწევა საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით ფინანსური გაანმგარიშების დოკუმენტის მოსამზადებლად.<br><br>ამჟამად იუსტიციის სამინისტროში მიმდინარეობს კანონპროექტის ირგვლივ შემოსული შენიშვნების/მოსაზრებების გაანალიზება. ამასთან, თითოეული უწყება მუშაობს ფინანსური გაანგარიშების იმ ნაწილის მომზადებაზე, რასაც შესაბამისი უწყებისათვის გამოიწვევს კანონპროექტის სრული მოცულობით ამოქმედება. გარდა ამისა, იგეგმება სხვა დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და ერთობლივი | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ცვლილებათა პაკეტის მომზადება კონვენციის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით.<br><br>რაც შეეხება ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებას, საკითხი ინიცირებულია და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით შესაბამისი უწყებების მონაწილეობით. | |
| 117.6 | გადადგას ქმედითი და კოორდინირებული ნაბიჯები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, მათ შორის, მოახდინოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება **(Take effective and coordinated measures on the issue of violence against women and domestic violence, including ratification of the Istanbul Convention on preventing and combating violence against women and domestic violence)** | ნიდერლანდები | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს პარლამენტმა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება მოახდინა 2017 წლის 5 აპრილს, ხოლო კონვენცია საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან. ამასთან, სტამბოლის კონვენციის სტანდარტების ეროვნულ კანონმდებლობაში სრული იმპლემენტაციისა და კონვენციის სარატიფიკაციო პროცედურების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოამზადა ცვლილებათა პროექტები 25-მდე საკანონმდებლო აქტში:<br><br>*1. სისხლის სამართლის კოდექსი;*<br>*2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;*<br>*3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;*<br>*4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;*<br>*5. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;*<br>*6.ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;* | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 7. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ;<br>8. შრომის კოდექსი;<br>9. საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ;<br>10. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;<br>11. პაციენტის უფლებების შესახებ კანონი;<br>12. პატიმრობის კოდექსი;<br>13. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ;<br>14. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ;<br>15. საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ;<br>16. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი;<br>17. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;<br>18. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;<br>19. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;<br>20. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი;<br>21. პოლიციის შესახებსაქართველო კანონი;<br>22. იარაღის შესახებ საქართველოს კანონი;<br>23. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შედეგად, ცვლილებები შევიდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც გაფართოვდა აღნიშნული კანონის მოქმედების სფერო და იგი გავრცელდა არა მარტო ოჯახის ფარგლებში, არამედ, ზოგადად, ქალის მიმართ გამოვლენილ ძალადობის შემთხვევებზეც.<br><br>შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება შესაძლებელი გახდა ქალის მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის ყველა შემთხვევაში, ამასთან, გაუქმდა პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის ძალაში შესვლისათვის მისი სასამართლოში წარდგენის ვალდებულება.<br><br>ცვლილებებმა დაამკვიდრა ახალი მიდგომები მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის კუთხითაც. იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლებით, 30-დღიანი შვებულებითა და თავშესაფრით ისარგებლებს ოჯახის მიღმა ძალადობის მსხვერპლი ქალიც; ხოლო თუ ძალადობის მსხვერპლი ქალი უცხოელია, დაუშვებელია სამართალწარმოების დასრულებამდე მისი გაძევება საქართველოდან. ძალადობის მსხვერპლი ქალის მიმართ შესაძლებელია, გაიცეს დროებითი ბინადრობის ნებართვა.<br><br>„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს“ დაემატა ახალი $133^2$-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ქალთა გენიტალიების დასახიჩრების კრიმინალიზაციას. დანაშაულად გამოცხადდა, ასევე, ადევნება, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელის სახით ორ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იძულებითი სტერილიზაციისათვის შესაბამისი დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად.<br><br>ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებებით გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელთაც შეუძლიათ, სამართალდამცველებს მიაწოდონ ინფორმაცია ძალადობის ფაქტების შესახებ. იმ პირებს, რომლებსაც, ზოგადად, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალობის დაცვა ევალებათ (ექიმები, მასწავლებლები, ადვოკატები), ეს ვალდებულება არ დაეკისრებათ საგამონაკლისო შემთხვევებში; კერძოდ, მათ შეეძლებათ, კომპეტენტურ ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო შემთხვევის თაობაზე, თუკი არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.<br><br>საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ასევე, გაფართოვდა ოჯახში ძალადობის თემაზე მომუშავე უწყებათაშორისო კომისიის მოქმედების სფერო და მოიცვა როგორც ოჯახში ძალადობის, ისე ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული თანასწორობის საკითხები. საგულისხმოა, რომ 2017 წლის 12 ივნისს, საქართველოს მთავრობის №286 დადგენილებით პირველად აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია. კომისიას თანათავმჯდომარეობს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე. უწყებათაშორისი კომისიის ფუნქციას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გენდერული მეინსტრიმინგის წახალისება. ამავე დროს, ის ასრულებს სტამბოლის კონვენციის მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს როლს.<br><br>საკანონმდებლო ცვლილებების მიზანია ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა, ქალთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირება და ძალადობის მსხვერპლი ქალების სამართლებრივი დაცვისსაშუალებების გაფართოება.<br><br>საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყებისა და ამ თემაზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებთანაც ჩატარდა არაერთი საკონსულტაციო შეხვედრა. საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები დაინტერესებულ მხარეთა მიერ წარმოდგენილი შემოთავაზებებისა და შენიშვნების მიხედვით გადაიხედა და დაიხვეწა შესაბამისი რეკომენდაციების ცვლილებათა პაკეტის საბოლოო ვერსიაში ასახვის გზით. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | არაერთი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების თაობაზე სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, მათ შორის სტუდენტებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვ.<br><br>საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 ივნისიდან.<br><br>ამასთან აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საკანონმდებლო ბაზის გაძლიერების მიზნით 2018 წლის 6 მარტს საქართველოს მთავრობამ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხზე კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დაამტკიცა.<br><br>მოძალადის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემასა და იარაღთან დაკავშირებული შეზღუდვების დაწესებაში ოჯახში ძალადობის მსხვერპლის უფლებები იზრდება.<br><br>ცვლილებათა მიზანი ოჯახში ძალადობის უფრო ეფექტური პრევენცია, მსხვერპლთა უფლებების კიდევ უფრო მაღალი ხარისხით დაცვა და შესაძლო დანაშაულის შედეგების თავიდან აცილებაა. საერთაშორისო გამოცდილებით, მოძალადისთვის იარაღთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი და ფართოდ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გავრცელებული პრაქტიკაა მსგავსი დანაშაულის პრევენციისათვის.<br><br>ახალი რეგულაციებით, სისხლის სამართლის კოდექსში შედის ცვლილებები და ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულებისთვის დამატებით სასჯელად განისაზღვრება იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა. ამასთან, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის დამატებით სასჯელად დანიშვნისას არ არის აუცილებელი, იარაღი წარმოადგენდეს დანაშაულის საგანს ან დანაშაულის ჩასადენად იყოს გამიზნული. სასამართლო, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, გადაწყვეტს, სასჯელის სახით გამოიყენოს თუ არა იარაღთან დაკავშირებული შეზღუდვის საკითხი.<br><br>ცვლილებების მიხედვით, იზრდება პოლიციელის უფლებამოსილება და განისაზღვრება ის ძალადობრივი ხასიათის დანაშაულები, რომლებზეც შემაკავებელი ორდერის გამოცემა და იარაღთან დაკავშირებული შეზღუდვების დაწესება პოლიციელისთვის სავალდებულო იქნება. დანარჩენ შემთხვევაში კი მსხვერპლს ექნება უფლება იმისა, რომ პოლიციელს მოსთხოვოს შემაკავებელი ორდერის გამოცემა.<br><br>ცვლილებები შედის ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც ხდება ხაზგასმა, რომ თუ პირის მიმართ დევნა დაწყებული იქნება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით, | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან ერთად პრიორიტეტულად განიხილავს ბრალდებულისთვის იარაღის ჩამორთმევის ვალდებულების ან/და გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვის დაკისრების საკითხს.<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.<br><br>ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციულ ღონისძიებებში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით იუსტიციის სამინისტრომ 2015 წელს საგრანტო კონკურსის ფარგლებში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გასცა გრანტი 15000 ლარის ოდენობით. გრანტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განახორციელა საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თაობაზე არსებულ და ხელმისაწვდომ სახელმწიფო მექანიზმებზე. საგრანტო კონკურსის ფარგლებში მომზადდა 5000 საინფორმაციო ბროშურა (ქართულ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე).<br><br>ამასთან, 2017 წლის თებერვლიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დაიწყო საინფორმაციო კამპანია სახელწოდებით „იმოქმედე“. სოციალური კამპანიის მიზანია მოსახლეობის ინფორმირება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე არსებულ საკანონმდებლო/ინსტიტუციურ მექანიზმებზე და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების გააქტიურება. კამპანიის ფარგლებში საქართველოს მოსახლეობისთვის ჩატარდა ტრენინგები (78 ჯგუფი, 886 მონაწილე), დამზადდა სამი ვიდეორგოლი, პოსტერების შემქნის მიზნით გამოცხადდა კონკურსი და შეიქმნა ონლაინ პლატფორმა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ - http://imoqmede.ge/. ვებგვერდზე განთავსებულია ანონიმური წერილის ფორმა, რომლის საშუალებითაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლსა თუ ძალადობის თვითმხილველს შესაძლებლობა აქვს, პრობლემის შესახებ აცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.<br><br>სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ტრენერების[1] რესურსით მომზადდა სპეციალური 3 საათიანი პროგრამა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივ საშუალებებზე. 2017 წლის 13 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით საპილოტო რეჟიმში გამოიცადა აღნიშნული პროგრამა 9 ჯგუფთან ჩატარებული უფასო ტრენინგების ფარგლებში. აღნიშნულ ტრენინგებს დაესწრო ჯამში 98 | |

[1] სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ფარგლებში, რომელიც ფუნქციონირებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე და მასში ტრენერებად წარმოდგენილნი არიან იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მონაწილე (80 ქალი; 18 კაცი). ტრენინგზე უფასოდ დასწრების შესაძლებლობა ჰქონდა 14 წლის ასაკიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.<br><br>ტრენინგები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში ტარდებოდა ორ ენაზე (ქართულად და ეთნიკური უმცირესობის შესაბამის ენაზე), სომეხი და აზერბაიჯანელი ტრენერების თანამონაწილეობით, შესაბამის ენაზე ნათარგმნი სასწავლო მასალის გამოყენებით. აღნიშნული მიდგომით/ფორმატით ტრენინგები ჩატარდა ახალციხეში, კუმურდოში, ზარალეთში, ფოკაში, მარნეულში, კაბალში, იორმუღანლოსა და სადახლოში (ჯამში 97 მონაწილე).<br><br>ამასთან, დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ივნისი/ივლისის თვეში გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია - ქალთა საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით გურიისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის (მაღალი რანგის თანამდებობის პირებისთვის-გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები, შესაბამისი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები), ასევე, სამართალდამცავი ორგანოს და სხვა სერვისის მიმწოდებელი უწყების წარმომადგენელებისთვის გაიმართა 2 დღიანი (13 სთ) გასვლით ტრენინგი თემაზე: „გენდერული თანასწორობის და ქალთა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიმართ ძალადობის საკითხები ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის“. ტრენინგი ჩატარდა კახეთში, სოფელ ნაფარეულში და აჭარაში, ქ. ქობულეთში, ჯამში 4 ჯგუფისთვის, რომელსაც ესწრებოდა სულ 66 მონაწილე (40 ქალი/26 კაცი).<br><br>აღნიშნულმა ღონისძიებამ მოიცვა ქვემო ქართლის და გურიის ყველა, ათივე, მუნიციპალიტეტი (ქვემო ქართლი - 7; გურია- 3). ჯამში გადამზადდა 66 პირი.<br><br>2017 წლის 29 ნოემბერს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ინიციატივით, მაცნეს კლუბის წევრებთან (სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან) შედგა ორსაათიანი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ ტრენერმა მონაწილეებს გააცნო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეები. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა 21 მონაწილე.<br><br>*იხ. ასევე რეკომენდაცია 117.38 და 117.39.* | |
| 117.7 | ანტიდისკრიმინაციულ ი კანონმდებლობისა და მისი აღსრულების მექანიზმის გაძლიერების, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მიერ თანასწორობის პრინციპისა და | აშშ | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ამ მიმართულებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.<br><br>2018 წლის იანვარში, შს მინისტრის ბრძანებით, სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც კომპეტენციის ფარგლები განახორციელებს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის | საქართელოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს მთავრობის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | საპროცესო უფლებების დაცვის გზით კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოს ყველა მოქალაქის უფლებების დაცვა **(Increase respect for the rights of all citizens by strengthening anti-discrimination legislation and enforcement mechanisms and ensuring law enforcement provides universal equal treatment and due process)** | | | პრევენციისა და მის წინაამდეგ ბრძოლის არსებული მეთოდების შესწავლას, შესრულების მონიტორინგს, ხოლო მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შეისწავლის საუკეთესო პრაქტიკას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. | ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 117.8 | გააუმჯობესოს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი და შესაბამისობაში მოიყვანოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონთან და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დებულებებთან **(Improve the Law on Gender Equality to be in line with its Law on the Elimination of All Forms of Discrimination and the Convention on the** | რუანდა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა (2018-2020 წ.) ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის გადახედვას. 2017 წელს, საბჭომ ჩაატარა კვლევა „გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები", რომლის საფუძველზეც გამოვლინდა გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის კონკრეტული ხარვეზები და გამოიკვეთა მის გასაუმჯობესებლად საჭირო კონკრეტული რეკომენდაციები.<br><br>*დამატებითი ინფორმაციის სახით იხ. 117.6 რეკომენდაცია.* | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **Elimination of All Forms of Discrimination against Women)** | | | | |
| 117.9 | გაატაროს აქტიური ღონისძიებები დისკრიმინაციისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და გააუმჯობესოს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი, რათა შესაბამისობაში მოიყვანოს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დებულებებთან **(Take active measures to combat discrimination and violence against women and improve its Law on Gender Equality in order to align it with the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women)** | ნამიბია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.6 რეკომენდაცია.* | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო<br><br>საქართველოს პროკურატურა |
| 117.10 | გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი შესაბამისობაში მოიყვანოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის | ალბანეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | იხ. 117.8. რეკომენდაციის პასუხი.<br><br>*დამატებითი ინფორმაციის სახით იხ. 117.6 რეკომენდაცია.* | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | შესახებ კანონთან, და ებრძოლოს საზოგადოებაში არსებულ პატრიარქალურ დამოკიდებულებასა და ქალისა და მამაკაცის როლის/მოვალეობების შესახებ სტერეოტიპებს **(Bring into line the Law on Gender Equality with the Law on the Elimination of All Forms of Discrimination, combating the patriarchal attitudes and stereotypes on the roles and responsibilities of women and men)** | | | სახელმწიფო უწყებათა მხრიდან აქტიურად იმართება თემატური საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან, ასევე კამპანიები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ასევე საზოგადოებაში არსებულ პატრიარქალურ დამოკიდებულებასა და ქალისა და მამაკაცის როლის/მოვალეობების შესახებ სტერეოტიპებთან საბრძოლველად. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვიანობის მაჩვენებელი.<br><br>***მათ შორის აღსანიშნავია:***<br><br>**იუსტიციის სამინისტროს** საინფორმაციო კამპანია სლოგანით **„იმოქმედე“**, რომელიც 2017 წლის თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. კამპანიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ინფორმირება და მათი გააქტიურება ძალადობის წინააღმდეგ;<br><br>• კამპანიის ფარგლებში, ამოქმედდა საიტი - http://imoqmede.ge/, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ კამპანიაში მოსახლეობის ჩართვას აადვილებს და **ანონიმური წერილის ფორმის** საშუალებით ძალადობის მსხვერპლსა თუ ძალადობის თვითმხილველს შესაძლებლობას აძლევს, პრობლემის შესახებ აცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.<br>• სოციალური კამპანიის ფარგლებში, იუსტიციის სასწავლო ცენტრში | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შემუშავებული სპეციალური სატრენინგო მოდულით უფასო **ტრენინგები** განხორციელდა საქართველოს მასშტაბით არსებულ იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში. ტრენინგები ჩაუტარდა 78 ჯგუფს, სულ 886 მონაწილეს;<br><br>**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს** პროექტი "შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში," და სოციალურ კამპანია **"ძალადობას".**<br>• სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად, კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით პროექტის ფარგლებში პერიოდულად იმართებოდა შეხვედრები რეგიონებში სხვადასხვა სამთავრობო უწყებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმოამდგენლებთან;<br>• პროექტის ფარგლებში დამზადდა და ფუნქციონირებს საინფორმაციო რუკები, რომელთა ნახვა შესაძლებელია შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე - http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba;<br><br>**საქართველოს პროკურატურის** მიერ ორგანიზებული პროექტები - **"ადგილობრივი საბჭო"** და **"საზოგადოებრივი პროკურატურა",** რომელთა ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულის პრევენციისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით 2016-2017 წლებში ღონისძიებები ჩატარდა საქართველოს ყველა რეგიონში.<br>• „ადგილობრივი საბჭოს" ფარგლებში ჩატარდა 26 შეხვედრა (748 მონაწილე); | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | • „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში ჩატარდა 151 შეხვედრა ( 7600-მდე მონაწილე);<br><br>**სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის** საინფორმაციო კამპანია სლოგანით **"აიხილე თვალები"** რომელიც 2017 წლის ნოემბრიდან დაიწყო და 2018 წელსაც გაგრძლედება. კამპანიის ძირითად მიზანს წამოადგენს მოსახლეობის ინფორმირება ძალადობისგან დაცვის ეროვნული ცხელი ხაზის (116-006) შესახებ.<br>• კამპანიის ფარგლებში ამოქმედდა საიტი- www.sheachere.ge, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი საკუთარი ქმდებით გამოცდის, თუ როგორ შეიძლება ძალადობის შეჩერება. ვებ კამერისა და თვალების მოძრაობის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენებით, საიტი აჩერებს ან აგრძელებს ოჯახში ძალადობის ამსახველ სცენას;<br>• კამპანიის ფარგლებში შეიქმნა ვიდეო რგოლები და გარე სარეკლამო მასალები. | |
| 117.11 | ქალთა თანასწორობის მისაღწევად ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ზომების გატარების გზით განაგრძოს მუშაობა, კერძოდ, უზრუნველყოს ქალებისათვის | მექსიკა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2014 წლის 27 ივნისის „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ასოცირების დანართი XXX-ით განსაზღვრული დირექტივების საფუძველზე მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებები (საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“; საქართველოს კანონში | საქართელოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობა; განავითაროს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობები **(Continue efforts towards the adoption of administrative and legislative measures to achieve equality of women, in particular to ensure their access to social and health services in all areas of Georgia and provide the same work and pay opportunities to men and women)** | | | „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ"; საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ"; საქართველოს კანონში „გენდერული თანასწორობის შესახებ"), რომელიც პარლამენტს წარედგინა 2017 წლის დეკემბერში. ცვლილებები ეხება პირთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, უზრუნველყოფს დისკრიმინაციის აკრძალვას ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების, მათ შორის, ფინანსური მომსახურების მიწოდების და ხელმისაწვდომობის დროს სქესის ნიშნით და სხვ.<br><br>მზადდება ცვლილებები, რომელიც შეეხება ადგილზე ორსული, მშობიარე და მეძუძური დასაქმებულების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გასაუმჯობესებლად ზომების გატარებას და დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის საკითხებში კაცისა და ქალისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის და მათდამი თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფას.<br><br>2017 წელს დამტკიცდა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია, რომელიც მომავალი 14 წლის განმავლობაში განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას როგორც დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის, ასევე, ოჯახის დაგეგმვის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით. | ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2017 წლიდან საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფს, რომელიც მუშაობს შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებზე. სამუშაო ჯგუფი შედგება არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და ერთ-ერთი პრიორიტეტია თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების საკითხი. ამავე დროს, საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საქართველოსთვის PAY GAP-ის გამოთვლის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვას სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან ერთად. | |
| 117.12 | გააძლიეროს, *inter alia*, დასაქმების სფეროში, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების საკითხზე არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა **(Strengthen existing law and practice to combat gender-based discrimination and sexual harassment, inter alia, with regard to labour)** | პოლონეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სექსუალური შევიწროება სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ფორმაა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ქმედებაა. კერძოდ:<br><br>საქართველო ხელშემკვრელი მხარეა საერთაშორისო ხელშეკრულებების, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას. ამ მხრივ აღსანიშნავია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო 1966 პაქტი; გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ (აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მე-19 ზოგად რეკომენდაციაში მიუთითა, რომ სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილას წარმოადგენს გენდერული ნიშნით ძალადობის ფორმასა და ხელშემშლელ ფაქტორს შრომით ურთიერთობებში თანასწორობის მისაღწევად (იხ. პუნქტი 17)); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მისი მე-12 დამატებითი ოქმი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ; ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (სტამბოლის კონვენცია); შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია №111 შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ, რომლის თანახმად სექსუალური შევიწროება სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის ფორმადაა მიჩნეული.<br><br>კანონის წინაშე თანასწორობა განმტკიცებულია **საქართველოს კონსტიტუციით.** ამასთანავე, აღსანიშნავია ახალი 2014 წელს მიღებული **ანტიდისკრიმინაციული კანონი,** რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. **„გენდერული თანასწორობის შესახებ“** კანონის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას დაუშვებელია: ა) პირის დისკრიმინაცია, დევნა ან/და იძულება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას; ბ) სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.<br><br>**საქართველოს შრომის კოდექსი** კრძალავს სამუშაო ადგილას დისკრიმინაციასა და შევიწროებას. კანონი დისკრიმინაციად განსაზღვრავს პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროებას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, | თანასწორობის საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას; ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.<br><br>აღსანიშნავია, ასევე **სისხლის სამართლის კოდექსის** 332-ე მუხლი, რომელიც ახდენს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კრიმინალიზაციას და ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს.<br><br>2017 წელს მთავრობის მიერ პირველად იქნა მიღებული საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები, რომელიც თანასწორობასთან ერთად არეგულირებს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ხსენებული წესები სავალდებულოა აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ორგანოსათვის. დადგენილებას სექსუალური შევიწროების პრევენციისა და დაუშვებლობის მიზნით სპეციალური მუხლი დაემატა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური მხარდაჭერით. 2018 განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიურომ, გერმანიის საეთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით შეიმუშავა საჯარო დაწესებულებებში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების მუხლობრივი კომენტარები.<br><br>აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურის ბიურო რეგულარულად ატარებს ტრენინგებს ეთიკაში პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის, | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | რომლის ერთ-ერთ მოდულს შეადგენს დისკრიმინაციის და სექსუალური შევიწროების აკრძალვა. ამასთან, საჯარო სამსახურის ბიუროს შემუშავებული აქვს ეთიკის გზამკვლევი და პრაქტიკული შემთხვევების სახელმძღვანელო, სადაც, ასევე, განხილულია დისკრიმინაციასა და სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები.<br><br>ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მიერ შემუშავებულ იქნა ელექტრონული კურსი „სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე.“ კურსი დაფუძნებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და გაეროს კონვენციის „ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ (CEDAW) განსაზღვრებებზე. აღნიშნული კურსის გავლის შესახებ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ინფორმაცია მიეწოდა ყველა საჯარო დაწესებულებას როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეზე. ონლაინ კურსი მიზნად ისახავს: სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ფენომენის, მისი ზეგავლენისა და შედეგების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას; პრაქტიკულ სახელმძღვანელოს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების თავიდან აცილებასა და მასთან ბრძოლასთან დაკავშირებით; ღირსეული და ყველასთვის თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნაში დახმარების გაწევას. კურსის დასრულების შემდგომ გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი. სახალხო დამცველის მიერ ასევე მიემართა ყველა სამინისტროს, მათში დასაქმებული | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ყველა პირის მიერ ხსენებული კურსის გავლის შესახებ.<br><br>ამასთან, სახალხო დამცველმა მიმართა შესაბამის სამინისტროებს, რომ დაიწყოს მუშაობა შევიწროების პრევენციის შიდა უწყებრივი რეაგირების მექანიზმის შექმნაზე.<br><br>შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო ორგანიზაციებში როგორც ცნობიერების ამაღლების, ისე რეაგირების მექანიზმების დანერგვის კუთხით.<br><br>*დამატებითი ინფორმაციის სახით იხ. 117.6 და 117.11 რეკომენდაცია.* | |
| 117.13 | ცვლილებები შეიტანოს სისხლის სამართლის კოდექსში და სისხლისსამართლებრივად დასჯადი გახადოს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმა **(Modify its criminal law to criminalize all forms of racial discrimination)** | სიერა ლეონე | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2012 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანამად, რასობრივი მოტივი, დისკრიმინაციის სხვა ნიშნებთან ერთად არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.<br><br>ასევე, 2014 წლის 2 მაისს ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $142^1$ მუხლში, რომლის საფუძველზეც დასჯადი გახდა რასობრივი დისკრიმინაცია, ანუ ქმედება, ჩადენილიეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება. ამ მუხლით ასევე განსაზღვრულია, ქმედების დამამძიმებელი გარემოებები:- სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენება; ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ; ან გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.<br><br>2017 წლის 4 მაისს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, კოდექსს დაემატა ახალი 53[1] მუხლი, რომლითაც განისაზღვრა სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები. შესაბამისად, რასობრივი მოტივი, დისკრიმინაციის სხვა ნიშნებთან ერთად როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, ამ მუხლში აისახა. ხსენებული ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 ივნისიდან.<br><br>ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 142(1) მუხლით დასჯადია რასობრივი დისკრიმინაცია, რომლის რედაქციაშიც ცვლილებები შევიდა 2014 წლის 2 მაისს. | |
| 117.14-117.15-117.16 | მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს ბავშვთა ფიზიკურ დასჯას, მათ შორის სახლში, და ცნობიერების ამაღლების მიზნით განახორციელოს საგანმანათლებლო აქტივობები ამ კუთხით | ესტონეთი უნგრეთი პოლონეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვთა მიმართ, მათ შორის ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების დაცვას ყველა სახის ძალადობისგან. მიუსაფარი და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების რეალიზაციის და მათი სხვადასხვა სოციალურ თუ სამედიცინო სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის მიზნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **(Provide legislation explicitly prohibiting corporal punishment of children, including in the home, and consider awareness-raising activities to increase public knowledge about the issue)** | | | საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ცვლილებები 10-მდე საკანონმდებლო აქტში. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტმა შემოიტანა ცნება „მიუსაფარი ბავშვი," რომლის თანახმად, მიუსაფარ ბავშვად ითვლება ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, მაძიებლის ანკეტის საფუძველზე. აღნიშნული დეფინიციის საკანონმდებლო დონეზე შემუშავებამ საშუალება მისცა სახელმწიფოს, ამ კატეგორიის ბავშვებს მოუწესრიგოს საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია, რაც, თავის მხრივ, მიუსაფარი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომს გახდის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისს.<br><br>მიუსაფარი და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიეცა უფლება, მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიუსაფარი და ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის დოკუმენტაციის უსასყიდლოდ გაცემის თხოვნით. მიუსაფარი და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიეცა უფლება, მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიუსაფარი და ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დოკუმენტაციის უსასყიდლოდ გაცემის თხოვნით. აქამდე ამის შესაძლებლობა მხოლოდ ბავშვის მშობელსა და მეურვეს ჰქონდათ.<br><br>ცვლილებებმა, ასევე, უფრო ქმედითი გახადა არასრულწლოვნების ნებისმიერი ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე გაიზარდა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირის – სოციალური მუშაკის, როლი, რომელსაც მიენიჭა უფლება, გადაუდებელი აუცილებლობისას მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის მოძალადისაგან დაუყოვნებლივ განცალკევების თაობაზე. სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის განცალკევების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობისთვის კი დაწესდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა – იმ პირისათვის, ვინც აღნიშნული გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებულია.<br><br>აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2016 წლის 22 ივნისს, ხოლო ძალაში შევიდა 2016 წლის 10 აგვისტოდან.<br><br>გარდა ამისა, ყველა სახის ძალადობისაგან, მათ შორის ფიზიკური დასჯისაგან (corporal punishment) ბავშვთა დაცვის მიზნით 2016 წელს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2016 წლის 12 სექტემბერს დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) ახალი პროცედურები საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებით. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებმა გააფართოვა აღნიშნულ პროცედურებში ჩართული უწყებების წრე, მათ შორის რეფერირების პროცესში მონაწილეობა ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს, რაც ხელს შეუწყობს კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით ოჯახში და მის გარეთ ბავშვის დაცვას ყველა ფორმის ძალადობისგან.<br><br>აღსანიშნავია, რომ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებით ფიზიკური ძალადობის ერთ-ერთ სახედ განისაზღვრა ბავშვის ფიზიკური დასჯისკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება (corporal punishment), რომელიც იწვევს ბავშვში ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.<br><br>ამასთან, რეფერირების პროცედურების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ ვალდებულებად განისაზღვრა 2019 წლის 1 იანვრამდე ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ერთიანი ბაზის ფორმირება, რომლის ტექნიკურ ადმინისტრირებას განახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საგულისხმოა, რომ მთავრობის დადგენილების ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის, რეფერირების პროცედურებში ჩართულმა ყველა უწყებამ, მათ შორის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, შეიმუშავა ბავშვთა ძალადობის გამოვლენისა და გადამისამართების შიდა ინსტრუქციები.<br><br>საქართველოს მთავრობის №437 დადგენილების ამოქმედების შემდგომ 2016 წელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში შევიდა ძალადობის შესახებ 193 შეტყობინება, 2017 წელს 840, რომელთაგან დადასტურდა 519, ხოლო 2018 წლის სამი თვის მონაცემებით სააგენტოში შესულია 847 მომართვა, რომელთაგან 169 დადასტურებულია.<br><br>აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით 2018 წლის 20-21 თებერვალს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა მუნიციპალიტეტებთან „სახელმწიფო პოლიტიკა ბავშვთა და ოჯახური ძალადობის დაძლევისა და კეთილდღეობისათვის.“ შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კულტურისა და | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სპორტის სამინისტროს, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ საჯარო რეესტრის, სსიპ საკანონმდებლო მაცნესა და სსიპ იუსტიციის სახლის წარმომადგენლები.<br><br>გარდა ზემოაღნიშნულისა, არასრულწლოვანთა პროსტიტუციაში ჩაბმის თავიდან აცილების მიზნით 2018 წლის 6 მარტს საქართველოს მთავრობამ საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა, რომლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდება ე.წ. „სუტენიორობისათვის", ხოლო არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმისათვის სისხლისსამართლებრივი სანქციები გამკაცრდება. ახალი რეგულაციები ამოქმედდება 2018 წლის 12 ივნისიდან.<br><br>დღეს მოქმედი კანონმდებლობით სამართალდამცავ უწყებებს სათანადოდ ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმი არ აქვთ, იმოქმედონ იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც არაძალადობრივი მეთოდებით ხელს უწყობენ პირის, მათ შორის ბავშვის პროსტიტუციაში ჩაბმას. ასევე არ არსებობს საკმარისად ეფექტური სამართლებრივი საფუძველი იმ ბარების, კლუბების თუ სხვა დაწესებულებების წინააღმდეგ, სადაც ადგილი აქვს არაძალადობრივი მეთოდებით ადამიანთა, მათ შორის არასრულწლოვანთათვის ხელშეწყობას, რომ ჩაებან პროსტიტუციაში.<br><br>ამ მიზეზების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსში შემოდის ახალი მუხლი - | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროსტიტუციის ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს, როგორც პროსტიტუციისათვის ადგილის დათმობას, რაც აქამდეც არსებობდა, ისე პირის დაყოლიებას პროსტიტუციაზე ან სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედების განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს პირის მონაწილეობას პროსტიტუციაში. აღნიშნული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობად გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე, ხოლო თუ დანაშაული ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, მათ შორის არასრულწლოვნის მიმართ, პასუხისმგებლობა მძიმდება და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ექვს წლამდე.<br><br>საკანონმდებლო ცვლილება მომზადდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა იუსტიციის სამინისტრო და რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. საკანონმდებლო ცვლილების პროექტი განხილულ და მოწონებულ იქნა ტრეფიკინგთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს 2017 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე.<br><br>საკანონმდებლო ცვლილება ხელს შეუწყობს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევის დაძლევას - არასრულწლოვნების პროსტიტუციაში ჩაბმისგან დაცვასა და | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროსტიტუციისათვის ხელშეწყობის პრევენციას. | |
| 117.17 | განაგრძოს მუშაობა ბავშვთა ქორწინების პრევენციის კუთხით, მათ შორის განიხილოს ქორწინების ასაკად 18 წლის დაწესება **(Continue its efforts to eliminate child marriage, including through considering to set the age of entry into marriage at 18 years)** | ეგვიპტე | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ბავშვთა ქორწინების პრევენციის მიზნით 2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით აიკრძალა 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვნების ქორწინება მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით ან/და პატივსადები მიზეზების არსებობისას (მაგ: ორსულობა), სასამართლოს ნებართვით. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად პირს რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა შეუძლია მხოლოდ 18 წლის ასაკიდან.<br><br>ამასთან, ზოგადი განათლების მიმართულებით, დამტკიცდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დაწყებით საფეხურზე, რომელიც 2018-2019 სასწავლო წლიდან ინერგება საქართველოს ყველა სკოლაში. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნებში („მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“) აქცენტირებულია ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული საკითხები (ჯანსაღი კვება, პირადი ჰიგიენის დაცვა, ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობა).<br><br>ასევე დამტკიცდა განახლებული საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის დანერგვა დაიწყება 2019-2020 სასწავლო წლიდან. საბაზო საფეხურზე განსაკუთრებით გაძლიერდა სამოქალაქო განათლების სწავლება და აქცენტი გაკეთდა ისეთ პრიორიტეტულ თემებზე, როგორებიცაა: | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ჯანსაღი ცხოვრება, ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემები, ძალადობა, ბულინგი და სხვა.<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის პროცესში გადამუშავდა სამოქალაქო განათლებისა და ბიოლოგიის პროგრამები, რომლებშიც აქცენტირებულად გაძლიერდა ადრეული ქორწინების საკითხზე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებასა და ნაადრევი ქორწინების პრევენციაზე მიმართული საკითხები, ასევე რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხი.<br><br>ადრეული ქორწინების მიზეზით სწავლის მიტოვების პრევენციისათვის, სისტემატურად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს იმ რეგიონების მშობლებთან, სადაც ხშირად ფიქსირდება მსგავსი ფაქტები. საუბრის თემას წარმოადგენს ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული რისკები.<br><br>განათლებისა და მეცნიერების სისტემაში მოქმედებს შიდა პროცედურა, რომლის თანახმად, ადრეული ქორწინების ყველა შემთხვევის გადამისამართება ხდება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში, ივსება სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიმართვის ბარათი.<br><br>მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრები (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი, ფოთი, გორი, რუსთავი) ფსიქოლოგიურ სერვისს სთავაზობს სკოლის მოსწავლეებს, მათ მშობლებს, საჭიროების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შემთხვევაში, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას. | |
| 117.18 | განაგრძოს მუშაობა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების ნორმატიული და ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერების თვალსაზრისით **(Continue its efforts to strengthen the institutional and normative human rights framework with regard to freedom of expression)** | სერბეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | იხ. რეკომენდაცია 117.95. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| 117.19 | მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის დებულებებთან **(Harmonize the law with the Convention relating to the Status of Refugees)** | ჰონდურასი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2016 წლის 1 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 თებერვალს. ხსენებულ კანონთან ერთად ძალაში შევიდა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიღების შედეგად შემუშავებული კანონქვემდებარე აქტები:<br>1. „თავშესაფრის პროცედურა“;<br>2. „თავშესაფრის მაძიებლის ცნობის ფორმა, მისი გაცემისა და შეცვლის წესი“;<br>3. „მიმღებ ცენტრში განთავსების ან სხვა ადგილას განსახლების წესი“;<br>4. „თავშესაფრის მაძიებლების თითის ანაბეჭდების აღების და ამ პერსონალური მონაცემის დამუშავების წესი“; | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 5. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადები.<br><br>მიღებული საკანონმდებლო აქტები სრულ შესაბამისობაშია 1951 წლის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის კონვენციასთან.<br><br>იხ. ასევე რეკომენდაცია 117.117. | |
| 117.20 | დამატებითი ზომები განახორციელოს ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნის გავრცელების უზრუნველსაყოფად **(Continue its efforts to further promote human rights)** | ჯიბუტი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2016-2017 წლებში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარიატთან ერთად ახორციელებდა პროექტს, რომელიც მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადებას გულისხმობდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე.<br><br>ამასთან, პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, რომელიც დაფინანსებულია USAID-ის მიერ, 2017 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ განახორციელა პროექტი „ადამიანის უფლებების საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის პროცესის გაუმჯობესება ცენტრსა და რეგიონებს შორის“. პროექტის ფარგლებში საქართველოს 10 ქალაქში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, რომელთა მიზანსაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენდა. ამასთან, აღნიშნული პროცესი იძლეოდა ადგილობრივი პრობლემების და გამოწვევების | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | იდენტიფიცირების შესაძლებლობას. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები.<br><br>2016-2017 წლებში საქართველოს პროკურატურა აქტიურად ახორციელებდა პრევენციულ ღონისძიებებს. პროკურორები მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში თემატურად საუბრობდნენ ადამიანის უფლებების შესახებ.<br><br>ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებისა და მათი პროფესიონალიზმის გაზრდის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის (შემდგომში - შსს აკადემია) ყველა საბაზისო პროგრამის ფარგლებში ისწავლება შემდეგი საგნები:<br><br>• ადამიანის უფლებები;<br>• პოლიცია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში;<br>• საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია;<br>• დისკრიმინაციის აკრძალვა და გენდერული თანასწორობა;<br>• ოჯახში ძალადობა.<br><br>ყველა ზემოაღნიშნული კურსი მიზნად ისახავს დისკრიმინაციის არსის, მასთან ბრძოლის საშუალებებისა და გამოძიებისას დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიწოდებას. 2017 წელს ჯამში მომზადდა/გადამზადდა 830 მსმენელი.<br><br>გარდა ამისა, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით ხორციელდება ad-hoc ტრენინგების ორგანიზება ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია 2016-2017 წლებში ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასთვის" ფარგლებში შსს აკადემიასთან თანამშრომლობით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ჩატარებული ორი ტრენინგი თემაზე: ,,ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, დისკრიმინაციის აკრძალვა და შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება".<br><br>2017 წლის მანძილზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე (ბავშვთა უფლებები, სამართალი და ადამიანის უფლებები, საკუთრების უფლება და სხვ.) ჩატარდა უფასო ტრენინგები 45 ჯგუფისთვის, რომელსაც დაესწრო ჯამში 448 მონაწილე. ტრენინგზე დასწრების შესაძლებლობა ჰქონდა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს 14 წლის ასაკიდან.<br><br>„სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება" პროექტის ფარგლებში იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ სამ თვიანი სასწავლო პროგრამა ჩატარდა საქართველოს 30 სოფელში (საზოგადოებრივ ცენტრებში). ამასთან, ხსენებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში სამართებრივი მიმართულებით, რომელსაც 2016 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ჩათვლით დაესწრო 2305 მსმენელი, ჩატარდა ხუთი სასწავლო მოდული:<br>· სამართალი და ადამიანის უფლებები;<br>· კონსტიტუციურ ორგანოთა სისტემა და ადგილობრივი თვითმმართველობა;<br>· საკუთრების უფლება, სამეწარმეო და საგადასახადო სამართლის საბაზისო ცნებები;<br>· რა არის ევროკავშირი?<br>· რა არის დისკრიმინაცია?<br><br>*დამატებითი ინფორმაციის სახით იხ. 117.6 რეკომენდაცია.* | |
| 117.21 | ეროვნულ მექანიზმებთან ერთად განაგრძოს მუშაობა მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების სოციალური უფლებების დასაცავად **(Continue working with the national mechanisms that defend the social rights of the most vulnerable groups of the population)** | ტაჯიკეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2015 წელს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბერის №758 დადგენილებით დამტკიცებული ,,ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც საარსებო შემწეობის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი, რომელსაც არ აქვს შემოსავალი ან შემოსავლის მომტანი რაიმე სახის ქონება. მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია თავად ოჯახის საჭიროებები, ოჯახის წევრთა სპეციალური სტატუსი (შშმ პირი, ქრონიკული დაავადებით დაავადებული პირი, არასრულწლოვანი, პენსიონერი და ა.შ.). ახალი მეთოდოლოგიით გადამოწმდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ყველა ოჯახი. ახალი მეთოდოლოგიით საარსებო შემწეობები გაიცემა გრადაციული სისტემით, შემოღებულია ბავშვის ბენეფიტი. გაზრდილია საარსებო შემწეობებით ბავშვების დაფარვა, მიმღებთა შორის 32.8% ბავშვია. ამასთანავე, გაზრდილია მარტოხელა პენსიონერების | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საჭიროების ინდექსი, რათა უფრო მეტმა მარტოხელა პენსიონერმა შეძლოს საარსებო შემწეობის მიღება.<br><br>სიღარიბესთან ბრძოლის მიმართულებით მნიშვნელოვანია ასაკით პენსიისა და მკვეთრად გამოხატული შშმპ სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური პაკეტის ოდენობის ეტაპობრივი ზრდა, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერთათვის/სოციალური პაკეტის მიმღებთათვის ყოველთვიური დანამატის გაცემა და სხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარებებით უზრუნველყოფის პროგრამების უწყვეტად გაგრძელება.<br><br>მიმდინარე წლის მაისის თვეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სახელმწიფო საკუთრებაში უკანონოდ მყოფმა ოჯახებმაც მოიპოვეს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში ჩართვის უფლება, შესაბამისად, განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები ამ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით, შემდგომში მათი სხვადასხვა სოციალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით.<br><br>ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან ბავშვის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა, მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარება და სოციალური | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ინტეგრაცია წარმოადგენს ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის უმნიშვნელოვანესი ქვეპროგრამების (ბავშვთა ადრეული განვითარების, ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის, დღის ცენტრების) ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებსა და აქტივობებს. ამასთან, ბავშვზე ზრუნვის სხვადასხვა მომსახურებებში (მცირე საოჯახო სახლი, მინდობით აღზრდა) აუცილებელ პროგრამულ აქტივობასა და სტანდარტებით განსაზღვრულ ვალდებულებას წარმოადგენს აღსაზრდელთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება - აკადემიური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, პროფესიული და ყოფითი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარება. გარდა ამისა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები ბიზნეს-კომპანიებთან, რომლებიც, სხვადასხვა ფორმით მხარს უჭერენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ აღსაზრდელებს აკადემიური და პროფესიული განათლების მიღებაში, დასაქმებასა და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში.<br><br>ასევე, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი იმ ბავშვებს, რომლებსაც შშმ სტატუსის ან მარჩენალდაკარგულის მიზეზით არიან სოციალური პაკეტით განსაზღვრული თანხის მიმღებები, აღნიშნული თანხა უგროვდებათ საანაბრე ანგარიშზე, რომლის განაღდება შეუძლიათ მხოლოდ სრულწლოვანი ასაკის მიღწევისას, რაც გარკვეულწილად უწყობს ხელს მათ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამას 2017 წლიდან დაემატა ახალი კომპონენტი - „შშმ პირთა საოჯახო ტიპის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი“, რომლის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს 18 წლისა და უფროსი ასაკის შშმ პირები, მათ შორის, ფსიქიკური აშლილობის შემთხვევაში, დიაგნოზების მქონე პირები (მხოლოდ რემისიის მდგომარეობაში). | |
| 117.22 | დაიცვას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ყველა პრინციპი და შეასრულოს საერთაშორისო ხელშეკრულებები; მოახდინოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებათა ღირებულებების კუთხით<br>**(Observe all human rights principles and international conventions, and raise awareness among the population regarding human rights values)** | თურქმენეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, საქართველო პერმანენტულად ახორციელებს რეფორმებს, როგორც ინსტიტუციონალურ, ისე საკანონმდებლო დონეზე. საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელდა საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უფრო მტკიცე გარანტიებს.<br><br>საქართველომ განაახლა ადამიანის უფლებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც ასახულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახალხო დამცველის ოფისის რეკომენდაციები. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გენდერული დისკრიმინაციის, ქალთა და გოგონათა მიმართ, ასევე ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართული პოლიტიკის გასაძლიერებლად, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება და შეიტანა შესაბამისი ცვლილებები ეროვნულ კანონმდებლობასა და საკანონმდებლო აქტებში.<br><br>გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების უზრუნველსაყოფად, პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის მხარდაჭერით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია. მსგავსი კომისია შეიქმნა ბავშვთა დაცვის უკეთესი უზრუნველყოფისა და ბავშვთა უფლებების კონვენციისა და მისი დამატებით ოქმების იმპლემენტაციის მიზნით. არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო პარტნიორები აქტიურად არიან ჩართული ორივე კომისიის მუშაობაში.<br><br>სულ ახლახანს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი. მისი მიზანია მოხდეს სწრაფი რეაგირება და ჩატარდეს ეფექტური გამოძიება ისეთ საქმეებზე, როგორიცაა: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, დისკრიმინაციის ნიადაგზე ჩადენილი და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, ადამიანების ტრეფიკინგი, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საქართველოს ხელისუფლება, ასევე ყველა შესაძლო ბერკეტს იყენებს ადამიანის უფლებების დასაცავად ოკუპირებული აფხაზეთის, საქართველო და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში, საქართველო. ამასთან, საქართველო აცხადებს რომ ამ რეგიონებში პირველადი პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებების დარღვევისთვის ეკისრება რუსეთის ფედერაციას.<br><br>საქართველო კეთილსინდისიერად ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს. საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (მუხლი 6.2).<br><br>*იხ. ასევე რეკომენდაცია 117.20* | |
| 117.23 | დროულად დაამტკიცოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი და პოლიტიკური ნების აღსრულების | ნორვეგია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 17 აგვისტოს დაამტკიცა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. დოკუმენტის დამტკიცებას წინ უძღვოდა განხილვები და კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უზრუნველსაყოფად გამოყოს ადეკვატური ფინანსური სახსრები **(Adopt and implement in due course the proposed Civic Equality and Integration Strategy and Action Plan for 2015-2020, with a sound financial political backing)** | | | ექსპერტებთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ აქტორებთან. დოკუმენტის საერთაშორისო ექსპერტიზა უზრუნველყო ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისმა.<br><br>სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი დოკუმენტი ეყრდნობა თანასწორობის პრინციპს, „მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაციის" მიდგომას და მიზნად ისახავს თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას; ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათი კულტურისა და იდენტობის დაცვასა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერებას.<br><br>სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შექმნილია/ ფუნქციონირებს სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც კოორდინაციას უწევს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.<br><br>სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფენ შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებები თავისი კომპეტენციისა და ბიუჯეტის ფარგლებში. | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო |
| 117.24 | გააძლიეროს გენდერული თანასწორობის საბჭო **(Strengthen the Gender Equality Council)** | ლატვია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | მეცხრე მოწვევის საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო შედგება 17 პარლამენტის წევრისგან (14 ქალი, 3 აკაცი) და მოიცავს ყველა პოლიტიკურ ჯგუფს პარლამენტში. გენდერული საბჭო გაძლიერდა შემდეგ ასპექტებში: კანონმდებლობის | საქართველოს პარლამენტის აპარატი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ადვოკატირება (განსაკუთრებით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ქალთა მიმართ ძალადობა), შიდასაპარლამენტო ინიციატივების დანერგვა - მათ შორისა კანონმდებლობის გენდერული ანალიზი (GIA), საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეფექტიანი თანამშრომლობა, არასამთავრობო ორგანიზაციების მეტი ჩართულობა საბჭოს საქმიანობაში. ამავე დროს, ინსტიტუციურად, საბჭოს დაემატა მკვლევარის პოზიცია, რომელიც დაფინანსებულია 1 წლით და ითვალისწინებს საბჭოს მკვლევარის შერჩევას 1 წლის ვადით.<br><br>გენდერული თანასწორობის საბჭოს აპარატის შექმნის საკითხი განიხილება პარლამენტის რეგლამენტის გადახედვის პროცესში და შესაბამისი ცვლილებები რეგლამენტის ახალი ვარიანტის დამტკიცებისთანავე შევა ძალაში. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია |
| 117.25 | შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფისა და პროფესიონალთა უნარ-ჩვევების გაღრმავების გზით კიდევ უფრო ეფექტიანად შეასრულოს გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის მოთხოვნები **(Further effectively implement the** | ლიტვა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2018 წლის 17 აპრილს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა წარმოადგენს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის შესრულების მთავარ ინსტრუმენტს. 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა რიგით მე-3 პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც მთავრობიბამ მიიღო სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ.<br><br>აღნიშნული სამოქმედო გეგმის ბიუჯეტირების პროცესი დაგეგმილია მიმდინარე წელს ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **National Action Plan on Gender Equality and the Action Plan for Combating Domestic Violence by ensuring required financing and reinforcing the capacities of professionals)** | | | მხარდაჭერით. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აღნიშნული პროექტის ფარლგებში განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ბიუჯეტირება.<br><br>2018 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ 2018-2020 წლების გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ხელშემწყობი ეროვნული გეგმები დაამტკიცა:<br><br>1. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018-2020 ;<br>2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა;<br>3. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020, თავი - გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება.<br><br>აღნიშნული სამოქმედო გეგმების ბიუჯეტირების პროცესი დაგეგმილია მიმდინარე წელს. | |
| 117.26 | განაგრძოს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება და მისი ქმედითი მუშაობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ზომების | დანია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის გაძლიერების მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმების შედეგად, 2016 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება მიენიჭათ. გარდა ამისა, შესაძლებელი იქნება | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მიღება (**Continue to strengthen and support the effectiveness of the Georgian National Preventive Mechanism)** | | | ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უშუალო განთავსების პირობების, დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის, კვების ობიექტის, საერთო სარგებლობის საშხაპის, საერთო სარგებლობის საპირფარეშოს, შეხვედრის ოთახისა და მათი გასეირნების ადგილების ფოტოგადაღება.<br><br>აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც პრევენციისა და მონიტორინგის ფუნქციის კიდევ უფრო ეფექტურად განხორციელებას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ, ასევე, სასჯელაღსრულების სისტემის გამჭვირვალობას და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას. ფოტოგადაღების უფლების შეძენა მნიშვნელოვანად გააუმჯობესებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირებას, რაც ამ დანაშაულთა ეფექტური გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა.<br><br>აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ხსენებული ცვლილება წინგადადგმული ნაბიჯია თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებათა დაცვის, მათ შორის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულის პრევენციისათვის. | |
| 117.27 | განახორციელოს ყველა ზომა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის, მათ შორის განიხილოს სახელმწიფო | ინდონეზია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2018 წლის 17 აპრილს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სამთავრობო (სამოქმედო) გეგმა, რომელიც შეიცავს 28 თემატურ თავს, წარმოადგენს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური სახსრების გამოყოფის საკითხი **(Take all measures in further implementing the Action Plan for the Protection of Human Rights in Georgia, in particular by allocating sufficient funding from its national budget)** | | | ეროვნული სტრატეგიის შესრულების მთავარ ინსტრუმენტს. 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა რიგით მე-3 პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც მთავრობიბამ მიიღო სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ.<br><br>აღნიშნული სამოქმედო გეგმის ბიუჯეტირების პროცესი დაგეგმილია მიმდინარე წელს ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ მხარდაჭერით. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ აღნიშნული პროექტის ფარლგებში განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ბიუჯეტირება. | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო |
| 117.28 | განაგრძოს ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესრულება **(Continue implementing the national strategy for the promotion and protection of human rights)** | ტაჯიკეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. რეკომენდაციები 117.27 და 117.32.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 117.29 | ახალი ღონისძიებებისა და ინიციატივების გზით განაგრძოს და კიდევ უფრო შეუწყოს ხელი ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესრულებას **(Promote new actions and initiatives to continue progressing in its efforts to** | თურქმენეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. რეკომენდაცია 117.27.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **implement the National Human Rights Strategy)** | | | | |
| 117.30 | განიხილოს სამოქმედო გეგმის შექმნა, რომელიც გაწერს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში განსახორციელებელ ზომებს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და მის წინაამდეგ ბრძოლის მიმართულებით **(Consider instituting an action plan that defines measures to prevent and combat discrimination on different grounds in all levels of governance in the country)** | სერბეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №338 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2016-2017 წლებისთვის). ხსენებული დოკუმენტი ითვალისწინებს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ხელისულფების ცალკეული ორგანოების (მათი კომპეტენციის ფარგლებში) მიერ განსახორციელებელ მიზნებს, ამოცანებსა და საქმიანობებს.<br><br>საქართველოს მთავრობის N182 დადგენილებით, 2018 წლის 17 აპრილს დადგინდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისთვის).<br><br>აღნიშნული გეგმა შეიცავს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელებიც ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. გეგმაში, შესაბამისად, ამ მიმართულებით ყურადღება დათმობილია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა; დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიური ინფორმირება და | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ცნობიერების ამაღლება; კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი საზოგადოებაში სრული ჩართულობა; შშმ პირთა თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის დაუშვებლობის უზრუნველყოფა; შრომის სამართლის და დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის სფეროს სამართლებრივ ინსტრუმენტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ხელშეწყობა; გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება; ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა; რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება; ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებათა დაცვის ხელშეწყობა და სხვა.<br><br>*დამატებითი ინფორმაციის სახით, ასევე იხ. 117.7 რეკომენდაცია.* | |
| 117.31 | განიხილოს საერთაშორისო რეკომენდაციების შესრულების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი სპეციალური ეროვნული სისტემის შექმნის საკითხი | პარაგვაი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების მიერ მიღებული რეკომენდაციის შესრულების პროცესის ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, ხსენებული რეკომენდაციების ასახვა ხდება ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისათვის) შესაბამისად. | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | (Analyse the possibility of establishing a national system of follow-up to international recommendations) | | | უწყებათაშორისი საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი შექმნილია ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესის კოორდინაციის და მონიტორინგის მიზნით. საბჭოს წევრები არიან ყველა მინისტრი და საქართველოს სახალხო დამცველი ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები სარგებლობენ ხმის უფლებით საბჭოს შიგნით. როგორც სამოქმედო გეგმის ეფექტური შესრულების დამატებითი გარანტია, ადამიანის უფლებათა სამდივნო პასუხისმგებელია ნაყოფიერ უწყებათაშორის კოორდინაციაზე და სამოქმედო გეგმის აღსრულების მონიტორინგზე და ის შეიქმნა მთავრობის ადმინისტრაციის შიგნით, პრემიერ მინისტრთან.<br><br>ამასთანავე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სისტემატურად თვალყურს ადევნებს ხსენებული რეკომენდაციების შესრულებას. | |
| 117.32 | უზრუნველყოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონების ეფექტური შესრულება, მათ შორის აღსრულების ქმედითი მექანიზმების შექმნისა და ამ საკანონმდებლო აქტების შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების | სლოვენია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს მთავრობამ 2018 წლის აპრილში ცალკე მდგომი დოკუმენტების სახით დაამტკიცა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" განხორციელებისთვის 2018-2020 წლებისა და ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმები.<br><br>ეროვნული ჩარჩო-დოკუმენტები აერთიანებს სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამის ერთიან და | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ამაღლების აქტივობების განხორციელების გზით **(Ensure effective implementation of the laws on the elimination of all forms of discrimination and gender equality, including by putting in place effective enforcement mechanisms and raising awareness about the provisions of the legislation)** | | | თანმიმდევრულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია, როგორც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრასა და პრევენციაზე, ისე - დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ქალების საჭიროებებზე.<br><br>სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და აქტივობა ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 და 16-ე მიზნებს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის (CEDAW), გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისა (UPR) და ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიშებში მოცემულ რეკომენდაციებს და პასუხობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) მოთხოვნებს.<br><br>2018-2020 წლების სამოქმედო გეგმების შედგენისას, დეტალურად გაანალიზდა გასული წლების სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასებიდან მიღებული გამოცდილება, სახალხო დამცველის ანგარიშები და რეკომენდაციები. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. | საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კონსულტაციები გაიმართა დევნილ და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და გათვალისწინებულ იქნა უშუალო ბენეფიციართა, მათ შორის ძალადობის მსხვერპლთა რეკომენდაციები.<br><br>სამოქმედო გეგმების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველსაყოფად, განისაზღვრა ინდიკატორები, საბაზისო და სამიზნე ნიშნულები როგორც მიზნების, ისე ამოცანების დონეზე. სამოქმედო გეგმები გამომდინარეობს და თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის ვადასთან.<br><br>2017 წლის ივნისში მთავრობის დადგენილებით (N286) დამტკიცდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულება და პირველად აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციური მექანიზმი (აღნიშნულ კომისიაზე დეტალური ინფორმაციისათვის იხ. 117.40 რეკომენდაცია).<br><br>აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში არაერთ სამინისტროში განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირი, თუ დეპარტამენტი. მათ შორის აღსანიშნავია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სადაც გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დაგეგმვისა და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, განისაზღვრა გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, სადაც განსაზღვრულია მინისტრის მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სადაც შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც განახორციელებს ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების მონიტორინგს და სხვა.<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭოები, და გარკვეულ მუნიციპალიტეტებში განსაზღვრულია მრჩეველები გენდერული თანასწორობის საკითხებში. დღეს არსებული მდგომარეობით, გენდერული თანასწორობის საბჭოები ფუნქციონირებს 41 მუნიციპალიტეტში.<br><br>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო რეგულარულად აწვდის მუნიციპალიტეტებს ინფორმაციას გენდერული თანასწორობის, აგრეთვე ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ საერთაშორისო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | რეკომენდაციების, სხვა უწყებების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების და საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესახებ. ასევე სამინისტრო პერიოდულად გამოითხოვს ინფორმაციას მუნიციპალიტეტებიდან გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და ამავე საკითხზე ადგილზე არსებული მდგომარეობის შესახებ.<br><br>რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოში, ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით, პროექტების შეფასების მე-2 ფილტრში გათვალისწინებულ იქნა მოსალოდნელი სოციალური ეფექტის კრიტერიუმი, რომელიც მოიცავს, აგრეთვე, გენდერული დისბალანსის შემცირების საკითხსაც და მითითებულ იქნა, რომ პროექტს, რომელსაც გააჩნია მოსალოდნელი ფართო დადებითი ზემოქმედება პირთა სოციალურ მდგომარეობაზე, მიენიჭება მაღალი ქულა, ხოლო მოსალოდნელი მცირე დადებითი სოციალური ეფექტის მქონე პროექტს - დაბალი ქულა. რასაკვირველია, აღნიშნული კრიტერიუმი იქნა გამოყენებული 2016 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი იმ პროექტების შერჩევისას, რომელთა თაობაზე შესაბამისი რეკომენდაციები მიიღო საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიამ, რომლის საქმიანობის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტრო.<br><br>2015 წლიდან, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს გენდერულ საკითხებში მრჩევლის შტატი, რომელიც თანამშრომლობს ისევე როგორც სამთავრობო სტრუქტურებთან, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტებია გენდერული სტრატეგიის შემუშავება, სწავლების სისტემის დანერგვა გენდერულ თემებზე მომუშავე კადრებისათვის, აგრეთვე საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება, რომელიც მიმართულია ქალთა და ბავშვთა პრობლემების მოსაგვარებლად.<br><br>გარდა ზემოაღნიშნულისა, 2016 წლის დეკემბრის თვეში დაინიშნენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები, ხოლო თბილისის საკრებულოს 2016 წლის 1 ნოემბრის N26-80 დადგენილებით, საკრებულოს წევრებისგან შეიქმნა გენდერული საბჭო. საბჭო და გენედერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი მოსამსახურეების მიერ შემუშავდა საკრებულოს მიერ 2017 წლის თებერვალში მიღებული გენდერული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა.<br><br>სტრატეგიის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტიან რეალიზებას. სტრატეგია ეფუძნება გენდერული თანასწორობის პრინციპებს | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მუნიციპალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის.<br><br>*დამატებითი ინფორმაციის სახით, ასევე იხ. 117.7, 117.20, 117.43. 117.44, 117.45 და 117.46 რეკომენდაციები.* | |
| 117.33 | ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის განხორციელების პროცესში ჩართოს აღსრულების ქმედითი მექანიზმები, რაც გააძლიერებს რელიგიურ შემწყნარებლობას, გენდერულ თანასწორობას, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, ქალებისა და ლგბტ პირთა თანასწორობას და ხელს შეუწყობს ქართულ საზოგადოებაში შემწყნარებლობის გაზრდას და სოციალურ ინკლუზიას **(Include in the implementation of its anti-discrimination legislation effective** | ნიდერლანდები | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს თანასწორობის უზრუნველყოფა, სამოქალაქო ინტეგრაცია და ტოლერანტული გარემოს გაძლიერება. რიგი კანონები და სხვა მექანიზმები ემსახურება სახელმწიფოს ვალდებულებას დაიცვას უმცირესობები დისკრიმინაციისგან და უზრუნველყოს მათი სრულფასოვანი მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მიმართულებით ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს - სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც მიმდინარეობს.<br><br>სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფა; ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; თანასწორი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა; კულტურული იდენტობის | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი<br><br>სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **measures that strengthen religious tolerance, gender equality and equal rights for ethnic minorities, women and lesbian, gay, bisexual, transgender and intersex (LGBTI) persons, so as to increase tolerance and social inclusion in Georgian society)** | | | დაცვა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერების ხელშეწყობა.<br><br>სტრატეგია:<br>• ემყარება წარსულ გამოცდილებას და ნერგავს ახალ მიდგომას მიზნების ეფექტური მიღწევისათვის;<br>• ითვალისწინებს უფრო მეტ ინტერაქციას უმრავლესობასთან, რამეთუ სამოქალაქო ინტეგრაცია არის პროცესი, რომელშიც ჩართულია მთელი საზოგადოება, მისი თითოეული წევრი;<br>• განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობების წვდომის გაუმჯობესებას გადაწყვეტილების პროცესისა და საზოგადოებრივი სერვისების მიმართ, რაც ასევე გულისხმობს ენობრივი ბარიერების გადალახვას;<br>• ითვალისწინებს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებისთვის შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების ეფექტიან განხორციელებას;<br>• ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მცირე ჯგუფების კულტურული უფლებების დაცვას;<br>• მოიცავს გენდერული კომპონენტის წარმოჩენას;<br>• განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ბოშა მოსახლეობის, სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას.<br><br>2015-2020 წლების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სხვადასხვა პროგრამები/პროექტები ზემოაღნიშნული მიმართულებებით. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | *იხ. ასევე 117.103, 117.7, 117.20, 117.30, 117.32, 117.43. 117.44, 117.45 და 117.46 რეკომენდაციები.* | |
| 117.34 | გააუმჯობესოს ანტიდისკრიმინაციული კანონის განხორციელება, მისი დებულებების შესახებ გაავრცელოს ინფორმაცია როგორც საზოგადოებაში, ისე სასამართლო და სამართალდამცავ სისტემაში დასაქმებულ პროფესიონალებს შორის და ამ კუთხით გააძლიეროს საქართველოს სახალხო დამცველის როლი **(Improve the implementation of the anti-discrimination law, including disseminating the information on its provisions to the public as well as the personnel of the justice and law enforcement systems and strengthen the role of the Ombudsperson in this regard)** | ჩეხეთის რესპუბლიკა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.7; 117.20, 117.30, 117.43. 117.44, 117.45 და 117.46 რეკომენდაციები.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| 117.35 | გააძლიეროს მუშაობა გენდერული თანასწორობის | საბერძნეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ | 2017 წლის ივნისში მთავრობის დადგენილებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად **(Strengthen efforts towards promotion of gender equality)** | | შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია; აღნიშნული ინსტიტუციური მექანიზმი ახორციელებს სტამბოლის კონვენციით განსაზღვრულ მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქციას, ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით სახელმწიფო უწყებებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებას, მათ შორის, შესაბამის უწყებებს შორის კოორდინაციას.<br><br>შემუშავდა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმები ქალთა გაძლიერების, გენდერული თანასწორების სადაც დეტალურად განისაზღვრა სამთავრობო უწყებების მიერ 3 წლის განმავლობაში (2018-2020 წლები) განსახორციელებელი ღონისძიებები; უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთიანი ეროვნული საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები ხელს შეუწყობს პასუხისმგებელ უწყებათა მიერ კოორდინირებულ და ეფექტიან მუშაობას და სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის;<br>შესაძლებლობების და კომპეტენციის გაზრდის მიზნით, პერიოდულად აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი უწყებების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემატიკაზე.<br><br>*იხ. ასევე რეკომენდაცია 117.32.* | სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 117.36 | დამატებითი ზომები მიიღოს ქალთა *de facto* მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის კონკრეტული და ეფექტური პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების გზით შეასრულოს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა და პეკინის სამოქმედო პლატფორმის საფუძველზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები **(Undertake further measures to improve the de facto position of women by implementing international commitments from the Committee on the Elimination of Discrimination against Women and the Beijing Platform for Action, through concrete and effective policies and programmes)** | ისლანდია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, გაჩნდა კონსტიტუციური ჩანაწერი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.“ (მუხლი 11, თანასწორობის უფლება).<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სამოქმედო გეგმა (2018-2020 წლებისათვის) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა უფლებებს, გენდერულ თანასწორობას და ქალთა გაძლიერების საკითხებს.<br><br>*იხ. ასევე რეკომენდაცია 117.32 და 117.46.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო |
| 117.37 | განაგრძოს გენდერული თანასწორობის საკითხზე | სინგაპური | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ | ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა რჩება შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტთა ჩამონათვალში. ამ | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | პრიორიტეტული წესით მუშაობა და განიხილოს ქალთა დასაქმებისა და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხზე პოლიტიკისა და კანონმდებლობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და საქართველოში დანერგვის საკითხი **(Continue to prioritize gender equality and consider the incorporation of international best practices in policies and legislation relating to the employment of women and combating violence against women)** | | შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქმიანობის გაძლიერების მიზნით, სამინისტრო მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:<br><br>• პრევენცია - საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და მათი ნდობის მოპოვების გზით;<br>• მყისიერი რეაგირება და ძალადობის აღკვეთა - არსებული სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების გზით;<br>• კვალიფიკაციის ამაღლება - პერმანენტულად ტრენინგების განხორციელებით;<br>• კოორდინაციის გაუმჯობესება - შესაბამის უწყებებთან შეხვედრების საშუალებით.<br><br>ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი სამოქმედო გეგმის (2018-2020 წლებისათვის). ერთ-ერთი მიზანია შრომის უფლების დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.<br><br>*დამატებითი ინფორმაციის სახით იხ. 117.6, 117.32 და 117 35 რეკომენდაცია.* | სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| 117.38 | დამატებითი ზომები მიიღოს ქალთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად და შეიმუშაოს ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის შემთხვევებზე ზედამხედველობის, | კორეის რესპუბლიკა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2018 წლის დასაწყისიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს რეფორმებს საპოლიციო საქმიანობის გაუმჯობესებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის გაზრდის მიზნით. რეფორმირების პროცესში შეიქმნა ახალი დეპარტამენტი (იხ 117.7 პუნქტი), დაიგეგმა საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება. მიმდინარეობს მუშობა „მართლწესრიგის ოფიცრის“ | საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მათი გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის ეფექტური მექანიზმები **(Make further efforts to ensure human rights for women and develop effective mechanisms for the monitoring, investigation and punishment of offenders in cases of violence against women)** | | | პროექტზე, რომელიც მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირით უზრუნველყოფს ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის დროულ გამოვლენას და შემთხვევებზე ზედამხედველობას.<br><br>გარდა ამისა, საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2017 წლის იანვარში დამტკიცდა, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესება; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება; სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების შემცირება; პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; ასევე, სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავება და პრევენციულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართვა.<br><br>პროკურატურა აქტიურად მუშაობს სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად. გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაცია და 2017 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულად საქართველოს მთავარ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო განისაზღვრა.<br><br>*იხ. ასევე 117.6, 117.39 და 117.46 რეკომენდაციები.* | |
| 117.39 | ყველა საჭირო ზომა მიიღოს ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის, ისევე, როგორც ოჯახში ძალადობისა და იძულებითი ქორწინებების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით **(Take all necessary measures to promote women's rights and fight domestic violence and forced marriages)** | საფრანგეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო მუდმივად ახორციელებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეთა მონიტორინგს და ატარებენ ყოველწლიურ ანალიზს, რომლის ფარგლებშიც მუშავდება სტატისტიკური მონაცემები. აგრეთვე, ხდება გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის შეფასება. მონიტორინგის შედეგად იგეგმება პროკურორთათვის სახელმძღვანელო რეკომენდაციის განახლება, ტრენინგ-საჭიროებების განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებები. პროკურატურის მიერ ოჯახურ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ კვლავ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა. საპროკურორო ზედამხედველობის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა მომართვიანობა და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი.<br><br>2014 წელს ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 550 | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პირის მიმართ, 2015 წელს - 1066, 2016 წელს - 1356, ხოლო 2017 წელს - 1986 პირის მიმართ. პროკურატურის მიერ ოჯახურ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ კვლავ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა. გაზრდილია პროკურორთა მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი. 2014 წელს პატიმრობა მოთხოვნილ იქნა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ ბრალდებულთა 14%-ის მიმართ, 2015 წელს - 26%-ის, 2016 წელს - 54%-ის, ხოლო 2017 წელს - 83%-ის მიმართ. 4 რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2014 წელს ეს მაჩვენებელი იყო 83%, 2015 წელს - 70%, 2016 წელს - 52%, ხოლო 2017 წელს - 58%. შემცირდა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი. 2014 წელს საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ოჯახური დანაშაულისთვის ბრალდებულ პირთა 57.4%-თან, 2015 წელს - 50.9%-თან, 2016 წელს - 50.3%-თან, ხოლო 2017 წელს მხოლოდ 42.1%-თან, მაშინ როცა 2017 წელს საპროცესო შეთანხმების ზოგადი მაჩვენებელი 70.4%-ია.<br><br>ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ იშვიათად ხდება განრიდების გამოყენება. კერძოდ, 2016 წელს განრიდება გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩამდენი 19 პირის მიმართ (რომელთაგან შვიდი სრულწლოვანია, შვიდი არასრულწლოვანი, ხოლო ხუთი - 18-დან 21 წლამდე პირი), ხოლო 2017 წელს - მხოლოდ 5 პირის მიმართ (რომელთაგან ორი სრულწლოვანია, ერთი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | არასრულწლოვანი, ხოლო ორი - 18-დან 21 წლამდე პირი).<br><br>2017 წლის 25 ოქტომბერს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ოჯახური დანაშაულის თემაზე კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილ იქნა ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ჩადენილი მკვლელობების ანალიზი. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია მოძალადეთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის, ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით განხორციელებული აქტივობებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ. საქმეთა შესწავლა განხორციელდა ორი ძირითადი მიმართულებით: კრიმინოლოგიური ნაწილი, რომლის ფარგლებშიც დადგინდა დანაშაულის შესახებ შეტყობინების ავტორები, დანაშაულის ჩადენის ადგილი, გარემოებები, დამოკიდებულება დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის, აგრეთვე, დაზარალებულთა და ბრალდებულთა პერსონალური მახასიათებლები; გამოძიების ეფექტურობა, რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რამდენად დროულია ფაქტებზე რეაგირება, რამდენად ადეკვატური და ეფექტურია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, როგორია დაზარალებულ პირთა პოზიცია დევნის დაწყების/გამოძიების შეწყვეტის 5 თაობაზე, სწორად და დროულად ხდება თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღება საქმეზე. 2017 წელს განახლდა პროკურორებისთვის რეკომენდაცია ოჯახში ძალადობაზე და ოჯახური | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ, რომლის მიზანია ძალადობის ფაქტებზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა. აღნიშნულ რეკომენდაციაში ცალკე თავი დაეთმო გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთას (იხ. 117.7 რეკომენდაცია).<br><br>ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს - „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში“. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა და ოჯახში ძალადობისა და მისი შედეგების აღმოფხვრა საქართველოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და საზოგადოების ინფორმირების გზით, ოჯახში ძალადობის თემატიკის, და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო მექანიზმების შესახებ.<br><br>საგულისხმოა, რომ ქალთა ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია ინფორმაციული კამპანიის წარმოება ქვეყნის მასშტაბით, რაც გულისხმობს ძალადობის საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს რეგიონების მოსახლეობაში. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, შსს-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს:<br><br>• 7 ტელე-გადაცემაში;<br>• 3 რადიო-გადაცემაში;<br>• 10 საინფორმაციო შეხვედრაში<br>• პროექტის ფარგლებში დამზადდა საინფორმაციო ვიდეო-რგოლი;<br>• გაკეთდა გარე-რეკლამა - პროექტის სიმბოლიკის და მესიჯების, მათ შორის ცხელი ხაზების გამოყენებით დაიბრენდა ავტობუსები თბილისში;<br>• დაიბეჭდა და დარიგდა მოსახლეობაში საინფომრაციო ლიფლეტები 5 ენაზე, ეთნიკური უმცირესობების სპეციფიკის გათვალისწინებით:<br>ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.<br><br>*იხ. ასევე 117.6, 117.35, 117.38 და 117.46 რეკომენდაციები.* | |
| 117.40 | განაგრძოს სპეციალური ზომების მიღება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით **(Continue to implement measures to promote the participation of women in society)** | იაპონია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2017 წლის ივნისში მთავრობის დადგენილებით (N286) დამტკიცდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულება და პირველად აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციური მექანიზმი.<br><br>უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეა პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ხოლო თანათავმჯდომარეა იუსტიციის მინისტრის მოადგილე. კომისიის | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის, სსიპ- იურიდიული დახმარების სამსახურის, სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები.<br><br>უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილია: შეიმუშაოს და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისათვის სამოქმედო გეგმები და აღნიშნული პოლიტიკის განვითარების ხელშემწყობი წინადადებები, ასევე თავისი მანდატის ფარგლებში განახორციელოს გეგმების შესრულების მონიტორინგი, ხელი შეუწყოს პასუხისმგებელ უწყებებს სქესის ნიშნით „სეგრეგირებული“ მონაცემების შეგროვებასა და ანალიზში, გარდა გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებისა, კომისიის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ე.წ სტამბოლის კონვენციის ეროვნული მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციების განხორციელება.<br><br>უწყებათაშორისი კომისია, თავისი მანდატის ფარგლებში, გეგმავს ხელი შეუწყოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში გენდერული | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მეინსტრიმინგის და ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას.<br><br>საქართველოს მთავრობამ 2018 წლის აპრილში დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომლის ცალკე თავს წარმოადგენს გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება.<br><br>დოკუმენტზე მუშაობისას გაანალიზდა გასული სამოქმედო გეგმის შესრულების დროს გამოვლენილი ხარვეზები და განისაზღვრა უწყებების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, საერთაშორისო ვალდებულებების და რეკომენდაციების შესაბამისად.<br><br>სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად დოკუმენტი აერთიანებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით 2018-2020 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს. | |
| 117.41 | განახორციელოს ზომები სიძულვილის ენისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით<br>**(Take measures in order to combat hate speech and xenophobia)** | ნამიბია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.7. 117.20, 117.43. 117.44, 117.45 და 117.46 118.3 რეკომენდაციებზე პასუხი.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| 117.42 | პროაქტიულად იმოქმედოს საქართველოში რასობრივი და ყველა სხვა ნიშნით დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით **(Address proactively issues of racial and all forms of discrimination in Georgia)** | ნიგერია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ახლადშექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი (იხ. 117.7) კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს დისკრიმინაციის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მონიტორინგს. ამასთანავე, გამოძიების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ზემოაღნიშნული დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავება/პრაქტიკაში დანერგვა და მისი პერიოდული განახლება საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. ასევე იგეგმება გამომძიებლების იდენტიფიცირება და სპეციალიზაცია ოჯახური და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების საკითხებზე.<br><br>ამასთან, შსს აკადემიაში, როგორც საბაზისო სწავლების პროგრამებში, ასევე გადამზადებისა და დაწინაურების პროგრამებში არის გათვალისწინებული აღნიშნული საკითხები და | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | რეგულარულად მიმდინარეობს პოლიციელთა მომზადება/გადამზადება.<br><br>*იხ. ასევე პასუხები 117.6, 117.7, 117.43. 117.44, 117.45 და 117.46 რეკომენდაციებთან დაკავშირებით.* | |
| 117.43 | განახორციელოს ზომები რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენისა და ძალადობის აღმოფხვრისთვის **(Address violence and hate speech against religious minorities)** | ნიგერია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2017 წელს, გასული წლის მსგავსად, საქართველოს პროკურატურისთვის კვლავ პრიორიტეტული იყო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. 2017 წელს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ პროკურორებისთვის შემუშავებული რეკომენდაციის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიზნით, შეიქმნა სპეციალური კითხვარი, რომელშიც გაიწერა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესაძლო დაზარალებულის, ბრალდებულისა და მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის ინსტრუქცია. აღნიშნული კითხვარი დაეგზავნა პროკურატურის სისტემის თანამშრომლებს, რის შედეგადაც სისხლის სამართლის საქმეებში გაიზარდა სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი და ეფექტიანობა. 2017 წელს სიძულვილის მოტივის შესწავლა მიმდინარეობდა 86 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. კერძოდ, სექსუალური ორიენტაციის ნიშანი შესწავლილ იქნა - 12 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, გენდერული იდენტობის ნიშანი - 37 საქმის, სქესის/გენდერის ნიშანი - 25 საქმის, ეროვნული ნიშანი - 1 საქმის, ეთნიკური ნიშანი -1 საქმის, ხოლო რელიგიური ნიშანი - 10 საქმის ფარგლებში. | სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2017 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ. ამათგან, 4 პირს ბრალი წარედგინა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 4 პირს - გენდერული იდენტობის ნიშნით, 2 პირს - რელიგიური ნიშნით, 25 პირს - სქესის/გენდერის ნიშნით, 9 პირს სხვა ნიშნით (სავარაუდო ნიშანი გენდერული იდენტობა - 6 პირი, სექსუალური ორიენტაცია - 1 პირი, რელიგია - 2 პირი). აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მონაცემებით, ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირების რაოდენობა 2017 წელს გაორმაგებულია. ამასთან, თუკი 2016 წელს, პროკურორთა მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული იყო მხოლოდ სექსუალური ორიენტაციის ნიშანი, 2017 წელი ამ კუთხითაც შეინიშნება პროგრესი. კერძოდ, ზემოხსენებულ ნიშნის გარდა, პირთა ბრალდება მოხდა გენდერული იდენტობის მიმართ გამოვლენილი შეუწყნარებლობის გამოც. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ პროკურორების ცნობიერება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ამაღლდა და ასევე, დაიხვეწა გამოძიების პროცესში მოტივის იდენტიფიცირების ტექნიკა.<br><br>შინაგან საქმეთა სამინისტრომ და შსს აკადემიამ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობით 2016-2017 წლის ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში დაგეგმა და ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი“, სადაც | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მონაწილეობა მიიღეს შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის და ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლებმა. ტრენინგის განმავლობაში დაიფარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა:<br><br>• სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა, კონკორდატი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნა, ფუნქციები და საქმიანობა. რელიგიების დაფინანსება;<br>• საქართველოში გავრცელებული რელიგიები და მათი მიმოხილვა;<br>• რელიგიის თავისუფლება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით;<br>• დისკრიმინაციის დაუშვებლობა და რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების თავისებურებები, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების განხილვა. სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები.<br><br>შსს აკადემიაში 2017 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით ტრენინგი გაიარა 141 მსმენელმა.<br><br>2017 წლის 20 აპრილის მთავრობის დადგენილებით N200 დამტკიცდა საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები. ეთიკის კოდექსში განისაზღვრა სიძულვილის ენის აკრძალვისა და სექსუალური შევიწროების დაუშვებლობის შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები, სადაც დეტალურადაა განსაზღვრული როგორც შევიწროების დაუშვებლობის, ასევე გამოვლენისა და პრევენციის საკითხები. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ამასთანავე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში, ინტერ-რელიგიურ სათათბიროს ფორმატში ამ მიმართულებით მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, რელიგიური უმცირესობების ჩართულობით, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს პასუხისმგებელ უწყებებთან, ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რათა ეფექტურად მოხდეს ხელისშეწყობა კანონის განხორციელებისა და აღსრულებისათვის.<br><br>*იხ. ასევე რეკომენდაცია 117.44, 117.45, 117.46, 117.49 და 117.94.* | |
| 117.44 | ყველა საჭირო ზომა განახორციელოს, *inter alia*, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისა და ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით **(Take all necessary measures to effectively fight against discrimination, including against religious minorities and LGBTI persons)** | საფრანგეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. ასევე რეკომენდაცია 117.43, 117.45, 117.46 და 117.49.*<br><br>გარდა საბაზისო სასწავლო პროგრამების ფარგლებში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ ტრენინგებისა, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, პერმანენტულად მიმდინარეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები სამართალდამცავებისთვის.<br><br>2017 წლის 22-23 დეკემბერს, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „ლგბტი სოლიდარობის ქსელი საქართველოსა და სომხეთში", ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ორგანიზებით შსს-ს შესაბამისი დეპარტამენტების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები (სულ 14) ლგბტი პირთა უფლებების დაცვის თაობაზე. აღნიშნული | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კურსი მიზნად ისახავდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდას და პრევენციის მეთოდების დახვეწას. | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| 117.45 | შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამები მოსამართლეებისა და ზოგადად სასამართლო სისტემის თანამშრომლებისთვის, ასევე სასჯელაღსრულებისა და სამართალდამცავ სისტემებში დასაქმებული პირებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათი ცოდნის გაღრმავებას რასიზმთან დაკავშირებული დანაშაულების შესახებ კანონების ინტერპრეტაციისა და გამოყენების საკითხზე **(Development of training programmes for judges, personnel of the judiciary, penitentiaries and police forces, regarding the implementation and interpretation of the laws criminalizing racism-related offences)** | ჩილე | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება ტრენინგი მოსამართლეებისთვის თემაზე „დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები". ტრენინგი ხორციელდება 2015 წელს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ა.ი.პ. კავშირთან „საფარი" თანამშრომლობით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით შემუშავებული სასწავლო მოდულის გამოყენებით. 2016-2017 წლებში აღნიშნულ თემაზე ჩატარდა 3 ტრენინგი მოსამართლეებისთვის, რომელსაც დაესწრო 28 მოსამართლე.<br><br>გარდა ამისა, 2017 წელს, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით შეიმუშავა სასწავლო მოდული თემაზე „სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა ეფექტიანი განხილვა". სასწავლო მოდულის შემუშავების შემდეგ უცხოელმა ექსპერტებმა ქართველ მოსამართლეებს ჩაუტარეს ტრენერთა ტრენინგი (ToT), რის შემდეგაც ქართველმა მოსამართლეებმა ჩაატარეს საპილოტე ტრენინგი მოსამართლეებისთვის, რომელსაც დაესწრო 13 მონაწილე.<br><br>2016 წელს საქართველოს პროკურატურასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და | სსიპ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ადამიანის უფლებათა ოფისს (ODHIR) შორის გაფორმდა მემორანდუმი ე.წ. PAHCT (სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე პროკურორთა ტრენინგი) პროგრამის განხორციელების თაობაზე. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი გამოძიების თემაზე, 2017 წელს დატრენინგდა 24 პროკურორი პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან, რომლებმაც შემდგომში თავად განახორციელეს კასკადური ტრენინგები პროკურატურის თანამშრომელთათვის, მათ შორის სტაჟიორ-პროკურორებისთვის. გარდა ამისა, პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხები სტაჟიორ-პროკურორების სავალდებულო ტრენინგების ნაწილია. რაც შეეხება თავად პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, ტრენინგები ითვალისწინებს შემდეგ თემატიკას: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ცნება, მიკერძოების ინდიკატორები და გამოძების დაწყება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობა, საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები, სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელი ფაქტორები, მოტივის მტკიცებულება. ტრენინგის დიდი ნაწილი ეთმობა პრაქტიკულ სავარჯიშოებს, რომელთა დახმარებითაც მონაწილეები უკეთ იაზრებენ აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის მნიშვნელობას და მასზე სისხლისსამართლებრივი პროცედურების თავისებურებებს. დისკრიმინაციის ყველა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფორმით აკრძალვის ევროპული სტანდარტების თემაზე, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, შემუშავებულია სასწავლო პროგრამა და გადამზადებულია პროკურატურის სისტემის ტრენერების გუნდი. 2016 წელს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე განხორციელდა 12 ტრენინგი. პროფესიული მომზადება პროკურატურის სისტემის ყველა ტერიოტორიული ორგანოსა და სტრუქტურული დანაყოფის 264-მა წარმომადგენელმა გაიარა, რომელშიც მონაწილეობდნენ საშუალო რგოლის მენეჯერები, პროკურორები, სისტემის გამომძიებლები, სტაჟიორები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები. მათ შორის, 20-მა პროკურორმა, HELP-ის პროგრამის მეშვეობით გაიარა დისტანციური სწავლების კურსი - დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე. საქართველოს მთავარ პროკურატურაში შშმ პირებთან კომუნიკაციის თემაზე ჩატარდა 4 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარეს პროკურორებმა, პროკურატურის სისტემის გამომძიებლებმა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა. სწავლების პროცესში მონაწილეები გაეცნენ შშმ პირთა უფლებების დაცვის თემას, ადგილობრივ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე, სწავლების მიზანი იყო შშმ პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და სწორი დამოკიდებულების ფორმირება. ამასთან, სახალხო დამცველის აპარტსა და ODIHR-თან თანამშრომლობით, პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლებისათვის, დამატებით ჩატარდა 2 ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე, რომელშიც ჯამში 42 პირი მონაწილეობდა. 2017 წელს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ჩატარდა 13 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა ყველა ტერიტორიული ორგანოსა და შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის 257 წარმომადგენელი. მათ შორის, გადამზადება გაიარეს საშუალო რგოლის მენეჯერებმა, პროკურორებმა და პროკურატურის გამომძიებლებმა. აღნიშნული მიმართულებით გადამზადებას ყველა პროკურორი და სისტემის გამომძიებელი ეტაპობრივად გადის. ამასთან, ODIHR-თან თანამშრომლობით, 2016 წელს შემუშავდა და 2017 წლის დასაწყისში დაინერგა სასწავლო კურსი პროკურორებისთვის თემაზე - „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები.“ ასევე, შიდა ტრენერების და სახალხო დამცველის ოფისის ჩართულებით, განხორციელდა 2 ჯგუფის ტრენინგი. აღნიშნული პროგრამით გადამზადება გაიარეს პროკურორებმა და სისტემის გამომძიებლებმა. დამატებით, ევროპის საბჭოსა და ODIHR-ის მხარდაჭერით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე განხორციელდა 3 სასწავლო ვიზიტი. მათ შორის, მოხდა დიდი ბრიტანეთის პრაქტიკის გაზიარება და ჩატარდა 2 ტრენერთა ტრენინგი. წარმოდგენილ აქტივობებში საქართველოს პროკურატურიდან ჩართული იყო 10 მონაწილე. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და „სიძულივილით მოტივირებული დანაშაულების“ სასწავლო პროგრამები ინტეგრირებულია სტაჟიორთა მოსამზადებელ კურსში. 2017 წელს | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გადამზადება სტაჟიორთა 2-მა ჯგუფმა გაიარა და მასში, ჯამში 62 პირი იღებდა მონაწილეობას. 2017 წელს, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდთან, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრსა (EMC) და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფთან (WISG) თანამშრომლობით, პროკურორებისთვის ჩატარდა ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე.<br><br>იხ. ასევე 117.46 რეკომენდაცია. | |
| 117.46 | განახორციელოს ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფილი პროგრამები, მათ შორის საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისა და საზოგადოებისათვის, რათა რასობრივი და გენდერული/სექსუალური იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა იყოს ეფექტიანი **(Provide appropriate services with the necessary resources, including to train and raise the awareness of the** | ბელგია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2017 წლის 11-12 თებერვალს უზენაეს სასამართლოში გაიმართა ტრენინგი მოსამართლეებისა და თანაშემწეებისთვის თემაზე „ევროპული ანტიდისკრიმინაციული სამართლებრივი ჩარჩო“. 2017 წლის 25-26 მაისს უზენაეს სასართლოში, უზენაესი სასამართლოს თანაშემწეებისა და ანალიტიკური განყოფილების თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის და მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად.<br><br>გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად ატარებს ტრენინგს გენდერული თანასწორობის საკითხებზე. ტრენინგი ხორციელდება სასწავლო მოდულის საფუძველზე, რომელიც 2014 წელს შეიმუშავა იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროექტთან - | საქართველოს უზენაესი სასამართლო<br><br>სსიპ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **judiciary and the public, in order to ensure that these new measures adopted to fight racial discrimination or gender/sexual identity discrimination are effective)** | | | მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროგრამა (JILEP), გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით. 2016-2017 წლებში ჩატარდა 3 ტრენინგი მოსამართლეებისთვის თემაზე „მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით“, რომელსაც დაესწრო 37 მოქმედი მოსამართლე.<br><br>ამასთან, შსს ახორციელებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამას „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“. პროგრამაში მონაწილეობას იღებენ არაქართულენოვანი საჯარო სკოლების მოსწავლეებიც. პროგრამის მიზანია ახალგაზრდებში სხვადასხვა სახის დანაშაულის შესახებ ცნობიერების ამაღლება, მათ შორის ოჯახში ძალადობისა და ადრეული პრევენციის შესახებ. პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის საგანმანათლებლო პერიოდში ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლის, 3000-ზე მეტ მოსწავლესთან გამართეს საინფორმაციო-ინტერაქტიული გაკვეთილები.<br><br>ყოველი მომდევნო სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად გრძელდება პროექტ „სამართლებრივი განვითარების პროგრამის" განხორციელება საქართველოს 40 საჯარო სკოლაში. პროექტი ითვალისწინებს წინასწარ შედგენილი საგნის: „სამართლებრივი კულტურის" სწავლებას შერჩეული სკოლების | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მე-9 კლასელთათვის. აღნიშნული საგნის სწავლება მიმდინარეობს სამართალდამცვისა და სკოლის პედაგოგის ერთობლივი აქტივობით. გაკვეთილები ინტერაქტიულია, მოიცავს როლურ თამაშებს და გამიზნულია მოსწავლეებში სამართლის და მართლმსაჯულების სფეროში მათი უფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნის ამაღლებისკენ.<br><br>საგანი „სამართლებრივი კულტურა", გარდა სხვა თემებისა მოიცავს ინფორმაციას ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის შესახებ.<br><br>2017 სასწავლო წელს, აღნიშნული პროგრამა განხორციელდა აჭარის, სამეგრელოს, შიდა ქართლის, კახეთის, და თბილისის 32 საჯარო სკოლაში 27 პოლიციელის ჩართულობით.<br><br>დამატებითი ინფორმაციის სახით, იხ. რეკომენდაცია *იხ. ასევე რეკომენდაცია 117.43, 117.44, 117.45, 117.46 და 117.49.* | |
| 117.47 | ებრძოლოს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით მოტივირებულ სოციალურ სტიგმატიზაციას, სიძულვილის ენას, დისკრიმინაციასა და ძალადობას **(Combat social stigmatization, hate** | არგენტინა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.7, 117.20, 117.43, 117.44, 117.45, 117.46 და 117.49 რეკომენდაციები.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **speech, discrimination and violence motivated by sexual orientation or gender identity)** | | | | საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| 117.48 | გააუმჯობესოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის განხორციელება და აღსრულება, განსაკუთრებით სექსუალური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების დაცვის კუთხით **(Improve implementation and enforcement of the Law on the Elimination of All Forms of Discrimination, particularly in its application towards the protection of individuals belonging to sexual and religious minority groups)** | კანადა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. პასუხები 117.7, 117.20, 117.43. 117.44, 117.45, 117.46 და 117.94 რეკომენდაციებთან დაკავშირებით.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>სსიპ - რელიგიის საკითხთა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სახელმწიფო სააგენტო |
| 117.49 | ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო კამპანიებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით მოტივირებული სიძულვილის ენის, დისკრიმინაციისა და ძალადობის, ასევე ლგბტ პირების სტიგმატიზაციის საკითხებზე **(Support public education campaigns to combat hate speech, discrimination and violence related to sexual orientation and gender identity, as well as social stigmatization of LGBT persons)** | ბრაზილია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი 2016-2017 წლებში ახორციელებდა „ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ კამპანიას სიძულვილის ენის წინააღმდეგ ინტერნეტ სივრცეში"- აღნიშნული კამპანია ევროსაბჭოს მიერ 2012 წელს იქნა ინიცირებული. კამპანიის მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება სიძულვილის ენისა და მისი საფრთხეების შესახებ და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ინტერნეტ სივრცეში ნებისმიერი დისკრიმინაციის გამოვლინების წინააღმდეგ.<br><br>კამპანიის ფარგლებში, 2016 წლიდან დაიბეჭდა საინფორმაციო მასალები მაისურები, ბროშურები, სამკერდე ნიშნები და სხვ. აღნიშნული პროდუქციის გავრცელება ხდებოდა სხვადასხვა ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ ღონისძიებებზე.<br><br>ასევე შეიქმნა კამპანიის ოფიციალური ვებგვერდის ქართული ანალოგი. სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის შედეგად, ვებგვერდზე წარმოდგენილია სიძულვილის ენის შემცველი მასალის შეტყობინების საშუალება, რომელიც შემდეგ სახალხო დამცველის აპარატს ანალიზისთვის ეგზავნება. ასევე შეიქმნა კამპანიის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ვიდეო-რგოლი, რომელიც სოციალურ ქსელში გავრცელდა. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ვებგვერდი განკუთვნილია საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.<br><br>სამინისტრო (კერძოდ, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოსთან, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით. ცენტრი კოორდინაციას უწევს საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტში როგორც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების ქარტიის, ასევე, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დანერგვის აქტივობებს. ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი საერთაშორისო პროექტი (2015-2017წწ) დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში პროექტის ფარგლებში, ევროპის საბჭოს ტრენერთა მიერ, ორ ეტაპად ჩატარდა 100 საათიანი ტრენინგი. თანამშრომლობა შედგა საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც მასწავლებელთა მომზადების პროგრამებს ახორციელებს. ევროპის საბჭოს ტრენერთა თანადგომით, შეიქმნა ახალი სილაბუსები, არსებულთაგან გადამუშავდა როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურისთვის, მომზადდა 10-ზე მეტი ტრენინგმოდული.<br><br>2017 წელს სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ მიერ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ამაღლების მიზნით სხვადსხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის ორგანიზება გაეწია ტრენინგებს 92 ჯგუფისთვის, რომელსაც ესწრებოდა ჯამში 1071 მონაწილე (889 ქალი/182 კაცი).<br><br>*დამატებითი ინფორმაციის სახით იხ. 117.20 და 117.46 რეკომენდაციები.* | |
| 117.50 | გააძლიეროს ბრძოლა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ზედამხედველი პირების მიერ ჩადენილი წამების, არასათანადო, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ **(Strengthen its policy aimed at preventing torture, ill-treatment and other cruel or inhumane treatment by the sentence-execution officers in Georgian penitentiary establishments)** | ბულგარეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | წამების და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენციის მიზნით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შიდა კონტროლის გაუმჯობესებასთან ერთად, გაფართოვდა სახალხო დამცველის უფლებამოსილებები, კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად მომზადდა და გამოიცა „საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლების განხორციელების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის №123 ბრძანება, რომლითაც საქართველოს სახალხო დამცველს, აგრეთვე, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს მიენიჭათ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლება.<br><br>საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ასევე, ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, სამინისტრომ აქტიურად იმუშავა ე.წ. სტამბოლის პროტოკოლის | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოთხოვნების განხორციელებასთან დაკავშირებით, რისთვისაც შესაბამისი დოკუმენტი ითარგმნა ქართულ ენაზე და ევროსაბჭოს მიერ მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, განხორციელდა მისი სრული ანალიზი, რის საფუძველზეც, 2016 წლის 26 ოქტომბერს გამოიცა „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №131 ბრძანება.<br><br>ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის გარანტირებულია პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებზე გასაჩივრების უფლება. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხრიდან ხდება საჩივრის წარდგენა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთო სასამართლოებში. ყველა დაწესებულებაში ხელმისაწვდომია საჩივრის ყუთები.<br><br>პატიმრობის კოდექსში 2017 წლის პირველ ივნისს განხორციელებული ცვლილებებით კიდევ უფრო დაიხვეწა პირობით ვადამდე გათავისუფლების არსებული მექანიზმი, კერძოდ, პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი გახდა უფრო ეფექტური, კერძოდ: სასამართლო უფლებამოსილია ბათილად ცნოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება და დაავალოს მას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ ან მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.<br><br>იხ. ასევე რეკომენდაცია 117.51. | |
| 117.51 | განაგრძოს მუშაობა წამებისა და სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის შემთხვევების ეფექტური გამოძიების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებით აღიარებული სტანდარტების შესრულების მიზნით **(Enhance efforts to ensure compliance with international standards as set out in the Manual on the Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment)** | უნგრეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის №55 ბრძანებით შეიქმნა სამინისტროს გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს სამინისტროს გამგებლობის სფეროში სისტემური მონიტორინგის განხორციელებას, მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანგარიშის მომზადებას, აგრეთვე, სისტემური მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ხარვეზებისა და პრობლემების ანალიზსა და მათი აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენას.<br><br>2016 წლის 23 დეკემბერს „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №55 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც, სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დაემატა კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეული – სამედიცინო | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მომსახურების ხარისხის კონტროლის სამმართველო, რომლის ძირითადი ფუნქციაა პენიტენციურ დაწესებულებაში სათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევის კონტროლი, რითაც უკეთ შეეწყობა ხელი არასათანადო მოპყრობის ნიშნების აღმოჩენას და შესაბამისი რეაგირების განხორციელებას.<br><br>არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხის მართებულად გადაწყვეტისა და სწორი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, 2017 წელს პროკურატურის სისტემის თანამშრომლებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში მიმოხილულია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის გამიჯვნასთან დაკავშირებული საკითხები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ძირითადი სტანდარტები.<br><br>რეკომენდაცია შეისწავლა ევროსაბჭოს ექსპერტმა, რომელმაც საერთო ჯამში დადებითად შეაფასა იგი (ექსპერტის შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებულ იქნა). აღნიშნულმა დოკუმენტმა პოზიტიური როლი ითამაშა არასათანადო მოპყრობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაციის პროცესში. 2017 წელს, ევროკავშირთან და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, წამებისა და არასათანადო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოპყრობის თემაზე ტრენინგი გაიარა 39-მა პროკურორმა და გამომძიებელმა. სწავლება შეეხებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს და მის განმარტებებს, არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციის პრობლემებს, წამების აკრძალვის კომიტეტის (CPT) სტანდარტებს.<br><br>წამებასთან და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით საჯარო მოხელეების სწავლებისა და შესაბამისი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით შსს აკადემია მუდმივად ახორციელებს პოლიციელთა ცნობიერების ამაღლების პოლიტიკას. შსს სსიპ აკადემიაში როგორც საბაზისო სწავლების პროგრამებში, ასევე პოლიციელთა გადამზადებისა და დაწინაურების პროგრამებში გათვალისწინებულია აღნიშული საკითხები. საბაზისო სწავლების პროგრამებში გაიზარდა სალექციო საათების რაოდენობა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე. სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა წამების აკრძალვის აბსოლუტურ ბუნებას, ევროპის სასამართლოს პრეცედენტების განხილვას. განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა:<br><br>•წამების აკრძალვის ნორმის სტრუქტურა;<br>• წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის არსი, მათ შორის არსებული განსხვავება და ზღვარი;<br>•წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა; | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | • სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულება გამოძიების დაუყოვნებლივ, ობიექტურად და ეფექტურად ჩატარებასთან დაკავშირებით;<br>•არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში მტკიცების ტვირთის სახელმწიფოსთვის დაკისრება;<br>•სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება წამების აკრძალვასთან დაკავშირებით, პოლიციის განსაკუთრებული როლი არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.<br><br>შსს აკადემიაში დროებითი მოთავსების იზოლატორების მოსამსახურეთათვის დანერგილი სპეციალური მოკლევადიანი სასწავლო კურსის ფარგლებში 2016 წლის იანვრიდან 2018 წლის მაისის ჩათვლით გადამზადდა დეპარტამენტის 67 თანამშრომელი. აღნიშნული სასწავლო კურსი ნაწილობრივ დისტანციურად მიმდინარეობდა. 2018 წლის ბოლომდე გადამზადდება დროებითი მოთავსების იზოლატორების ყველა მოსამსახურე.<br><br>2017 წელს ქ. ბორჯომში, სამხრეთ კავკასიაში გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლობისა და შსს აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა სასწავლო ვიზიტი, რომლის თემატიკაც გახლდათ: დისკრიმინაციის აკრძალვა და წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა. სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღო შსს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის 13 თანამშრომელმა. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2016 წლის აგვისტოში დამტკიცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ახალი ტიპური დებულება და შინაგანაწესი. შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი თანამშრომელთა მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევებში შეტყობინების განხორციელების ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც იმ იზოლატორში, სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, შესაბამისი სამედიცინო შემოწმების შედეგების შესაბამისად, შეტყობინების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამედიცინო მუშაკი. ხოლო იმ იზოლატორებში, სადაც ადგილზე არ არის დასაქმებული სამედიცინო პერსონალი, საქართველოს პროკურატურისათვის შეტყობინების ვალდებულება შინაგანაწესის მიხედვით ეკისრება იზოლატორის უფროსს.<br><br>2016 წლის დეკემბერში შინაგან საქართველოს საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია, რომელსაც დანართის სახით თან ახლავს იზოლატორში მოთავსებული პირის იზოლატორში შემოყვანისას ჩატარებული სამედიცინო შემოწმების ფორმა. აღნიშნული შემოწმების ფორმა ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში იქნა შემუშავებული საერთაშორისო ექსპერტის მიერ და სრულად პასუხობს სტამბოლის ოქმის მოთხოვნებს. იმ იზოლატორებში სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოთავსებული პირების პირველადი სამედიცინო შემოწმება სწორედ მოცემული ფორმების შესაბამისად ხდება.<br><br>შსს გენერალური ინსპექცია შეისწავლის პოლიციის მხრიდან სავარაუდო სამართალდარღვევის (მათ შორის წამების, არაადამიანური მოპყრობის და ადამიანის უფლებათა დარღვევის) ყველა ფაქტს, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება როგორც შეტყობინების (ცხელი ხაზი - 126, 112) სახით, ასევე ღია წყაროებში გავრცელებული ან ოპერატიული ცნობების სახით. თითოეულ ფაქტზე ხდება კომპეტენციის ფარგლებში გარემოებების შესწავლა (მათ შორის კამერების ჩანაწერების შესწავლა) და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეგროვებული ცნობების პროკურატურისთვის მიწოდება. შსს გენერალური ინსპექცია ასევე ახორციელებს ზედამხედველობას, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების მიერ გამოვლენილი დაკავებულის სხეულის დაზიანებების შესახებ ყველა ინფორმაცია მიეწოდოს პროკურატურას. | |
| 117.52-117.53 | განახორციელოს ყველა საჭირო ზომა პატიმართა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობის თავიდან აცილების | ანდორა ავსტრია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ 2016 წლიდან განხორციელებული ღონისძიებები:<br><br>პენიტენციურ დაწესებულებათა გადატვირთულობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ 2015 წლის 27 აგვისტოს №106 ბრძანებით დამტკიცებულია პენიტენციურ დაწესებულებებში | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მიზნით **(Adopt the necessary measures to improve the living conditions of detainees and avoid prison overcrowding)** | | | ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი და დადგენილია ზღვრული ოდენობა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობასთან.<br><br>საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 აგვისტოს N88-№01-34/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული იყო ბრალდებულ/მსჯავრდებულთა კვების ნორმები და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რომლებიც მოიცავდა ყველა ტიპის/რისკის დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალსა და ენერგეტიკულ ღირებულებას, შესაბამისი სამედიცინო ჩვენების მქონე ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის დღიურ რაციონში შემავალ პროდუქტების ჩამონათვალსა და ენერგეტიკულ ღირებულებას, ასევე ერთი პროდუქტის სხვა პროდუქტით ჩანაცვლების შესაძლებლობას. დღიური რაციონი ასევე ითვალისწინებს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების კვებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.<br><br>სხვადასხვა საკანონმდებლო ღონისძიებების, პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოების ეფექტური მუშაობისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის შედეგად, საქართველოს | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რაოდენობა 24 000-დან 9 500-მდე შემცირდა.<br><br>2017 წელს პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, კანონმდებლობაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები.<br><br>ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის განტვირთვის მიზანს ემსახურება ცვლილება, რომლის თანახმად, უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობა/საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა) შეცვლის საკითხს განიხილავს სასამართლო და არა ადგილობრივი საბჭო, როგორც ეს ცვლილების განხორციელებამდე ხდებოდა.<br><br>სისხლის სამართლის კოდექსში დაინერგა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა. აღნიშნული ცვლილების ამოქმედებისთანავე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს მიეცა შესაძლებლობა მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა, მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შინაპატიმრობით. შინაპატიმრობა, როგორც | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით.<br><br>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი საბჭოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან და ქალ მსჯავრდებულებთან მიმართებაში ასევე ფასდება ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკები და საჭიროებები ამისთვის განსაზღვრული ფორმის და წესის შესაბამისად. 2017 წლის 1 დეკემბრიდან დაიწყო დაბალი რისკის მქონე სრულწლოვან მამაკაც მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში მათი ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრა.<br><br>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აქტიურად მუშაობს პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით, კერძოდ: ეტაპობრივად მიმდინარეობს სავენტილაციო, საკანალიზაციო, საშხაპეების და ელექტრო განათებების მოწესრიგება, მოქმედი ნორმების შესაბამისად ეწყობა სამედიცინო პუნქტები და დაწესებულებები სისტემატიურად მარაგდება სპორტული სავარჯიშო ინვენტარით. | |
| 117.54 | განავითაროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის მაღალი სტანდარტი, | ბოსნია და ჰერცეგოვინა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ 2016 წლიდან განხორციელებული ღონისძიებები:<br><br>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ლიბერალური, ადამიანის | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რათა თავიდან იქნეს აცილებული ძალაუფლების გადამეტების შემთხვევები და შესაძლებელი გახდეს ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა **(Develop a high standard of human resource management to avoid administrative infractions and human rights violations in prisons)** | | | უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკა მიმართულია პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა კომპეტენციის ამაღლებისა და ინსტიტუციური მექანიზმის გაუმჯობესებისაკენ.<br><br>ადამიანური რესურსების მართვის მოდელის გაუმჯობესების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობითა და მონაწილეობით.<br><br>ამავდროულად, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით, სამინისტრო რეგულარულად ახორციელებს პენიტენციურ დაწესებულებებში მომსახურე პირთა გადამზადებას თემატურ საკითხებთან დაკავშირებით.<br><br>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ძირითად სასწავლო, მათ შორის სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების, სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების პროგრამებში, აგრეთვე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა მომზადების პირველი და მე-2 დონის სასწავლო პროგრამებში, სხვა საკითხებთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, წამებისა და სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებით მსმენელთა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ცნობიერების ამაღლებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ადამიანური რესურსების მართვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას, ძალაუფლების გადამეტების შემთხვევების თავიდან აცილებას და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას.<br><br>იხ. ასევე რეკომენდაცია 117.54. | |
| 117.55 | განაგრძოს მუშაობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით **(Continue the efforts to strengthen human rights protection in penitentiary establishments)** | ბულგარეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სტრატეგია მიმართულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისაკენ.<br><br>სამინისტრო რეგულარულად ახორციელებს საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების, საერთაშორისო ინსტიტუტების ანგარიშების ანალიზსა და პრაქტიკაში იმპლემენტაციას. სამინისტროს პრიორიტულ მიმართულებად ადამიანის უფლებათა დაცვა გათვალისწინებულია ყველა ეროვნულ სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიაში. | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |
| 117.56 | განაგრძოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, განსაკუთრებით წინასწარი პატიმრობის დროს, პირობების გაუმჯობესება **(Continue improving the conditions in prisons, particularly to focus on** | ავსტრალია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.55 რეკომენდაცია.* | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **conditions around pretrial detention)** | | | | |
| 117.57 | უზრუნველყოს ხანგრძლივი ვიზიტები ქალი პატიმრებისთვის, განსაკუთრებით ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით **(Provide female prisoners with long-term visits, especially taking into account the best interest of their children)** | ხორვატია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | პატიმრობის კოდექსის მიხედვით, ქალი მსჯავრდებულისათვის, ოჯახის წევრებთან ურთიერთობის მიზნით, გარანტირებულია პაემნის არაერთი სახით სარგებლობის უფლება, კერძოდ:<br>• ხანმოკლე პაემანი - ეწყობა ერთიდან ორ საათამდე ვადით. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;<br>• საოჯახო პაემანი - გრძელდება არა უმეტეს 3 საათისა. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 საოჯახო პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი საოჯახო პაემანი;<br>• ვიდეო პაემანი - ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. ქალ მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია 10 კალენდარული დღის განმავლობაში არაუმეტეს ერთხელ, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში დამატებით ერთხელ;<br>• ხანგრძლივი პაემანი - გრძელდება არაუმეტეს 23 საათისა. ქალ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 3 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 2 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. ამასთან, მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით კუთვნილი ხანგრძლივი პაემანი წელიწადში ერთხელ შეიძლება გაუგრძელდეს არაუმეტეს 47 საათამდე.<br>• გარდა ზემოხსენებულისა, დედის შუამდგომლობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით და ამ დაწესებულების დირექტორის თანხმობით, შესაძლებელია დედისა და 3 წლამდე ასაკის ბავშვის ერთად ცხოვრება ქალთა სპეციალური დაწესებულებაში. ქალ მსჯავრდებულს, რომლის 3 წელს მიღწეულმა შვილმა დატოვა ქალთა სპეციალური დაწესებულება, უფლება აქვს, დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, შვილთან ურთიერთობის მიზნით, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში დატოვოს დაწესებულება. აღნიშნული უფლებით სარგებლობა დამატებით უწყობს ხელს ქალ მსჯავრდებულს ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნებას.<br><br>რაც შეეხება, ბრალდებულს, ქალი ბრალდებული სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით, რაც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე. | |
| 117.58 | განახორციელოს ყველა საჭირო ზომა ქალთა მიმართ ძალადობისა | ალჟირი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ | *დამატებითი ინფორმაციის სახით იხ. 117.6; 117.7, 117.38, 117.39, 117.46, 117.59, 117.60 და 117.63 რეკომენდაციები.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით **(Take the necessary measures to fight violence against women and domestic violence)** | | შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | | სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| 117.59 | გაატაროს ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებისა და პრევენციული ღონისძიებები **(Step up awareness-raising and preventive measures on the issue of domestic violence)** | ბელარუსი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულის პრევენციისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით 2016-2017 წლებში „ადგილობრივი საბჭოს“ და ,,საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტების ფარგლებში ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. „ადგილობრივი საბჭო“ რეგიონულ დონეზე საკოორდინაციო ორგანოს წარმოადგენს. საბჭოში გაწევრიანებულნი არიან სამართალდამცავი ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის, აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა წევრები. საბჭოს ძირითადი ფუნქციაა რეგიონში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის განხილვა, რეგიონისთვის საჭირო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ინიციატივების | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შემუშავება, სხვა სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირებული გეგმის დასახვა. „ადგილობრივი 6 საბჭოს“ ფარგლებში ჩატარდა 26 შეხვედრა (748 მონაწილე), რამაც მოიცვა დედაქალაქი და საქართველოს ყველა რეგიონი.<br><br>პროექტ ,,საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა სხვადასხვა ადგილობრივი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, საკრებულოს წევრებთან, სოფლის რწმუნებულებთან, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან, სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და დირექტორებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან. აქტივობები, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავდა მონაწილეთათვის ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულის, არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის, ადრეული ქორწინების, ქორწინების იძულების, ადევნების და სხვა დანაშაულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და სტატისტიკური მონაცემების გაცნობას, აღნიშნული დანაშაულების გამომწვევი მიზეზებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ მსჯელობას. შეხვედრების მონაწილეებს დაურიგდათ სამენოვანი (რუსული, სომხური და აზერბაიჯანული) საინფორმაციო ბუკლეტები: „ოჯახში ძალადობა, სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწეველთან”. 2017 წელს ,,საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში ჩატარდა 151 ასეთი შეხვედრა | სსიპ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საქართველოს ყველა რეგიონში, რომელსაც დაახლოებით 7600-მდე პირი დაესწრო. პროკურორები მონაწილეობენ არა მარტო საკუთარი ინიციატივით, არამედ სხვა უწყებების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს - „შსს-ს ხელშეწყობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში”. ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი პოლიტიკის შექმნის ხელშეწყობის მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია თემატური შეხვედრების ორგანიზება საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი პოლიციის, პროკურატურის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სასამართლოს და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით, რათა შეიქმნას თანამშრომლობის ქსელი და გაუმჯობესდეს ჩართულ მხარეებს შორის კოორდინაცია. 2017 წელს მსგავსი ფორმატის 7 შეხვედრა გაიმართა აჭარაში, სამეგრელოში, კახეთში, შიდა ქართლში. შეხვედრებში 7 მონაწილეობას იღებდნენ პროკურატურის წარმომადგენლები, ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მომუშავე პროკურორები.<br><br>2017 წელს, საჯარო სკოლებში გამოცხადდა ვიდეორგოლების კონკურსი ,,მოზარდები ძალადობის წინააღმდეგ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 307-მა საჯარო სკოლამ და 2279-მა მოსწავლემ. ფინალისთვის გამოვლინდა 21 ვიდეორგოლი, რომელთაგან ჟიურის მიერ სამი დასახელდა გამარჯვებულად. ასევე, „დაზარალებულთა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კვირეულის“ ფარგლებში აღნიშნულ თემაზე ჩატარდა 6 შეხვედრა მოსწავლეებთან, 10 შეხვედრა სტუდენტებთან და 6 შეხვედრა მოსახლეობასთან.<br><br>გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული სამართლებრივი მექანიზმების შესახებ, ასევე ინფორმაცია შსს ცხელი ხაზის 112 და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოქალაქეთა საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ.<br><br>სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა 2017 წლის ნოემბრიდან დაიწყოსაინფორმაციო კამპანია სლოგანით "აიხილე თვალები" რომელიც 2018 წელსაც გაგრძელდება. კამპანიის ძირითად მიზანს წამოადგენს მოსახლეობის ინფორმირება ძალადობისგან დაცვის ეროვნული ცხელი ხაზის (116-006) შესახებ.<br><br>კამპანიის ფარგლებში ამოქმედდა საიტი- www.sheachere.ge, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი საკუთარი ქმედებით გამოცდის, თუ როგორ შეიძლება ძალადობის შეჩერება. ვებ კამერისა და თვალების მოძრაობის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენებით, საიტი აჩერებს ან აგრძელებს ოჯახში ძალადობის ამსახველ სცენას; კამპანიის ფარგლებში შეიქმნა ვიდეო რგოლები და გარე სარეკლამო მასალები.<br><br>უწყებათაშორისმა კომისიამ შეიმუშავა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთიანი ეროვნული საკომუნიკაციო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2020. აღნიშნული დოკუმენტები ხელს შეუწყობს პასუხისმგებელ უწყებათა მიერ კოორდინირებულ და ეფექტიან მუშაობას და სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის.<br><br>2017 წელს, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ევროპის საბჭოსა (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით შეიმუშავა სასწავლო მოდული თემაზე ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა. სასწავლო მოდულის შემუშავებაში ჩართული იყვნენ გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტი და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ნომინირებული ქართველი მოსამართლე-ექსპერტები. სასწავლო მოდულის შემუშავების შემდეგ, პარტნიორი ორგანიზაციის ექსპერტმა ჩაატარა ტრენერთა ტრენინგი (ToT) აღნიშნულ პროცესში ჩართული მოსამართლეებისთვის, რომელთაც შემდგომში ჩაატარეს საპილოტე ტრენინგი მოქმედი მოსამართლეებისთვის, რომელსაც დაესწრო 13 მოსამართლე.<br><br>2017 წელს სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ მიერ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადსხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის ორგანიზება გაეწია ტრენინგებს 92 ჯგუფისთვის, რომელსაც ესწრებოდა ჯამში 1071 მონაწილე (889 ქალი/182 კაცი).<br><br>ამასთან, 2017 წლის თებერვლიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო საინფორმაციო კამპანია | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელწოდებით „იმოქმედე“. სოციალური კამპანიის მიზანია მოსახლეობის ინფორმირება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე არსებულ საკანონმდებლო/ინსტიტუციურ მექანიზმებზე და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების გააქტიურება. კამპანიის ფარგლებში საქართველოს მოსახლეობისთვის ჩატარდა ტრენინგები (78 ჯგუფი, 886 მონაწილე), დამზადდა სამი ვიდეორგოლი, პოსტერების შემქნის მიზნით გამოცხადდა კონკურსი და შეიქმნა ონლაინ პლატფორმა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ - http://imoqmede.ge/. ვებგვერდზე განთავსებულია ანონიმური წერილის ფორმა, რომლის საშუალებითაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლსა თუ ძალადობის თვითმხილველს შესაძლებლობა აქვს, პრობლემის შესახებ აცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.<br><br>სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ტრენერების[2] რესურსით მომზადდა სპეციალური 3 საათიანი პროგრამა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივ საშუალებებზე. 2017 წლის 13 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით საპილოტო რეჟიმში გამოიცადა აღნიშნული პროგრამა 9 ჯგუფთან ჩატარებული უფასო ტრენინგების ფარგლებში. აღნიშნულ ტრენინგებს დაესწრო ჯამში 98 მონაწილე (80 ქალი; 18 კაცი). ტრენინგზე უფასოდ დასწრების | |

[2] იხ. სქოლიო 2.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შესაძლებლობა ჰქონდა 14 წლის ასაკიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.<br><br>ტრენინგები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში ტარდებოდა ორ ენაზე (ქართულად და ეთნიკური უმცირესობის შესაბამის ენაზე), სომეხი და აზერბაიჯანელი ტრენერების თანამონაწილეობით, შესაბამის ენაზე ნათარგმნი სასწავლო მასალის გამოყენებით. აღნიშნული მიდგომით/ფორმატით ტრენინგები ჩატარდა ახალციხეში, კუმურდოში, ბარალეთში, ფოკაში, მარნეულში, კაბალში, იორმუღანლოსა და სადახლოში (ჯამში 97 მონაწილე).<br><br>ამასთან, დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ივნისი/ივლისის თვეში გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია - ქალთა საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით გურიისა და ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის (მაღალი რანგის თანამდებობის პირებისთვის- გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები, შესაბამისი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები), ასევე, სამართალდამცავი ორგანოს და სხვა სერვისის მიმწოდებელი უწყების წარმომადგენელებისთვის გაიმართა 2 დღიანი (13 სთ) გასვლით ტრენინგი თემაზე: „გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის“. ტრენინგი ჩატარდა კახეთში, სოფელ ნაფარეულში და | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | აჭარაში, ქ. ქობულეთში, ჯამში 4 ჯგუფისთვის, რომელსაც ესწრებოდა სულ 66 მონაწილე (40 ქალი/26 კაცი).<br><br>აღნიშნულმა ღონისძიებამ მოიცვა ქვემო ქართლის და გურიის ყველა, ათივე, მუნიციპალიტეტი (ქვემო ქართლი - 7; გურია- 3). ჯამში გადამზადდა 66 პირი.<br><br>2017 წლის 29 ნოემბერს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ინიციატივით, მაცნეს კლუბის წევრებთან (სხვადასხვა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან) შედგა ორსაათიანი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის" ტრენერმა მონაწილეებს გააცნო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეები. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა 21 მონაწილე.<br><br>*დამატებითი ინფორმაციის სახით იხ. 117.6; 117.7, 117.38, 117.39, 117.46, 117.59, 117.60 და 117.63 რეკომენდაციები.* | |
| 117.60 | განახორციელოს ზომები ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით, მათ შორის განახორციელოს ცნობიერების ამაღლების აქტივობები, წაახალისოს ქალები, | სლოვენია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2016-2018 წლებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში სახელმწიფო ფონდი) პროექტის - ,,საქართველოში ოჯახში ძალადობის | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რომ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებში განაცხადონ სექსუალური ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ, დაიცვას მსხვერპლები და უზრუნველყოს ეფექტური გამოძიება, დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და დასჯა **(Take measures to prevent domestic violence, including by raising awareness, encouraging women to report acts of sexual and domestic violence, protecting the victims and ensuring the effective investigation, prosecution and punishment of perpetrators)** | | | შემცირება" ფარგლებში, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, გაიმართა 49 საინფორმაციო შეხვედრა/საჯარო ლექცია (დამსწრეთა რაოდენობა - 1400); დამზადდა ვიდეო-აუდიო რგოლები და განთავსდა საეთერო ბადეში; მომზადდა ოთხენოვანი ბროშურები საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით. გაიმართა 7 აქცია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და გავრცელდა.<br><br>2016 წელს:<br><br>• მომზადდა ოთხენოვანი (ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული) ბროშურა და დაიბეჭდა 500 ეგზემპლარად;<br>• დაიბეჭდა 300 კალენდარი, რომელზეც გამოსახული იყო ძალადობის საწინააღმდეგო გზავნილი და ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) ნომერი.<br>• ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო ცხელი ხაზის ამსახველი სარეკლამო ბანერები გაკრულ იქნა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე;<br>• შეიქმნა ფეისბუქ გვერდი: ,,არა ძალადობას“.<br><br>**გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში:**<br>• ილიას უნივერსიტეტში, ღია კარის პრინციპით, გაიმართა ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ: სტუდენტები, მედიის წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა მოწვეული სტუმრები. მომხსენებლებმა | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიმოიხილეს საერთაშორისო ორგანიზაციების (USAID, UN Women, UNFPA) როლი გენდერული ნიშნით ძალადობის დაძლევის საქმეში. ასევე, მოხდა ფონდის ანგარიშის, ახალი ვებგვერდისა და კამპანიის ფარგლებში მომზადებული ვიდეო რგოლის ჩვენება.<br>• საინფორმაციო აქციები/ღონისძიებები გაიმართა: თბილისში, ქუთაისში, გორში, სიღნაღში, ბათუმსა და ახალქალაქში. აქციის ფარგლებში დარიგდა საინფორმაციო ბროშურები და სხვა მასალები საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) ნომრის გამოსახულებით.<br>• ფონდის თანამშრომლებმა სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან ერთად ფონდის კრიზისული ცენტრის კედელი მოხატეს.<br><br>2017 წელს:<br>• დაიბეჭდა 60.000 ცალი ოთხენოვანი (ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული) ბროშურა;<br>• დაიბეჭდა 22.750 ცალი ფლაერი; 10.000 ცალი პოსტერი; 200 ცალი კალენდარი, ძალადობის საწინააღმდეგო გზავნილითა და ცხელი ხაზის (116 006) ნომრით. ასევე, დამზადდა: 200 ცალი ბლოკნოტი, 320 ცალი კალამი და 100 ცალი საქაღალდე.<br><br>• გორში, ბათუმში, სიღნაღში გაიმართა აქციები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. აქცია მიზნად ისახავდა ოჯახში ძალადობის პრობლემის მიმართ რეგიონული მოსახლეობის მგრძნობელობის ამაღლებას და სახელმწიფო სერვისებისა და ძალადობისგან დაცვის საკონსულტაციო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ცხელი ხაზის პოპულარიზაციას. მუყაოს ტორსებზე, მოკლული ქალების ისტორიები გამოიფინა, დარიგდა ბუშტები ცხელი ხაზის ნომრის გამოსახულებით.<br><br>**გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში**<br>• ჩატარდა 3 ღონისძიება, კერძოდ: „ფაბრიკაში“ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის გახსნა გაიმართა; მეტროსადგურ "პოლიტექნიკურთან" აქცია-პერფორმანსი გაიმართა; წიგნის სახლ "ლიგამუსში", გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა სოციალურ მუშაკთა გადამზადების დასრულებასთან დაკავშირებით. ასევე, საქართველოს მასშტაბით დაიგზავანა 2 მილიონი მოკლეტექსტური შეტყობინება: „აიხილე თვალი, შეაჩერე ძალადობა“.<br>• შპს „რედბერისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, განხორციელდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია სოციალური, ტელე და ბეჭდური მედიის გამოყენებით. კერძოდ: კამპანია "აიხილე თვალების" ფარგლებში შეიქმნა ვებ-საიტი sheachere.ge; დამზადდა 3 ვიდეო რგოლი; დამზადდა სოციალური ვიდეო რგოლი; მოხდა სოციალური მედიის მხარდაჭერა; ვიდეო რგოლი გაშვებულ იქნა 4 თვის განმავლობაში .<br><br>ფონდის პროექტის „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ (UNWOMEN) - ფარგლებში განხორციელდა: | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | • ქ. თბილისის მუნიციპალურ ტრანსპორტზე (ავტობუსები, მეტროსადგურები) ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის სარეკლამო სტიკერების განთავსება.<br><br>2016 წელს ცხელი ხაზის – 116-006 (მათ შორის 2309903) მომსახურებით ისარგებლა – 1419 ადამიანმა (მათ შორის: მდედრ. 1210; მამრ – 209).<br><br>2017 წელს ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ცხელი ხაზის (116006) მომსახურებით ისარგებლა – 2135 ადამიანმა (მათ შორის: მდედრ. 1793; მამრ. 342).<br><br>დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს ფონდის განახლებული ვებ-გვერდი www.atipfund.gov.ge. და **facebook** გვერდები Atipfund Georgia და ,,ოჯახში ძალადობის შემცირება საქართველოში". აღნიშნული Facebook გვერდების საშუალებით, გარდა ინფორმირებულობისა, ხორციელდება მოქალაქეთათვის კონსულტაციების გაწევა. მოქალაქეებს მათთვის საინტერესო კითხვის დასმა შეუძლიათ Facebook Messenger-ის და აგრეთვე საიტზე ასახული ელ. მისამართის საშუალებით atipfund@moh.gov.ge<br><br>*იხ. 117.6; 117.20, 117.37, 117.38, 117.39, 117.46, 117.59 , 117.60 და 117.63 რეკომენდაციები.* | |
| 117.61 | გააუმჯობესოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები, მათ შორის უზრუნველყოს | კანადა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან | 2017 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ოჯახურ დანაშაულებზე მომუშავე პროკურორებისა და იმ სამსახურების, ფონდებისა და ორგანიზაციების | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დროული გამოძიება და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა, აგრეთვე, გადაამზადოს პოლიციის თანამშრომლები რისკის სათანადოდ შეფასების საკითხებზე **(Improve protections for victims of domestic violence, including by ensuring timely investigations, prosecuting perpetrators, and training police in risk-based assessments)** | | შესრულების პროცესშია | წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც დაზარალებულ პირებს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო დახმარებას ან/და თავშესაფარს სთავაზობენ. პროკურორებს მიეწოდათ ინფორმაცია აღმოსავლეთ საქართველოში არსებული სერვისების შესახებ, რომლებსაც პროკურორები დაზარალებულთა სრულყოფილად ინფორმირებისა და დახმარების პროცესში გამოიყენებენ. 2018 წელს დაგეგმილია ანალოგიური შეხვედრის გამართვა დასავლეთ საქართველოში.<br><br>2017 წელს, გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი შსს-სა და გაეროს ქალთა ორგანიზაციას შორის, რომლის მიზანია რისკების ანალიზის სისტემის შემუშავება და დანერგვა.<br><br>თანამშრომლობის შედეგად მომზადებულია დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც 2018 წელს დაინერგება პრაქტიკაში.<br><br>*იხ. 117.6; 117.20, 117.37, 117.38, 117.39, 117.46, 117.59, 117.60 და117.63 რეკომენდაციები.* | უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| 117.62 | შექმნას გენდერული ძალადობის მსხვერპლ ქალთა და გოგონათა დახმარების ცენტრები **(Establish centres supporting women and girl victims of gender violence)** | ესპანეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (სახელმწიფო ფონდი) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებსა და სავარაუდო მსხვერპლებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებებს. 2016 წელს გაიხსნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი) კახეთი რეგიონში და კრიზისული ცენტრი თბილისში; 2017 წელს | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გაიხსნა კრიზისული ცენტრი (დღის მომსახურების კომპონენტი) ქუთაისში, ხოლო 2018 წელს კრიზისული ცენტრი - გორში. დღეს არსებული მდგომარეობით ხელმისაწვდომია ძალადობის 5 სახელმწიფო თავშესაფარი (სხვადასხვა რეგიონში) და 3 კრიზისული ცენტრი.<br><br>2017 წლის ივლისიდან ფონდის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრის ფარგლებში უზრუნველყოფილია მომსახურებების მიწოდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის.<br><br>სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობა შეუძლია პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, ხოლო სავარაუდო მსხვერპლთათვის ფუნქციონირებს სახელმწიფო კრიზისული ცენტრი. | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |
| 117.63 | ოჯახში ძალადობის შემთხვევების ეფექტური გამოძიებისა და მსხვერპლთა მხარდაჭერისა და დახმარების გზით გააძლიეროს მუშაობა ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით<br>**(Redouble its efforts in the fight against domestic violence by ensuring effective investigation into incidents of domestic violence and providing** | მაკედონია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ოჯახური დანაშაულის საქმეებში ჩართვის მიზნით, ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით მომზადდა კონცეფცია ოჯახური დანაშაულის საქმეებში კოორდინატორთა ჩართვის შესახებ; პროკურატურის მენეჯერებისა და კოორდინატორების მონაწილეობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 26 პირი ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და ბავშვთა ექსპლუატაციის თემატიკაზე; მომზადდა წინადადებები სისხლის სამართლის კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **adequate support and assistance to victims)** | | | დასწრების უფლება ოჯახური დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირების მონაწილეობით ჩასატარებელ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებზე.<br><br>2016 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 8573 პირმა, ხოლო 2017 წელს 9913-მა პირმა (მოწმემ, დაზარალებულმა, განმცხადებელმა). 2017 წელს კოორდინატორები აქტიურად ჩაერთნენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიაში. 2017 წლის 27 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებითა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს 7 ქალაქში ჩატარდა დაზარალებულთა კვირეული სლოგანით - „დაინახე, განაცხადე, შეაჩერე!“. კვირეული მიზნად ისახავდა დაზარალებულთა უფლებებისა და კოორდინატორის სამსახურის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობასა და დანაშაულის პრევენციას. კვირეულის ფარგლებში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების აქტიური მონაწილეობით, ჩატარდა 48 ღონისძიება. მათ შორის, ლისის ტბაზე გაიმართა დაზარალებულთა უფლებებისადმი მიძღვნილი მარათონი. ჩატარდა კონფერენცია დაზარალებულის უფლებების, საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასამართლოს, პროკურატურის, საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ასევე, ყველა იმ უწყების | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის ადა სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | წარმომადგენლებმა, რომლებსაც სხვადასხვა ეტაპზე შეხება აქვთ დაზარალებულებთან; მოეწყო ოჯახში ძალადობის თემაზე დოკუმენტური ფილმის ჩვენება სკოლის მოსწავლეებთან; ძალადობის თემაზე ჩატარდა არტ-ნამუშევრების კონკურსი. კონკურსისთვის წარმოდგენილი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო ,,თბილისი მოლში“, სადაც ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა საუკეთესო სამი ნამუშევრის ავტორი; კოორდინატორების, პროკურორებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით 7 ქალაქში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლური ლენტებით გაფორმებული ხეები დაირგო.<br><br>2016-2017 წლებში ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე ჩატარდა ტრენინგები ჯანდაცვის მუშაკებისთვის (სულ დატრენინგდა 183 ჯანდაცვის მუშაკი). ასევე, შემუშავდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურების პროექტი „ჯანდაცვის მომსახურებების გაწევა გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალდობაზე დარგთაშორისი რეაგირებისას“, რომელზე დაყრდნობითაც, 2017 წელს, მომზადდა სათანადო ცვლილებების პროექტები.<br>2017 წლის თებერვლიდან, ცხელ ხაზზე - 116006 - კონსულტაციის მიღება, გარდა ოჯახში ძალადობის საკითხებისა, ასევე შესაძლებელია ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის საკითხებზეც. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2017 წელს მომზადდა სათანადო ცვლილებების პროექტები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესსა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N108/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესში“, რომლებიც 2018 წლის 9 იანვარს დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით: ა) საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის N01-1/ნ ბრძანება „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ„ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს #01-41/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; ბ) საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის N01-2/ნ ბრძანება „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ„ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N108/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.<br><br>2017 წლის თებერვლიდან, ფონდის ფარგლებში მოქმედ ცხელ ხაზზე - 116006 - კონსულტაციის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიღება, გარდა ოჯახში ძალადობის საკითხებისა, ასევე შესაძლებელია ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის საკითხებზეც, ხოლო 2017 წლის 01 მარტიდან ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა, ქართული ენის გარდა, უზრუნველყოფილია დამატებით 7 უცხოურ ენაზე (ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე).<br><br>საქართველოს მთავრობა 2015 წლიდან ახორციელებს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამას, რომლის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და/ან სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამაში მონაწილეობის მიღებისას უპირატესი უფლება სხვა პირებთან ერთად ენიჭებათ ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებს.<br><br>*იხ. 117.6; 117.20, 117.32. 117.35, 117.37, 117.38, 117.39, 117.46, 117.59 და 117.60 რეკომენდაციები.* | |
| 117.64 | განახორციელოს შესაბამისი ზომები ბავშვთა, ადრეული და იძულებითი ქორწინებების | განა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან | ბავშვთა ქორწინების პრევენციის მიზნით 2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით აიკრძალა 16 წლიდან 18 | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | აღმოფხვრისთვის **(Take steps to address reported allegations of child and early and forced marriages)** | | შესრულების პროცესშია | წლამდე არასრულწლოვნების ქორწინება მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით ან/და პატივსადები მიზეზების არსებობისას (მაგ: ორსულობა), სასამართლოს ნებართვით. 2017 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად პირს რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა შეუძლია მხოლოდ 18 წლის ასაკიდან.<br><br>რაც შეეხება იძლებით ქორწინებას, 2014 წლის ოქტომბრიდან სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პასუხხისმგებლობას, როგორც რეგისტრირებულ, ისე არარეგისტრირებული ქორწინების იძულების შემთხვევაში. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 117.65 | აღმოფხვრას ბავშვთა ქორწინების პრაქტიკა ყველა ეთნიკურ ჯგუფში **(Prevent the practice of child marriage among all ethnic groups)** | პორტუგალია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.64 რეკომენდაცია.*<br><br>2016-2017 წლებში განმავლობაში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა სხვადასხვა თემატური საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა. შეხვედრების განმავლობაში, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე, უფრო კონკრეტულად, ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის მიმართულებით.<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, UNFPA და საქართველოს შინაგან | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საქმეთა სამინისტროს ერთობლივი კამპანიის „ადრეული ქორწინების წინააღმდეგ“, „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით, სისტემატურად ტარდებოდა გასვლით ღონისძიებები საქართველოს რეგიონებში, სადაც შედარებით ხშირად ფიქსირდება ადრეული ქორწინების ფაქტები. საჯარო სკოლებში მშობლებისთვის ჩატარდა საჯარო შეხვედრები, სადაც განხილულ იქნა ადრეული ქორწინებასთან დაკავშირებული რისკები. შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობდნენ რელიგიური და თემის ლიდერები.<br><br>2016 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მიერ ხორციელდებოდა „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამა“, რომლის ერთ-ერთი მიმართულებას მშობელთათვის ადრეული ქორწინების რისკების გაცნობა (სამართლებრივი, ჯანმრთელობის და უწყვეტი განათლების მიღებასთან დაკავშირებით) წარმოადგენდა. ჩატარდა 11 შეხვედრა/საჯარო ლექცია მშობლებთან საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ხშირად ფიქსირდება ადრეული ქორწინების ფაქტები. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, ადგილობრივი სამართალდამცავი, ადგილობრივი სოც.მუშაკი.<br><br>გაეროს გენდერის თემატური ჯგუფის და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | უწყებათაშორისი კომისიის ინიციატივით შექმნილია „სამუშაო ჯგუფი ადრეული ქორწინების პრევენციის საკითხზე“. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მარტიდან ჯგუფის მანდატი გაფართოვდა და დღეს უკვე მოიცავს ქალთა გენიტალიების დასახიჩრებისა და ადრეული ქორწინების საზიანო პრაქტიკის პრევენციას.<br><br>2017 წლის 7 მარტის სამუშაო შეხვედრის შედეგად, ჯგუფის მიერ განისაზღვრა ძირითადი საქმიანობები, რომელთაგან, ერთ-ერთი უკავშირდება ადრეული/ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკის შესახებ თვისებრივი კვლევის შედეგებისა და წინასწარი რეკომენდაციების განხილვასა და სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მთავრობისათვის რეკომენდაციათა პაკეტის წარდგენას.<br><br>ადრეული/ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკის შესახებ კვლევა, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა (NCDC) და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის - პრომუნდოს თანამშრომლობით ხორციელდება.<br><br>სამუშაო ჯგუფის მიერ 2016 წელს შემუშავებული რეკომენდაციები სათანადოდ იქნა ასახული 2018-2020 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმებში.<br><br>გარდა ამისა, 2017 წლის 11 ივლისს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, კავშირი „21-ე საუკუნეს“ და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის თანამშრომლობით, გაიმართა კონფერენცია „რელიგიის როლი ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღმოფხვრაში“. კონფერენციაზე წარმოდგენილნი იყვნენ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს სასულიერო პირები თბილისიდან და საქართველოს რეგიონებიდან, რელიგიათაშორისი საბჭოს წევრები, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.<br><br>აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ფარგლებში მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს განცხადება ადრეული/ბავშვთა ქორწინებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. | |
| 117.66 | განახორციელოს გაეროს ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციები ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციით ნაკისრი | შვეიცარია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.6, 117.11, 11746, 117.59, 117.64, 117.71 და 117.116 რეკომენდაციები.* | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ვალდებულებების შესრულების მიზნით, კერძოდ, ეფექტურად აღასრულოს ადრეული და იძულებითი ქორწინებების აკრძალვა, *inter alia*, ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობის გზით **(Implement the recommendations of the Committee on the Elimination of Discrimination against Women for better observance of its obligations under the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, in particular effectively apply the ban on early and forced marriages, including through the adjustment of the national legal framework, by paying particular attention to vulnerable groups)** | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 117.67 | დამატებითი ზომები გაატაროს ადრეული ქორწინებების აღმოფხვრის მიზნით, კერძოდ, გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რელევანტური რეკომენდაციების შესრულების გზით<br><br>**(Increase efforts to eliminate early marriages through, implementation of the relevant recommendation made by the Committee on the Elimination of Discrimination against Women)** | მაკედონია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.11, 117.46, 117.59, 117.64, 117.65, 117.71 და 117.116 რეკომენდაციები.* | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 117.68 | გააძლიეროს შესაბამისი პერსონალის პროფესიონალური უნარ-ჩვევები გენდერული ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების, შესაბამის უწყებასთან მათი გადამისამართებისა და დაცვის მიმართულებით და უზრუნველყოს მსხვერპლთა | მოლდოვა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2018 წლიდან, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მსხვერპლს გადახდისუნარიანობის მიუხედავად. აქამდე ეს მომსახურება მხოლოდ გადახდისუუნარო მსხვერპლებზე ვრცელდებოდა.<br><br>2018 წლის განმავლობაში, იგეგმება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ტრენინგების მოდულის განახლება. ამასთანავე, დაგეგმილია სამსახურის თანამშრომლებისათვის | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სამართლებრივი დაცვა და მათთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა **(Reinforce the capacities of professionals in the identification, referral and protection of victims of gender-based violence and provide legal and medical support to victims)** | | | სავალდებულო ტრენინგების ჩატარება, მათ შორის, სექსუალური ძალადობის საკითხებზე.<br><br>2018 წლის 25 აპრილს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს შორის განახლდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს გადამისამართების საკითხებს. მემორანდუმის თანახმად, მხარეები ბენეფიციარებს უწევენ სათანადო დახმარებას ძალადობის მსხვერპლის, დაზარალებულის დაცვისა და დახმარებისთვის საჭირო მომსახურების ფარგლებში. ხდება ბენეფიცირების გადამისამართება ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლთა გადამისამართება მათივე საჭიროებიდან გამომდინარე.<br><br>გარდა ამისა, 2018 აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება იურიდიული დახმარების მიმწოდებელთა ქსელმა იურიდიული დახმარების ვებპორტალის http://free.mylaw.ge მეშვეობით. ქსელის მიზანია გაუადვილოს საქართველოს მოსახლეობას უფასო იურიდიული დახმარების მიღება და ხელი შეუწყოს ამ მომსახურების მიმწოდებლებს შორის თანამშრომლობასა და კოორდინირებას. უკვე რამდენიმე მოქალაქემ წარმატებით ისარგებლა აღნიშნული სერვისით და მიიღო მისთვის საჭირო ხარისხიანი სამართლებრივი დახმარება. აღსანიშნავია, რომ ქსელის წევრი 11 ორგანიზაცია, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თავმჯდომარეობით, აგრძელებს | სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მუშაობას ქსელის მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით. საწყის ეტაპზე, დაგეგმილია ცხელი ხაზის მომსახურების დანერგვა, რომლის მიზანია დაინტერესებული მოქალაქეებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენა და საჭიროების შემთხვევაში, გადამისამართება.<br><br>გარდა ზემოაღნიშნულისა, 2017 წელს აქტიურად მიმდინარეობდა პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლება ოჯახური დანაშაულის საკითხზე. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე სულ განხორციელდა 6 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა პროკურატურის 83-მა მუშაკმა. მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე განხორციელდა ტრენინგი, რომელშიც ჩართული იყო 26 პროკურორი. პროექტი ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით ჩატარდა და მიზნად ისახავდა პროკურორებისთვის ქალთა უფლებების, ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გაცნობას. სასწავლო კურსის განხორციელებას წინ უძღოდა ევროპის საბჭოს რეგიონალურ პროექტთან აქტიური თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა სასწავლო პროგრამა და მასალები. პროექტის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ მასში ჩართულნი იყვნენ 6 ქვეყნის: საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ბელორუსიისა და უკრაინის წარმომადგენლები.<br><br>ამასთან, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე განხორციელდა 5-დღიანი სპეციალიზაციის კურსი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარა 25-მა პროკურორმა. სასწავლო პროგრამის ფარგლებში განხილულ იქნა სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები, კერძოდ: დაზარალებულის გამოკითხვა და მასთან კომუნიკაცია; მტკიცებულებათა მოპოვება და შეფასება; საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა; ოჯახური დანაშაულის ანალიზი, ტენდენციები, რეკომენდაციები; გენდერული მოტივის გამოკვეთის პრობლემატიკა, ბავშვის მიმართ ძალადობა ოჯახში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. 2018 წელს განისაზღვრება იმ პროკურორთა წრე, რომლებიც პრიორიტეტულად იქნებიან ჩართულნი ოჯახური დანაშაულის საქმეებში, როგორც სპეციალიზებული პროკურორები.<br><br>ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გაუმჯობესებისათვის ქალის მიმართ ძალადობის ფაქტებზე, გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოსა და ეროვნულ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ხელი შეუწყო სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებას ქალის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე.<br><br>შემუშავდა გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის დოკუმენტირების ფორმები როგორც ამბულატორიისთვის, ასევე სტაციონალური ტიპის სამედიცინო დაწესებულებისათვის და მომზადდა საკანონმდებლო პაკეტები ცვლილებების შეტანის შესახებ ორივე ტიპის სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების მარეგულირებელ საკანონდებლო აქტებში.<br><br>2016 წელს სახელმწიფო სსიპ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თანამშრომლებისთვის ჩატარდა 5 ტრენინგი, 2017 წელს - 9 ტრენინგი, ხოლო 2018 წელს - 2 ტრენინგი.<br><br>ფონდის თანამშრომლების (მათ შორის, საკონსულტაციო ცხელი ხაზის ოპერატორებისთვის) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარებული ტრენინგები წლების მიხედვით:<br><br>2016 წელი:<br>• თემა: **„საკანონმდებლო სიახლეები ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე“** (მონაწილეთა რაოდენობა - ცხელი ხაზის 4 ოპერატორი (მდ.სქესი);<br>• გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **„ბავშვის განვითარების ეტაპები, რთული ქცევა, ძალადობის ფორმირება და სტრესის** | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | **მართვა“** (მონაწილეთა რაოდენობა - 26 თანამშრომელი (მდ.სქესი);<br>• ფონდის პროექტის - ,,ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ (UNWOMEN) ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი თემებზე: **,,ოჯახში ძალადობის აღკვეთა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვა და დახმარება, თავშესაფრის ადმინისტრირება“** და **,,სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების საკითხები“** (მონაწილეთა რაოდენობა - 61, მათ შორის: 57 მდედრ. და 4 მამრ. სქესის თანამშრომელი);<br>• ფონდის პროექტის - ,,საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ ფარგლებში, (USAID) ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი, თემაზე **,,ოჯახში ძალადობა და სოციალური მუშაობა“** (მონაწილეთა რაოდენობა - 5 მდედრ. სქესის სოციალური მუშაკი);<br>• ,,ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **,,სქესი, გენდერი, ორიენტაცია“ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე** (მონაწილეთა რაოდენობა - 18 მათ შორის: 16 მდედრ. და 2 მამრ. სქესის თანამშრომელი).<br><br><u>2017 წელი:</u><br>• ფონდის პროექტის „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **„მომსახურების გაწევის საკითხები სექსუალური ძალადობის** | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | **მსხვერპლთათვის“** (მონაწილეთა რაოდენობა - 43);<br>• თემებზე: ა) **,,ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე ცხელ ხაზზე შემოსული ზარების ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალებისა და შემოსული ზარების წლიური სტატისტიკის ფორმების წარმოება“, ბ) ,,საკანონმდებლო სიახლეები ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე“** (ცხელი ხაზის ოპერატორებისთვის, მონაწილეთა რაოდენობა - 4);<br>• შვედური ორგანიზაცია RFSU მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციის საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომის“ მიერ ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: **,,საგანმანათლებლო მუშაობის სპეციფიკა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯახის დაგეგმვის საკითხები“** (მონაწილეთა რაოდენობა - 25);<br>• ფონდის პროექტის - ,,ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ (UNWOMEN) ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: **,,ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურებები“** (მონაწილეთა რაოდენობა - 46).<br>• ფონდის პროექტის ,,საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: **,,სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით“** (მონაწილეთა რაოდენობა- 3 (თბილისის, | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | გორის, სიღნაღის თავშესაფრების სოციალური მუშაკები);<br>• ფონდის პროექტის ,, საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: **,,სოციალური მუშაობა მიუსაფარი ბავშვების საკითხებთან დაკავშირებით“** (მონაწილეთა რაოდენობა- 2 (თბილისის კრიზისული ცენტრის, ქუთაისის თავშესაფრების სოციალური მუშაკები);<br>• ფონდის პროექტის ,,ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის პრევენცია“ ფარგლებში ფონდის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და ფსიქოლოგებისთვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე - **ბენეფიციართა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია** (მონაწილეთა რაოდენობა-12);<br>• საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) მიერ ფონდის პროექტის " „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში სტრუქტურული ერთეულების სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: **,,ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრ(ებ)ში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება“** (მონაწილეთა რაოდენობა-6);<br>• საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) მიერ ფონდის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, იურისტების, ფსიქოლოგების და ცენტრალური აპარატის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: **,,ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრ(ებ)ში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება“** (მონაწილეთა რაოდენობა-18).<br>• ფონდის ცენტრალური აპარატის, ასევე სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების საკითხებზე, ატვირთულია სახალხო დამცველის აპარატის ვებგვერდზე („სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილას“). ტრენინგი გაიარა 297 თანამშრომელმა (მათ შორის: 242 მდედრ. და 55 მამრ.სქესის).<br><br>2018 წელს, ფონდის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი:<br>• საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) მიერ, ცენტრალური აპარატის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი, თემაზე: **,,სოციალური მუშაობის კონცეფცია, სოციალური მუშაობის მეთოდები, მონიტორინგის კონცეფცია“ (მონაწილეთა რაოდენობა-5);**<br>• საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის (GASW) მიერ **,,სარეაბილიტაციო მოდულის სიმულაციები“ (მონაწილეთა რაოდენობა-6).** | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | *დამატებითი ინფორმაციის სახით იხ. 117.6; 117.7, 117.38, 117.39, 117.46, 117.59, 117.60. 117.62 და 117.63 რეკომენდაციები.* | |
| 117.69 | შეიმუშაოს გენდერული ძალადობის პრევენციის სტრატეგიები და შექმნას ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის სერვისები **(Develop prevention strategies on gender-based violence and establish rehabilitation services for victims of violence)** | ნორვეგია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | შინაგან საქმეთა სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს გენდერული ძალადობის პრევენციას. 2017 წლის 1 ივნისს, კანონმდებლობაში ამოქმედებული ცვლილების თანახმად, "ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში სამართალდამცავთა კომპეტენციას. აღნიშნულ კანონში მოცემულია სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები, როგორიცაა ძალადობის მიზეზების შესწავლა, შესაბამისი სტატისტიკის წარმოება, სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა, ასევე მსხვერპლისათვის დახმარებისა და დაცვის ღონისძიებების, ხოლო მოძალადისათვის – დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება.<br><br>2017 წლის დეკემბერში უზრუნველყოფილ იქნა ბენეფიციარებთან სოციალური მუშაობის და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის/დახმარების შესახებ სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება და მათი ინტეგრირება შინაგანაწესებსა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის (შემთხვევის მართვის) გეგმებში. აღნიშნულის დანერგვა დაიწყო 2018 წლის პირველი თებერვლიდან. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | *დამატებითი ინფორმაციის სახით, ასევე იხილეთ 117.6, 117.7, 117.38, 117.39 და 117.62 რეკომენდაციები.* | |
| 117.70 | განაგრძოს ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობის განხორციელება და უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების პერსონალის გადამზადება ოჯახში ძალადობის შემთხვევათა იდენტიფიცირების საკითხზე **(Continue to implement the legislation on domestic violence and ensure training of law enforcement officials to identify all forms of domestic violence)** | სლოვაკეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.6; 117.7, 117.38 და 117.39, 117.46, 117.59, 117.60. 117.62, 117.63, 117.68, 117.69 და 117.71 რეკომენდაციები.*<br><br>სახელმწიფო ფონდის მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის – „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ – ფარგლებში, ეროვნული რეფერალური მექანიზმის გადასინჯვა და დამტკიცების მიზნით, მომზადდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერალური პროცედურების პროექტი. დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. 2017 წელს, დოკუმენტის პროექტი განახლდა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის რატიფიკაციასთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო/სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მისი სახელწოდებაა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისა მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის თაობაზე ეროვნული რეფერირების პროცედურები“. მიმდინარეობს დოკუმენტის დამტკიცებისთვის საჭირო პროცედურები. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 117.71 | მოახდინოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკის ეფექტური განხორციელება, მათ შორის ინფორმაციის გავრცელებისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების აქტივობების განხორციელების გზით **(Implement policies for the effective combating of domestic violence, including information and awareness-raising programmes to prevent this scourge)** | ჩილე | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2016 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მიერ ხორციელდებოდა „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამა“, რომლის ერთ-ერთი მიმართულებას მშობელთათვის ადრეული ქორწინების რისკების გაცნობა (სამართლებრივი, ჯანმრთელობის და უწყვეტი განათლების მიღებასთან დაკავშირებით) წარმოადგენდა. ჩატარდა 11 შეხვედრა/საჯარო ლექცია მშობლებთან საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ხშირად ფიქსირდება ადრეული ქორწინების ფაქტები. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, ადგილობრივი სამართალდამცავი, ადგილობრივი სოც.მუშაკი.<br><br>2016 წლიდან ხორციელდება ტრენინგ-მოდული სახელწოდებით: „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“. აღნიშნულ ტრენინგ-მოდულს 2016 წლიდან დღემდე დაესწრო 634 სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. ისინი გაეცნენ ძალადობის გამომწვევ მიზეზებსა და სახეებს, ოჯახში ძალადობის სახეებს, სტიგმასა და სტერეოტიპული აზროვნების გავლენას ძალადობასა და ბულინგზე.<br><br>2016-2017 წლებში ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა 10-ზე | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მეტ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.<br><br>ამასთან, სამინისტროს სსიპ. მანდატურის სამსახური საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე არამხოლოდ საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას იცავს, არამედ, ასევე ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ გაჯანსაღებაზე. გარდა ამისა, მანდატური წარმოადგენს რეფერირების პროცედურაზე პასუხისმგებელ სუბიექტს, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან წარმოდგენილები დირექტორი ან დირექტორის მოადგილე. დაუყოვნებლივ ხდება ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის გადამისამართება.<br><br>2015-2017 წლებში განხორციელდა პროგრამა „ბავშვთა მიმართ ძალადობა - გადამისამართების პროცედურები ბავშვის დაცვის საჭიროების შემთხვევებში“, რომლის მიზანი იყო მანდატურების, საჯარო სკოლების წარმომადგენლების გადამზადება, რათა მათ შეძლონ ბავშვზე ძალადობის პრევენცია, ძალადობის შემთხვევების ამოცნობა და მათზე რეაგირება. საერთო ჯამში პროექტის ფარგლებში გადამზადებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მანდატური (1300) და საჯარო სკოლების 1576 წარმომადგენელი.<br><br>*იხ. 117.6; 117.7, 117.32, 117.35, 117.38, 117.39,* | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | *117.46, 117.59, 117.60. 117.62, 117.63, 117.68 და 117.69 რეკომენდაციები.* | |
| 117.72 | უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის ეფექტური განხორციელება, შესრულების მონიტორინგი და მდგრადობა **(Ensure that its strategies for addressing domestic violence are effectively implemented, monitored and sustained)** | ფილიპინები | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.6; 117.7, 117.38, 117.39, 117.40, 117.46, 117.59, 117.60. 117.62, 117.63, 117.68, 117.69 და 117.71 რეკომენდაციები.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| 117.73 | გააფართოოს ტრენინგის პროგრამები პროფესიონალთათვის ქვეყნის მასშტაბით, რათა უზრუნველყოს მათი მზადყოფნა ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევების ეფექტური იდენტიფიცირებისთვის **(Increase training of teaching staff throughout the country, so that they** | პარაგვაი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2017 წლის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ტრეინინგები ბავშვთა დაცვის რეფერალის და მომიჯნავე აქტებზე.<br><br>სწავლება ჩატარდა შსს და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროების თანამშრომლობით, ა/ო ძდექის ხელშეწყობით და ესტონეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. სწავლებას უძღვებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.<br>სწავლების პროცესში მიმოხილული იყო შემდეგი საკითხები: | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **are better prepared to identify situations of abuse or domestic violence against children)** | | | · ბავშვთა უფლებები და პასუხისმგებლობები;<br>· ოჯახში ძალადობა, ოჯახური დანაშაულები და სამართლებრივი მექანიზმები;<br>· სახელმწიფო უწყებების კომპეტენცია ბავშვზე ძალადობის შემთხვევებისას.<br>წლის განმავლობაში ჩატარდა 10 შეხვედრა/სწავლება რეგიონებში, სადაც მონაწილეობდნენ 10 სამართალდამცავი და 10 სოციალური მუშაკი. ჯამში სწავლება გაიარა 100-მა სამართალდამცავმა (50 პატრულ ინსპექტორი და 50 უბნის ინსპექტორმა) და 100-მა სოციალურმა მუშაკმა.<br>ტრეინინგები განგრძობადია და ითვალისწინებს 2018 წელს მსგავსი აქტივობების ჩატარებას.<br><br>*იხ. 117.6; 117.7, 117.38, 117.39, 117.46, 117.59, 117.60. 117.62, 117.63, 117.68, 117.69 და 117.71 რეკომენდაციები.* | |
| 117.74 | განაგრძოს მუშაობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ<br>**(Continue efforts in the fight against human trafficking)** | საბერძნეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ადანიანით ვაჭრობის (ტრეფკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა იყო და რჩება საქართველოს თავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. ამ მხრივ სახელმწიფოს ოთხსვეტოვანი პოლიტიკა ვითარდება და ხორციელდება დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნისა და თანამშრომლობის მიმართულებით. სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინაციას ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიიინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორიელებელი | საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართელოს იუსტიციის მინისტრი. საბჭოს შემადგმლობაში შედიან როგორც სამთავრობი, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭო არის პოლიტიკის განმსაზღვრელი და მაკოორდინირებელი ორგანო. საგულისხმოა, რომ მთავრობის მიერ გაატარებული ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები პოზიტიურად ფასდება, როგორც ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის „GRETA" მიერ, ისე აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით საქართველო პირველ კალათაში იკავებს ადგილს.<br>2015 წლიდან დღემდე მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტრუტტუციურ დონეზე 2015 წლიდან დღემდე:<br>- თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისი რეაგირების მიზნით ახლებურად ჩამოყალიბდა „ექსპლუატაცისს" განმარტება. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის" 143³-ე მუხლით გათვალისწინებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურებით სარგებლობას დაემატება შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილებით ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურების მიმღები პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუ იგი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან და გამოძიების დაწყებამდე ნებაყოფლობით განაცხადებს ჩადენილი ქმედების შესახებ სისხლის სამართლის მწარმოებელ ორგანოში.<br>- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესდა პროსტიტუციის ხელშეწყობისათვის (ე.წ. სუტენიოროზისათვის);<br>- შემუშავდა სახელმძღვანელო პრინციპების ორი დოკუმენტი გამომძიებელებისა და პროკურორებისათვის, ასევე მესაზღვრეებისათვის, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისა და საბაჟო სამსახურის თანამშრომლებისათვის;<br>- შემუშავდა სტანდარტული ოპერატიული პროცედურები სამართალდამცავთათვის;<br>- შეიქმნა სპეციალური 4 მობილური ჯგუფი და ე.წ. სპეციალისტების ჯგუფი (Taks Force), რომლებიც მუშაობენ ტრეფიკინგის ფაქტების პროაქტიულ გამოვლენაზე;<br>- მემორანდუმი გაფორმდა შსს ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციასა და შრომის ინსპექსირების დეპარტამენტს შორის, რომელიც ითვლისწინებს შრომითი ექსპლუატაციის ფაქტების შსს-ში გადამისამართებას;<br>- ინტენსიურად ხორციელდება სამიზნე ჯგუფების კვალიფიკაციის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები;<br>- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქუჩაში ბავშვების მათხვრობისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენასა და იდენტიფიცირებას. ანონმდებლობით განისაზღრა მიუსაფარი ბავშვის ცნება, დაიხვეწა და გამარტივდა მიუსაფარი ბავშვებისათვის საიდენტიფიაციო დოკუმენტების მოწესრიგების პროცესი, რაც ხელს უწყობს ბავშვების სახელმწიფო სერვისების ჩართვას. დამატებით, მიუსაფარი ბავშვების პრობელმასთან გამკლავების მიზნით იუსტიციის სამინისტრომ საგრანტო პროგრამის ფარგლებში მოამზადა კვლევა და ახორციელებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ბავშვებისათვის ქუჩაში მოწყალების გაღების საზიანო შედეგებთან დაკავშირებით;<br>- საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები ინტენსიურად, თანმიმდევრულად და კოორდინირებულად ხორციელდება 2014 წელს უწყებათაშორისი საბჭოს მიერ დამტკიცებული პრევენციული სტრატეგიის ფარგლებში.<br><br>ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ბოლო წლების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2017 წლის 27 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც აფასებს სახელმწიფოებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებული ღონისძიებებით, საქართველო 2016 წლის მსგავსად, ისევ შეფასების უმაღლეს - პირველ კალათაშია. დადებითი შეფასების ერთ-ერთი საფუძველია სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანი და კოორდინირებული საქმიანობა. პროკურატურა ადამიანით მოვაჭრეების მიმართ მკაცრ პოლიტიკას ატარებს, პროაქტიულად ხორციელდება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება, ყველა შესაძლო ფაქტზე მყისიერად იწყება გამოძიება და ხორციელდება ეფექტიანი საპროკურორო ზედამხედველობა. 2017 წელს გამოძიება დაიწყო 21 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 ტრეფიკიორის მიმართ. 2017 წელს დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის განახლებული სახელმძღვანელო პრინციპები. 2017 წელს პროექტ ,,საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში პროკურორებმა ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ 33 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს საქართველოს ყველა რეგიონში. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე განხორციელდა 5 სასწავლო აქტივობა, რომელიც პროკურატურის 43 წარმომადგენელმა გაიარა. სასწავლო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | აქტივობებში, ასევე მონაწილეობდნენ სხვა საგამოძიებო უწყებების წარმომადგენლებიც.<br><br>საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №112 დადგენილებით, იძულებითი შრომისა და შრომითი ესპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით დამტკიცდა სახელწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესი. 2016 წელს იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის გამოვლენის მიზნით შემოწმება ჩატარდა 99 კომპანიაში. მათ შორის იყო 91 გეგმიური და 8 არაგეგმიური. 2017 წელს კი გეგმით გათვალისწინებული 107 და არაგეგმიურად 8 ობიექტი შემოწმდა.<br><br>ერთ კომპანიაში გამოვლინდა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შესაძლო ნიშნები და შემდგომი რეაგირებისათვის საქმე გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიების შედეგად, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით არ დადასტურდა ტრეფიკინგის ჩადენის ფაქტი. 2018 წელს გეგმიურად შემოწმდა 70 კომპანია. | |
| 117.75 | უზრუნველყოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა, რაც შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერ ადამიანს, ისარგებლოს დაცვის უფლებით **(Ensure justice that is independent and transparent, and that** | საფრანგეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში, მოსამართლის სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ობიექტური, მიუკერძოებელი და სრულყოფილი გამოკვლევისა და წინასწარი შემოწმების ჩატარების მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი ინსპექტორი. 2017 წლის ნოემბერში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აირჩია დამოუკიდებელი | საქართველოს უზენაესი სასამართლო<br><br>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **respects the right to defence)** | | | ინსპექტორი, რომელსაც განსახილველად გადაეცა 118 დისციპლინური საქმე. | |
| 117.76 | განაგრძოს სრულად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მისაღებად რეფორმების პოლიტიკის წარმართვა **(Pursue its policy of reform towards a fully independent judicial system)** | პორტუგალია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2017 წლის მაისში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, შეიმუშავა 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგია, რომელიც დაყოფილია 5 სტრატეგიულ მიმართულებად (დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ანგარიშვალდებულება, ხარისხიანი მართლმსაჯულება, სასამართლო სისტემის ეფექტიანობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა) და მიმოიხილავს თითოეული მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ძირითად ამოცანებსა და მიზნის მიღწევის მთავარ ზომებს. ბოლო ნაწილი კი ეხება სტრატეგიის განხორციელების მექანიზმს და მონიტორინგისა და შეფასების პროცედურას.<br><br>ზემოაღნიშნული სტრატეგიის განხორციელების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები. ამასთან, იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს პარლამენტთან კოორდინაციით საბჭო მუშაობს დისიციპლნური პასუხისმგებლობის საფუძვლების დახვეწაზე, საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შემუშავებაზე და იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმაზე.<br><br>გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა | საქართველოს უზენაესი სასამართლო<br><br>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით შეიმუშავებულ იქნა საერთო სასამართლოების სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციის 2017-2018 წწ. სამოქმედო გეგმა. ამასთან, ორივე დოკუმენტი, როგორც 2017-2021 წლების სტრატეგია და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2017 წლის 29 მაისს. | |
| 117.77 | მოახდინოს მოსამართლეთა დანიშვნის, გადამზადებისა და სხვა ადგილას გადაყვანის პროცედურების გადახედვა, რათა უზრუნველყოს მათი დამოუკიდებლობა და მათ მიერ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების სრულად გათვითცნობიერება და შესრულება **(Undertake a comprehensive review of arrangements for the appointment, training and transfer of judges, with a view to ensuring their independence and their full understanding and application of human rights obligations)** | ირლანდია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის დანაწესის მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრამდე განისაზღვრა საერთო სასამართლოების სისტემაში, გარდამავალი პერიოდი მოსამართლეთა უვადო დანიშვნის თაობაზე.<br><br>ასევე, საერთო სასამართლოების შესახებ „ორგანული კანონის ცვლილებების მიხედვით, დაზუსტდა (იხ.მუხლი 79[4]) იმ კანდიდატების უვადოდ დანიშვნის პროცედურა, რომელთაც მოსამართლედ მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება გააჩნიათ.<br><br>ახალი დანაწესის საფუძველზე, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თანამდებობაზე უვადოდ გაამწესა 34 მოსამართლე. ასევე, 2017 წლის 15 მარტს მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში შემუშავებული მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესების ახალი პროცედურების საფუძველზე 2017 წლის 17 თებერვალს გამოცხადებული კონკურსის შედეგად, 84 ვაკანტურ თანამდებობაზე 64 მოსამართლე გამწესდა, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის სხდომაზე - 34 მოსამართლე. | საქართველოს უზენაესი სასამართლო<br><br>სსიპ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა<br><br>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით ახლებურად განისაზღვრა მოსამართლეთა ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში მივლინების წესი. (იხ. მუხლი 37[1]).<br><br>ამჟამად კვლავ მიმდინარეობს კონკურსი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის თაობაზე.<br><br>იუსტიციის უმაღლესი სკოლა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად უზრუნველყოფს ტრენინგებს მოქმედე მოსამართლეებისა და სასმართლოს სხვა მოხელეებისთვის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემატიკაზე. კერძოდ, 2016-2017 წლებში, მოსამართლეებისთვის ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:<br>• 3 ტრენინგი თემაზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები“, რომელსაც დაესწრო 33 მოსამართლე;<br>• 2 ტრენინგი თემაზე „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი გამოყენება“, რომელსაც დაესწრო 30 მოსამართლე;<br>• 3 ტრენინგი თემაზე „ნარკომომხმარებელთა უფლებები“, რომელსაც დაესწრო 30 მოსამართლე;<br>• 2 ტრენინგი თემაზე „გამოხატვის თავისუფლება; მათ შორის სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები“, რომელსაც დაესწრო 29 მოსამართლე;<br>• 3 ტრენინგი თემაზე „ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები“ (ზოგადი კურსი), რომელსაც დაესწრო 28 მოსამართლე; | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | • 5 ტრენინგი თემაზე „ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა“, რომელსაც დაესწრო 63 მოსამართლე,<br>• 2 ტრენინგი თემაზე „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“, რომელსაც დაესწრო 22 მოსამართლე;<br>• 12 ტრენინგი თემაზე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“, რომელსაც დაესწრო 24 მოსამართლე<br>• 3 ტრენინგი თემაზე „ბავშვთა უფლებები“, რომელსაც დაესწრო 34 მოსამართლე და<br>• 2 ტრენინგი თემაზე „თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები“, რომელსაც დაესწრო 35 მოსამართლე.<br>• 2 ტრენინგი თემაზე „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“, რომელსაც დაესწრო 28 მოსამართლე;<br>• 2 ტრენინგი თემაზე „სამართლიანი სასამართლოს უფლება“, რომელსაც დაესწრო 25 მოსამართლე.<br><br>გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესმა სკოლა, ადამიანის უფლებების საკითხებზე ტრენინგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პერიოდულად იმუშავებს სასწავლო მოდულებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე. კერძოდ, 2016-2017 წლებში:<br>• პარტნიორ ორგანიზაციებთან: USAID/PROLOG და CoE - | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | თანამშრომლობით შემუშავდა სასწავლო მოდული თემაზე - ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი);<br>• გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით შემუშავდა სასწავლო მოდული თემაზე - ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა;<br>• ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით შემუშავდა სასწავლო მოდული თემაზე - სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ეფექტიანი განხილვა;<br>• ევროპის საბჭოსა (CoE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით შემუშავდა სასწავლო მოდული თემაზე ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა;<br>• ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით შემუშავდა სასწავლო მოდული თემაზე ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი);<br>• ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით შემუშავდა სასწავლო მოდული თემაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი;<br><br>თითოეული ზემოაღნიშნული მოდული შემუშავდა როგორც უცხოელი ან ადგილობრივი ექსპერტის, ასევე იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ნომინირებული მოსამართლე-ექსპერტების მონაწილეობით. სასწავლო მოდულის შემუშავების პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:<br>ა) ტრენინგ საჭიროებათა შეფასება<br>ბ) სასწავლო მოდულის (შესაბამისი მასალებისა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | და პრეზენტაციების) მომზადება;<br>გ) ტრენერთა ტრენინგი (ToT) მოდულის შემუშავებაში ჩართული მოსამართლეებისთვის და ექსპერტებისთვის.<br>დ) დატრენინგებული მოსამართლეები და ექსპერტების მიერ მოქმედი მოსამართლეებისთვის საპილოტე ტრენინგის ჩატარება. | |
| 117.78 | გააძლიეროს მუშაობა პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა წამებისა და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და მსგავსი შემთხვევების გამოძიების მიმართულებით **(Further strengthen its efforts to combat and investigate ill-treatment of prisoners and detainees)** | მონტენეგრო | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, საქართველოს პროკურატურის შესაბამის საგამოძიებო ნაწილში დაუყოვნებლივ იწყება გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე. შემჭიდროვებულ ვადებში ტარდება ყველა შესაძლო საგამოძიება მოქმედება, კერძოდ მოწმეთა დაკითხვა, ამოცნობა, ჩხრეკა-ამოღება, დოკუმენტაციის გამოთხოვა, ექსპერტების დანიშვნა და ჩატარება, ვიდეოჩანაწერების ამოღება და ა.შ.<br><br>2013-2016 წლების მონაცემებით, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 127 პირის მიმართ, 2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ. კერძოდ, პოლიციის 3 და პენიტენციური დაწესებულების 14 თანამშრომლის მიმართ.<br><br>*იხ. 117.50 და 117.51რეკომენდაციები.* | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |
| 117.79 | განახორციელოს ზომები თავისუფლების | ჩეხეთის რესპუბლიკა | საქართველოს მიერ 2015 წელს | *იხ. 117.50, 117.51, 117.78 და 117.81 რეკომენდაციები.* | საქართველოს სასჯელაღსრულე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შემთხვევების დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიებისა და მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით **(Adopt measures providing for independent and effective investigation and prosecution of all cases of alleged ill-treatment of persons in detention facilities as well as for remedies for victims)** | | დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | გარდა ამისა, 2018 წელს შეიქმნება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი. | ბისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |
| 117.80 | აღმოფხვრას პატიმართა და თავისუფლებააღკვეთი ლ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შემთხვევები და პასუხისმგებელ პირთა დასჯის მიზნით უზრუნველყოს სწორი და საფუძვლიანი გამოძიების ჩატარება | ირლანდია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.50, 117.51, 117.78 და 117.80 რეკომენდაციები.* | საქართველოს სასჯელაღსრულე ბისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | და მათი სამართლებრივი დევნა **(Ensure that instances of ill-treatment of prisoners and detainees are eliminated and that proper and thorough investigations are conducted in such situations in order to hold perpetrators accountable)** | | | | |
| 117.81 | უზრუნველყოს წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების სრულფასოვანი გამოძიება დამოუკიდებელი მექანიზმების მიერ **(Ensure that all allegations of torture and ill-treatment are thoroughly investigated by an independent mechanism)** | თურქეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით შემუშავებულია „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელსაც საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა 2018 წლის თებერვალში და უკვე წარდგენილია პარლამენტში დასამტკიცებლად. პროექტი ითვალისწინებს ახალი, ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნას. კანონპროექტით განისაზღვრება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოს, აგრეთვე სახელმწიფო ინსპქეტორის საქმიანობის პრინციპები, უფლებამოსილებები და გარანტიები, სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევისა და უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.<br><br>კანონპროექტით იქმნება დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლედ განისაზღვრება. მის უფლებამოსილებაში შევა ამჟამად მოქმედი | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინპექტორის უფლებამოსილებები - პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი, აგრეთვე, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი. გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო ინპექტორის უფლებამოსილებაში მოექცევა უმნიშვნელოვანესი ფუნქცია - სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ (გარდა ამავე კანონით განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევებისა) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება. კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს ნასამართლობის არმქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება და მართლმსაჯულების ან სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში, ან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. ასეთი პირი უნდა სარგებლობდეს მაღალი პროფესიული და მორალური რეპუტაციით.<br><br>სახელმწიფო ინსპექტორის შესარჩევ საკონკურსო კომისიას ქმნის საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მის შემადგენლობაში შედიან საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ან მოადგილე, საქართველოს სახალხო დამცველი ან საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრთაგან დანიშნული, სათანადო გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს ადამიანის უფლებათა ან/და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება. კომისია ხმათა უმრავლესობით შეარჩევს სახელმწიფო ინსპექტორის არანაკლებ 2 და არაუმეტეს 5 კანდიდატურას და წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც 10 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარუდგენს 2 კანდიდატურას სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე ასარჩევად.<br><br>კანონპროექტით დგინდება სახელმწიფო ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიები, კერძოდ:<br>• თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არცერთ თანამდებობის პირს და ორგანოს. სახელმწიფო ინსპექტორზე და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოხელეზე რაიმე ზემოქმედება ან სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და კანონით ისჯება.<br>• სახელმწიფო ინსპექტორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიზნით სახელმწიფო ვალდებულია შეუქმნას მას საქმიანობის სათანადო პირობები.<br>• თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სახელმწიფო ინსპექტორს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახელმწიფო ინსპექტორს. ეს უფლება მას უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც უნარჩუნდება.<br>• არავის აქვს უფლება სახელმწიფო ინსპექტორს მოთხოვოს ანგარიში კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შესახებ ან ისეთი ინფორმაცია, რომლის გაცემამ შეიძლება ხელი შეუშალოს გამოძიების მსვლელობას.<br>• კანონი აწესრიგებს სახელმწიფო ინსპექტორის საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობის საკითხებს, რომლებიც, დიდწილად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების მსგავსია, თუმცა, მცირედით განსხვავდება მისგან. კანონპროექტით სახელმწიფო ინპექტორს, პრაქტიკულად, უცვლელი სახით განესაზღვრება პერსონალურ მონაცემის დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის ის მიმართულებები და უფლებამოსილებები, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცვის ინპექტორს გააჩნდა „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.<br><br>კანონპროექტით გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს სახელმწიფო ინსპექტორის აპარატისათვის მინიჭებული უფლებამოილება, რომლის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური განახორციელებს კანონით განსაზღვრული სუბიექტების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებას. ამ ფუნქციის განხორციელებაში გამოიხატება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის არსი.<br><br>სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეობა გავრცელდება: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $144^1$-$144^3$ მუხლებით (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი მოპყრობა), 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, აგრეთვე სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, აგრეთვე, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით), 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის, აგრეთვე სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, აგრეთვე, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით), 335-ე მუხლით (მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულება განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის ანდა ექსპერტისა – დასკვნის მიცემისათვის) ან/და | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით) გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია კანონპროექტის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ; სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის (გარდა სახელმწიფო ინსპექტორისა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლისა ან მოსამსახურისა) მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზე, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა და დანაშაულის ჩადენის დროს დაზარალებული იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა მოცემული ადგილმდებარეობის დატოვება, ანდა დაზარალებული სხვა მხრივ იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.<br><br>სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გამოსაძიებელი საქმეების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას საქართველოს პროკურატურა განახორციელებს. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კანონპროექტი ასევე იძლევა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს. კანონპროექტით მოსაწესრიგებელი საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდი, რომელიც კანონის სრულად ასამოქმედებად გასატარებელ ღონისძიებებს უკავშირდება. კანონის ამოქმედებისთანავე უქმდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობა, სახელმწიფო ინსპექტორი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამონაცვლედ ჩაითვლება, ხოლო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამონააცვლედ. ამასთან, კანონის ამოქმედებისთანავე სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილებას შეიძენს კანონის ამოქმედების დროისთვის საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და მას აღნიშნული უფლებამოსილება საკუთარი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე შეუნარჩუნდება.<br><br>გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტის გარდამავალი დებულებებით განისაზღვრება, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დაცვის ინპექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები იურიდიულ ძალას ინარჩუნებს სახელმწიფო ინსპექტორის მიერ შესაბამის საკითხებზე გამოცემული სამართლებრივი აქტების ამოქმედებამდე. ამავე | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გარდამავალი დებულებებით განისაზღვრება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხები, მათ შორის, საქართველოს მთავრობის ვალდებულება, უზრუნველყოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს პროკურატურისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ფინანსური რესურსების გადასაცემად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.<br><br>*დამატებით იხ. 117.50 და 117.51 რეკომენდაციები.* | |
| 117.82 | უზრუნველყოს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების ეფექტური გამოძიება, დამნაშავეთა სამართლებრივი დევნა და დასჯა **(Ensure the effective investigation of cases of violence against women; prosecute and punish perpetrators)** | ესტონეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.6; 117.7, 117.38 და 117.39 რეკომენდაციები.* | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |
| 117.83 | უზრუნველყოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების ეფექტური გამოძიება, დამნაშავეთა დასჯა და მსხვერპლთათვის ადეკვატური კომპენსაცია, დაცვა და დახმარება **(Ensure the** | იტალია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სსიპ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი მომსახურებას უწევს: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს/დაზარალებულებს, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს/დაზარალებულებს, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლებს/დაზარალებულებს და | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **effective investigation of episodes of violence against women and domestic violence, to bring perpetrators to justice and provide victims with adequate compensation, protection and assistance)** | | | მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებულ პირებს.<br><br>„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით: მიიღოს კომპენსაცია, თუ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ან/და მსხვერპლის მომსახურებისა და დაცვისათვის ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა წყაროებით. აღნიშნული დებულება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან.<br><br>*იხ. ასევე 117.6; 117.7, 117.38, 117.39, 117.46, 117.59, 117.60. 117.62, 117.63, 117.68 და 117.69 რეკომენდაციები.* | და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 117.84 | გააძლიეროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმირების ეროვნული სტრატეგია, კერძოდ, შეიმუშაოს არასრულწლოვან პატიმართა საზოგადოებაში სწრაფი რეინტეგრაციის პროგრამები **(Strengthen** | მოროკო | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულებისათვის ხორციელდება ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები, მათ შორის "გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა - Re-Entry" რომელიც არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ეხმარება საზოგადოებაში დაბრუნებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. შეთანხმების საფუძველზე, გარდამავალი მენეჯმენტის | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **its national strategy to reform the prison system, in particular to promote the prompt reintegration of juvenile detainees into society)** | | | ფარგლებში, აღნიშნული პროგრამის განხორციელების პროცესში ჩაერთვებიან პრობაციის ეროვნული სააგენტოს და დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები, რაც ხელს შეუწყობს მათთან ბენეფიციარის გათავისუფლების შემდგომ მჭიდრო და ეფექტურ თანამშრომლობას. მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდგომ ეტაპზე, მის საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე ორივე უწყება გააგრძელებს მუშაობას, როგორც პრობაციის ეროვნული სააგენტო პირობითი მსჯავრის შემთხვევაში, ასევე დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში. | ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 117.85 | ეფექტური ზომები გაატაროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი პირების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან წვდომის უზრუნველყოფის მიზნით **(Undertake effective measures to guarantee access to education for juveniles in the penitentiary system)** | ხორვატია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ზოგადი განათლების მიღება არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის/მსჯავრდებულებისთვის ხორციელდება ოთხ პენიტენციურ დაწესებულებაში. „ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისთვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის“ პროგრამის ფარგლებში სსიპ ქალაქ თბილისის N123 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და N5 ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების მომსახურებას. N2 და N8 პენიტენციური დაწესებულებების არასრულწლოვანთა განყოფილებებში ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ახორციელებენ განათლებისა | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაქირავებული პედაგოგები.<br><br>ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს შესაძლებლობა სკოლის საატესტატო და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიიღოს მონაწილეობა. უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შემთხვევაში კი შეუძლია დისტანციური სწავლების მეთოდის საშუალებით არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განაგრძოს სწავლა.<br><br>ასევე, არასრულწლოვან მსჯავრდებულებს საშუალება აქვთ მიიღონ პროფესიული განათლება. აღნიშნულ პროცესს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში სახელმწიფო კოლეჯები უზრუნველყოფენ.<br><br>2017 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში:<br>ზოგადი განათლების პროგრამაში ჩართული იყო 95 ბრალდებული/მსჯავრდებული; ექსტერნი გამოცდებზე მონაწილეობა მიიღო 4-მა არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა საატესტატო გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 1-მა არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა. ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა არ მიუღიათ არასრულწლოვან მსჯავრდებულებს, ასაკობრივი შეუსაბამობის გამო (12 კლასდამთავრებული არასრულწლოვანი ამ წელს არ ყოფილა).<br><br>ასევე, არასრულწლოვან მსჯავრდებულებს საშუალება აქვთ მიიღონ პროფესიული | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | განათლება. აღნიშნულ პროცესს სარეაბილიტაციო დაწესებულებაში სახელმწიფო კოლეჯები უზრუნველყოფენ. მოკლევადიან პროფესიულ სწავლებაში 47-მა არასრულწლოვანმა 83-ჯერ მიიღო მონაწილეობა.<br><br>არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ ზოგადი განათლების მიღება და პენიტენციურ დაწესებულებებში სასწავლო პროცესი დარეგულირებულია „არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული ზოგადი განათლების მიღებისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 1 სექტემბრის №110/ნ/№124 ერთობლივი ბრძანებით.<br><br>ამასთან, 2018 წლის 1 იანვრიდან არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულები სარგებლობენ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით. აღნიშნული ყფლებით სარგებლობის საკითხი დარეგულირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების წესისა და პირობების და შესაბამის სპეციალობათა ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 მარტის №72/№30/ნ ერთობლივი ბრძანებით.<br><br>რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, მითითებული უფლებით სარგებლობის მიზნით გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. | |
| 117.86 | ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მექანიზმების მოთხოვნების შესაბამისად დაიცვას ოჯახი, როგორც საზოგადოების შემადგენელი ფუნდამენტური ნაწილი<br>**(Provide, in accordance with its respective obligations under international human rights law, effective protection to the family as the natural and fundamental unit of the society)** | ეგვიპტე | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სიღატაკის დონის შემცირება/პრევენციის მიზნით ხორციელდება საარსებო შემწეობით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლის მიზანია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება (განსაკუთრებით ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება). მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა ორიენტირებულია ოჯახების დახმარებაზე. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, ასევე ხორციელდება მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რაც გულისხმობს ყოველთვიური ფულადი დახმარების გაცემას მესამე და მომდევნო ბავშვზე იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი მატება არ აღინიშნება და ფულად დახმარებას ყოველ ახალშობილზე, | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. „ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ოჯახების გაძლიერების მიმართულებით განსაზღვრულია რიგი ქვეპროგრამები, რომლებიც მიმართულია ოჯახების სოციალური ფუნქციონირების ამაღლებისკენ და ბავშვთა მიტოვების პრევენციისკენ: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების, ბავშვთა ადრეული განვითარების, დღის ცენტრების, დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამები.<br><br>„კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის“’ ფარგლებში პირველადი დახმარების საჭიროების მქონე კრიზისში მყოფი იმ ბავშვიანი ოჯახებისთვის, სადაც ცხოვრობენ რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვები, ან ერთი ან მეტი შშმ ბავშვი, ან სამი ან მეტი ბავშვი, ან ბავშვთან/ბავშვებთან ერთად ცხოვრობს არაუმეტეს ერთი შრომისუნარიანი სრულწლოვანი, ასევე, იმ ბავშვიანი ოჯახებისთვის, რომლებიც განცხადების შეტანის მომენტში რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა, მინისტრის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით ხორციელდება პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება საქონლის/მომსახურების შესყიდვის, შესყიდული საქონლის ტრანსპორტირებისა და ბენეფიციარისათვის გადაცემის საშუალებით.<br><br>2017 წლის ივლისის თვიდან დახმარება გაეწია 1004 ოჯახს.<br><br>გარდა ამისა, ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვის მიტოვების რისკის შემცირების მიზნით რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც შეფასების შედეგად მინიჭებული აქვთ 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა და ჰყავთ 1 წლამდე ასაკის ბავშვები ხორციელდება „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნური საკვების მოხმარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა (თვეში საშუალოდ ათასამდე ბავშვი).<br><br>ასევე, ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით ბოლო ორ წელიწადში გაიზარდა დღის ცენტრების მომსახურების ხელმისაწვდომობა, მაგ: დღის ცენტრების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ქვეპროგრამის ფარგლებში 18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე ბავშვებისათვის სულ 26 ქალაქსა და მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 43 ორგანიზაცია 918 ბენეფიციარზე. აღნიშნული ცენტრების ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით განაწილების სურათი არის შემდეგი: თბილისში - 10 ორგანიზაცია 304 ბენეფიციარზე, შიდა ქართლი - 4 ორგანიზაცია 85 ბენეფიციარზე (გორში, ქარელში, კასპში და ხაშურში), ქვემო ქართლი - 3 ორგანიზაცია 28 ბენეფიციარზე რუსთავში (2) და 20 ბენეფიციარზე ბოლნისში. მცხეთა-თიანეთი - 3 ორგანიზაცია 55 ბენეფიციარზე (მცხეთაში, წეროვანსა და საგურამოში), კახეთი - 5 ორგანიზაცია 91 ბენეფიციარზე, თელავში (2), გურჯაანსა (2) და ლაგოდეხში. აჭარა - 2 ორგანიზაციაა რეგისტრირებული 46 ბენეფიციარზე ბათუმში. იმერეთი - 8 ორგანიზაცია 143 ბენეფიციარზე: ქუთაისი (2) თერჯოლაში (2), სამტრედიაში, ზესტაფონში, საჩხერეში, ვანში და ხონში, ხარაგაულში. სამეგრელო - 4 ორგანიზაცია 71 ბენეფიციარზე (ფოთში, სენაკსა და ზუგდიდში). გურია - 1 ორგანიზაცია 25 ბენეფიციარზე ოზურგეთში, ერთი ორგანიზაცია - 20 ბენეფიციარზე ჩოხატაურში. სამცხე-ჯავახეთში - 2017 წელს ბორჯომში ფუნქციონირება დაიწყო ერთმა ორგანიზაციამ 30 ბენეფიციარზე. ზემოჩამოთვლილ ორგანიზაციათა შორის 2017 წელს დარეგისტრირებული იქნა 5 ორგანიზაცია: ხარაგაულში, ბორჯომში, | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | თელავში, გურჯაანსა და ზუგდიდში. 2018 წელს - 4 დღის ცენტრი: ხაშურში, ბოლნისში, ხონსა და ლაგოდეხში.<br><br>ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 42 ბავშვს მომსახურებას უწევს ერთი დღის ცენტრი თბილისში და ქუთაისში - 1 ორგანიზაცია 16 ბენეფიციარზე.<br><br>გარდა ამისა, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის სულ ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 17 დღის ცენტრი, ხოლო ზრდასრული შშმ პირებისთვის - 22 ცენტრი.<br><br>საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ე.წ. „ქმედუუნარობის" რეფორმის განხორციელების შემდეგ მხარდაჭერის მიმღებ პირებს მიეცათ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის რეალიზების უფლება. | |
| 117.87 | შექმნას დაბადების რეგისტრაციის სისტემა, რომელიც რასის, ეთნიკური კუთვნილების ან ეროვნების, ისევე, როგორც სქესის ან რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე გავრცელდება ყველა ბავშვზე **(Establish a system for birth registration that covers all children without discrimination by reason of race, ethnicity** | პარაგვაი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოში დაბადების რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს, ტერიტორიული სამსახურების დახმარებით.<br><br>,,სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონით უზრუნველყოფილია საქართველოს მოქალაქის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის საზღვარგარეთ დაბადებული შვილის, ასევე საქართველოში დაბადებული ყველა ბავშვის დაბადების სავალდებულო რეგისტრაცია, მათ შორის, საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის დაბადების სავალდებულო რეგისტრაცია. | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **or nationality, sex or religion)** | | | სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების (იგივე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების) საშუალებით ხორციელდება დაბადების რეგისტრაცია, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.<br><br>საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები დაბადების რეგისტრაციას ახორციელებენ სამედიცინო დაწესებულებიდან ელექტრონულად მიღებული სამედიცინო ცნობის საფუძველზე. ამასთან კანონმდებლობით დადგენილია პირთა წრე, რომელთაც ეკისრებათ დაბადების შესახებ ინფორმაციის მოწოდება სსგს-თვის. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა ჯარიმდება. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფს ქვეყნის ყველა კუთხეში, მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში მომხდარი დაბადების ფაქტის აღრიცხვას.<br><br>მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს იურიდიული ფაქტის დადგენას იმ ბავშვებისათვის, რომელთა დაბადება არ არის დადასტურებული სამედიცინო დაწესებულების მიერ (სახლში მშობიარობის შემთხვევაში). ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას დაბადების იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ იღებს სააგენტო და | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება დაბადების რეგისტრაცია.<br><br>ნაპოვნი ბავშვის დაბადების რეგისტრაციის საფუძვლებსა და პირობებს, რომელიც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მომართვის საფუძველზე ხორციელდება. ამასთან, სააგენტოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები უზრუნველყოფენ მკვდრადშობილის დაბადების რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br><br>გარდა დაბადების რეგისტრაციისა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიმართვის შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები უზრუნველყოფენ ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უფასოდ გაცემას. ასევე, უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველ პირთა სახელზე (რომელთ სარეიტინგო ქულა ნაკლებია 70 001-ზე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უფასოდ გაცემა.<br><br>ამასთან, მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით 2016 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიმართვის საფუძველზე უსასყიდლოდ გასცემს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებს, რაც ხელს უწყობს ამ ბავშვების სამართლებრივი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მდგომარეობის მოწესრიგებასა და სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობას.<br><br>იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურად მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაზრდის ხელშესაწყობად.<br><br>ამ მიზნით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ შეიმუშავა საზოგადოებრივი ცენტრის კონცეფცია. საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით, მათ შორის დაბადების რეგისტრაციის შესაძლებლობით. საზოგადოებრივი ცენტრის მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს.<br><br>ამჟამად საქართველოს მასშტაბით 52 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს, მათ შორის ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.<br><br>2016-2017 წლების განმავლობაში იუსტიციის სამინისტრომ განაგრძო ბოშათა რეგისტრაციის პროცესი. გატარდა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და ასევე, პირადობის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით. 2011-2016 წწ. დამატებით 68 ბოშას მიენიჭა შესაბამისი იურიდიული სტატუსი. ბოშებისთვის ხელმისაწვდომია უფასო იურიდიული კონსულტაცია. | |
| 117.88 | გააუმჯობესოს დაბადების რეგისტრაციის სისტემა, რათა უზრუნველყოს თითოეული ბავშვის დაბადების რეგისტრაცია და შესაბამისი დაბადების მოწმობის გაცემა **(Improve the birth registration system to guarantee registration for every child with the issuance of a birth certificate)** | თურქეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ.117.87 რეკომენდაცია.* | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| 117.89 | გაატაროს ყველა საჭირო ზომა ბავშვთა რეგისტრაციისა და მათთვის შესაბამისი დოკუმენტების გაცემის | პანამა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან | *იხ. 117.87 რეკომენდაცია.* | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით კი უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისათვის, რომლებიც ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრებიდან დაშორებულ ადგილებში იბადებიან **(Adopt and implement all necessary measures to register the birth of children, particularly children belonging to minorities, who are born in remote areas of the country and guarantee the issuance of birth certificates and other documents)** | | შესრულების პროცესშია | | |
| 117.90 | განახორციელოს ზომები ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით და განავითაროს ალტერნატიული, ოჯახის ტიპის სერვისები ბავშვებისთვის **(Take measures for deinstitutionalization of child-care institutions and development of** | უკრაინა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2016 წლის ბოლოს გაიხსნა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისთვის 1 მცირე საოჯახო ტიპის სახლი ქ. ქუთაისში, სადაც განთავსდა 7 აღსაზრდელი ჩვილ ბავშვთა სახლიდან. 2017 წლის ბოლოს დასრულდა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებისთვის მცირე საოჯახო ტიპის სახლის მშენებლობა. 2018 წელს ამოქმედდება მეორე მცირე საოჯახო ტიპის სახლი. ამ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩაირიცხება ჩვილ ბავშვთა სახლის 7 აღსაზრდელი. 2016 წელს განმავლობაში ჩვილ ბავშვთა სახლიდან მინდობით აღზრდაში განთავსდა 22 შშმ ბავშვი, გაშვილდა 2 და რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩაერთო - 1 ამავე წელს ჩვილ ბავშვთა სახლში | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **alternative, family-type services for deprived children)** | | | ჩაირიცხა 22 ბენეფიციარი. 2017 წლის განმავლობაში ჩვილ ბავშვთა სახლიდან მინდობით აღზრდაში განთავსდა 6 შშმ ბავშვი, 1 ბავშვი კოჯრის შშმ ბავშვთა სახლიდან გადავიდა მცირე საოჯახო ტიპის სახლში. ამავე წელს ჩვილ ბავშვთა სახლში ჩაირიცხა 20 ბავშვი. 2018 წელს 4 ბავშვი განთავსდა მინდობით აღზრდაში, 1 გაშვილდა, ჩვილ ბავშვთა სახლში ჩაირიცხა 6 ბენეფიციარი. ჩვილ ბავშვთა სახლში ჩარიცხული ბავშვების უმრავლესობა არის პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე. ალტერნატიულ სერვისებში გადაყვანისას გათვალისწინებულია ბავშვების საუკეთესო ინტერესები. დღეის მდგომარეობით შემცირებულია ჩვილ ბავშვთა სახლში ბენეფიციარების შედინება, ვინაიდან სოციალური მუშაკების მიერ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების განთავსება ხდება ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ სერვისებში.<br><br>2016 წელს მინდობით აღზრდის სერვისში განთავსდა 386 ბავშვი, ხოლო 2017 წელს 282 არასრულწლოვანი.<br><br>საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი სააღმზრდელო დაწესებულებები ბათუმისა და ნინოწმინდის სკოლა-პანსიონები ფლობენ სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიას. იქ მცხოვრები ბავშვები შეფასებული არიან სოციალური მუშაკების მიერ, რომლებიც ახორციელებენ ყოველთვიურ გეგმიურ მონიტორინგს და მუშაობენ არასრულწლოვნების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების ან ალტერნატიული | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ზრუნვის ფორმის შეთავაზების მიმართულებით.<br><br>რაც შეეხება იმ სკოლა-პანსიონებს, რომლებსაც არ აქვს სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს დაწესებულებების აღრიცხვას და იქ მცხოვრები ბენეფიციარების საჭიროებების გამოვლენას შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის მიზნით.<br><br>2016 წელს რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩაერთო 99 არასრულწოვანი, ხოლო 2017 წელს 103 ბავშვი.<br><br>2017 წლის 5 მაისს დამტკიცდა „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონი, რომელის საფუძველზეც სავალდებულო გახდა მშვილებლებისა და მინდობით აღმზრდელების სერტიფიცირება, ბავშვების უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით განისაზღვრა გასაშვილებელ ბავშვსა და მშვილებელს შორის ასაკობრივი სხვაობა, გაუქმდა პირდაპირი გზით მიშვილების შესაძლებლობა. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე დამტკიცდა მინდობით აღზრდის წესი და შვილად აყვანის წესი, ასევე მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტი.<br><br>სახელმწიფო ასევე ხელს უწყობს სოციალური მომსახურების განვითარებას, რეზიდენტული და ალტერნატიული მომსახურებების, სათემო და საოჯახო ტიპის სოციალური მომსახურების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფართო სპექტრის მიწოდებას. ეს სერვისები განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ბავშვებისათვის და ხანდაზმულებისათვის. სერვისები მოიცავს: სარეაბილიტაციო სერვისებს და დამხმარე საშუალებებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, დღის ცენტრებს, ადრეული ინტერვენციის პროგრამებს, სათემო მომსახურებებს. აღნიშნული სერვისები არის უფასო მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა, ასახულ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსში არის ოფიციალურად განსაზღვრული დონის ქვემოთ. სხვა სერვისებს რაც შეეხება, სერვისები ხელმისაწვდომია თანადაფინანსების საფუძველზე. მომსახურებები ასევე მოიცავს: მინდობით აღზრდას, მცირე საოჯახო ტიპის სახლებს მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის და სხვა. აღნიშნული სერვისები არის უფასო ყველა ბენეფიციარისათვის. | |
| 117.91 | დაიცვას უმცირესობის წარმომადგენლები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოს მათი რელიგიის და რწმენის თავისუფლება **(Protect minorities and ensure the full enjoyment of their freedom of religion or** | განა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ბოლო წლების განმავლობაში, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის მიმართულებით პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა კანონმდებლობის დახვეწის კუთხით. მათ შორის, აღსანიშნავია 2015 წლის ივლისში მიღებული „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონი, რომელშიც განსაზღვრულია „ეროვნული უმცირესობების ენების“ ცნება და ასევე ამ ენების საჯარო სივრცეში გამოყენების შესაძლებლობები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. | სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო<br><br>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **belief in accordance with international human rights law)** | | | საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს. საქართველო მიერთებულია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპულ ჩარჩო კონვენციას და, შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული აქვს ის ვალდებულება, რაც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვას და მათი ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფას ქვეყნის განვითარებაში. აღნიშნული მექანიზმიდან გამომდინარე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით მომზადდა მონიტორინგის მესამე ციკლის ფარგლებში სახელმწიფო ანგარიში, რომელიც 2017 წლის ივლისში წარედგინა ევროპის საბჭოს. ანგარიშში ასახულია 2012-2017 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა და ზოგადად, თანასწორობის, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული მდგომარეობა.<br><br>რელიგიისა და რწმენის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, ანტი-დისკრიმინაციული და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამასთანავე, ამ მიმართულებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და სხვადასხვა უწყებებისათვის სრული ინფორმირებისათვის, რელიგიის საკითხთა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო სააგენტოს მხრიდან გამოცემული იქნა პუბლიკაციები რელიგიის თავისუფლების შესახებ ქართულ ენაზე. მათ შორის ხაზგასასმელია:<br>• სახელმძღვანელო - სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში;<br>• სერია - რელიგია და სამართალი (ჯერ-ჯერობით 3 ტომად): I - „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლებაზე“, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებაში (სულ 62 საქმე); II - „გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ“; III - „რუმინეთის, ბულგარეთის, ავსტრიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ბელორუსიის კანონმდებლობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ“.<br><br>*დამატებით იხ. ასევე რეკომენდაცია 117.92.* | |
| 117.92 | ხელი შეუწყოს ინტერკულტურულ და რელიგიებს შორის დიალოგს და თანამშრომლობას ანტიდისკრიმინაციულ ი პროგრამების გასაძლიერებლად და საზოგადოებაში | ფილიპინები | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ინტენსიურად თანამშრომლობს საქართველოში არსებულ ყველა რელიგიურ ორგანიზაციასთან და ხელს უწყობს მათ შორის დიალოგს. სააგენტოს დაარსებისთანავე, სახელმწიფო დონეზე აღინიშნება ტოლერანტობის საერთაშორის დღე. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაამკვიდრა ტრადიცია - ტოლერანტობის საერთაშორისო | სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ცნობიერების ასამაღლებელ დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კამპანიებს **(Promote intercultural and interreligious dialogue and cooperation, as a way of strengthening its non-discrimination programmes and supporting its awareness-raising campaigns against discrimination)** | | | დღეს საქართველოში არსებული რომელიმე რელიგიური თემი სხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებსა და მრევლს მასპინძლობს.<br><br>საანგარიშო პერიოდის პირველ წელს საქართველოში არსებულ რელიგიურ თემებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და საპატრიარქო მასპინძლობდა. 2017 წლის 16 ნოემბერს კი მასპინძელი იყო ქართველ ებრაელთა თემი - დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში.<br><br>ამავდროულად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ყოველწლიურად აწყობს ინტერრელიგიური დიალოგის ფარგლებში კონფერენციებს.<br><br>2016 წელს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, გაიმართა პირველი კონფერენცია დევიზით - „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, რომლის მიზანი იყო საქართველოში მოქმედ რელიგიათა წარმომადგენლების პოზიციების დაფიქსირება ჩვენი საზოგადოების აქტუალურ საკითხებზე და მოსაზრებათა შეჯერება განსხვავებულ კონფესიათა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. კონფერენციამ მიიღო ერთობლივი დეკლარაცია, რომლითაც საქართველოში არსებულმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის მარადიულ ფასეულობებს. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2017 წლის 15 ნოემბერს, საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის, რელიგიის სააგენტოს პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები კვლავ შეიკრიბნენ „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ – II კონფერენციის ფორმატში, სახელწოდებით - „რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში“. კონფერენცია - „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ - ყოველ მომდევნო წელს გაიმართება.<br><br>ჩატარდა და გრძელდება ტრენინგ-ლექციების ცნობიერების ამაღლების კუთხით თემაზე - „სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტი“, საჯარო მოხელეებისათვის და შსს-სათვის.<br><br>*დამატებით იხ. ასევე რეკომენდაცია 117.91.* | |
| 117.93 | განახორციელოს რელიგიათშორისი და ინტერკულტურული დიალოგისა და შემწყნარებლობის ხელშეწყობის ეროვნული სტრატეგია **(Implement a national strategy to promote interreligious and intercultural dialogue and tolerance)** | განა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აქვს „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია“ (2014-2020) და ამ სტრატეგიის შესაბამისად მიღებული „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა“, რომლის განახლება ხდება ყოველ ორ წელიწადში.<br><br>ამასთან, საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის: | სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო<br><br>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | • საქართველოში რელიგიის თავისუფლების, ტოლერანტობის, თანასწორუფლებიანობისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის განმტკიცება;<br>• .საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ანალიზი და შესაძლო რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევებზე კვალიფიციური კვლევის ჩატარება;<br>• ზოგადი განათლების სისტემაში რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების განმტკიცება;<br>• დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანობის გაზრდა;<br>• დისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიური ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება<br>• კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ჩანაწერების აღმოფხვრა;<br>• რელიგიური გაერთიანებების მიერ საკუთარი საქმიანობის შეუზღუდავად განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, და სხვ.<br><br>სამოქმედო გეგმის ფარგლებში სააგენტო სისტემატიურად ატარებს ღონისძიებებს ტოლერანტობისა და არადისკრიმინაციული გარემოს მხარდასაჭერად, ასევე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო და ეროვნული | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.<br><br>ამასთან, ერთად სააგენტომ შეისწავლა საერთაშორისო და უცხო ქვეყნების გამოცდილება საჯარო სამსახურში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის სტანდარტების შემუშავებასა და ინსტიტუციონალიზაციასთან, ასევე, ამ სტანდარტების შესაბამისი დოკუმენტებში ასახვის ფორმებთან დაკავშირებით. ასევე, აქტიურად მუშაობდა საქართველოს საჯარო სამსახურის ეროვნულ ბიუროსთან.<br><br>საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N200 დადგენილებით დამტკიცებულ „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგად წესებს", სააგენტოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, დაემატა მე-7 მუხლი (რელიგიური ნეიტრალიტეტი).<br><br>ამასთანავე, ეთნიკური უმცირესობების კულტურული იდენტობის დაცვა და ტოლერანტული გარემოს გაძლიერების ხელშეწყობა წარმოადგენს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზანს. 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმაში ასახულია მრავალი პროექტი და ღონსძიება, რაც ემსახურება ეთნიკური უმცირესობების კულტურის დაცვა-განვითარებას და პოპულარიზაციას და ინტერკულტურულ დიალოგს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გზით. ასევე, პრიორიტეტის – „ეთნიკურ უმცირესობათა მხარდაჭერა“ – ფარგლებში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო აგრძელებს კულტურის სფეროში მოღვაწე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების გამოფენების, გამოცემების, სპექტაკლების, საღამოების, სხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას. 2016-2017 წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის, მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვის საკითხს.<br><br>სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის დამკვიდრების მიზნით სისტემატურად მიმდინარეობს საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებითა და კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი: „რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმი“. სულ საქართველოს მასშტაბით ტრენინგში 200-მდე საჯარო მოხელემ მიიღო მონაწილეობა. ტრენინგმა საქართველოს მასშტაბით მოიცვა 10 რეგიონის (აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი). რიგი აქტივობები ხორციელდება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით: სსიპ რელიგიის საკითხთა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო სააგენტოს მიერ გამოიცა ინტერრელიგიური კალენდარი. აღნიშნული პროექტი გულისხმობს სხვადასხვა რელიგიური თემების დღესასწაულთა თავმოყრას ერთი კალენდრის ფორმატში. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლობით მომზადდა საქართველოს რელიგიური რუკები, რომელიც ეფუძნება 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებს და წარმოაჩენს საქართველოს საერთო რელიგიურ მრავალფეროვნებას და მის რეგიონალურ განფენილობას. ასევე, მომზადდა საკულტო ნაგებობების ელექტრონული რუკა, სადაც ასახულია საკულტო ნაგებობები 3D ფორმატში. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში სააგენტომ მოამზადა რელიგიური ტოლერანტობის შესახებ სოციალური ვიდეო რგოლი, რომელიც გადიოდა ტელევიზიით. საჯარო სამსახურში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მომზადდა პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის - „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში", რომელიც მყარ ბაზას ქმნის ამ მიმართულებით. რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების პრევენციისა და მათზე რეაგირების მონიტორინგის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი საგამოძიებო დანაყოფები ახორციელებენ რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულების შესწავლას და ანალიზს ჩადენის ლოკაციის, სოციალური ფონის, ეთნიკური და | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კულტურული მრავალფეროვნების გათვალსწინებით.<br><br>*დამატებით იხ. ასევე რეკომენდაცია 117.92.* | |
| 117.94 | რელიგიური შევიწროებისა და სიძულვილის ენის გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირთა დასჯის გზით უზრუნველყოს თითოეული ადამიანის, მათ შორის რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების რელიგიის თავისუფლება<br>**(Ensure the enjoyment of the right to freedom of religion by everyone, including persons belonging to religious minorities, by punishing those who harass or incite hate speech against religious minorities)** | ბოტსვანა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | აღსანიშნავია რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები. კერძოდ, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში შემუშავდა რეკომენდაცია, რომელიც შეისწავლა ევროპის საბჭოს ექსპერტმა. რეკომენდაცია ეხება რელიგიურ შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემულ ნორმათა განმარტებას, რელიგიური შენობა-ნაგებობების დაზიანებათა შემთხვევებს, ვერბალური შეურაცხყოფის მიყენების სამართლებრივ კვალიფიკაციას და სხვა აქტუალურ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ოქტომბერში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამართული შეხვედრის ფარგლებში აღნიშნულ რეკომენდაციას გაეცნენ სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წარმომადგენლები. საქართველოში არსებულ რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე 2013-2017 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკური მონაცემების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებს წარედგინათ ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული, | სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო<br><br>საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მათ შორის რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შესახებ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის განხორციელებული სასწავლო აქტივობების თაობაზე. შეხვედრის მიზანს, საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებისთვის საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების გაცნობა, არსებულ გამოწვევებზე მსჯელობა და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გზების დასახვა წარმოადგენდა.<br><br>სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2017 წელს საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე აქტიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია სექსუალური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების თაობაზე.<br><br>2016-2017 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო: 142-ე მუხლით, (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) – 1 საქმეზე, 155-ე მუხლით, (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) - 5 საქმეზე, 156 მუხლით (დევნა) – 17 საქმეზე.<br><br>*იხ. ასევე რეკომენდაცია 117.43, 117.44, 117.45, 117.46 და 117.49.* | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 117.95 | სრულად უზრუნველყოს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა და მედიის პლურალიზმი **(Fully respect freedom of expression and media pluralism)** | პორტუგალია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2013 წელს, „ღია მმართველობის პარტნიორობის" ყოველწლიურ სამიტზე ლონდონში, საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა ახალი ვალდებულების აღების შესახებ - საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის მიღება. კანონის პროექტის შემუშავების გეგმა იუსტიციის სამინისტრომ წარადგინა 2014 წლის 13 თებერვლის ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე.<br><br>კანონპროექტის ინიციატორს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, პირველ ეტაპზე სამინისტროს მიერ მოხდა მიმდინარე რეგულაციაში არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია, რის შესახებაც ინფორმაცია წარედგინა ანტიკორუფციულ საბჭოს. ამის შემდგომ, ჩატარდა არაერთი კვლევა საერთაშორისო კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით. ჩატარებული სამუშაოს შედეგად აშკარა იყო ცვლილებების აუცილებლობა და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება. იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, კანონპროექტის შემუშავება გადაწყდა არასამთავრობო სექტორის უშუალო ჩართულობით, შესაბამისად, სამინისტროს ხელმძღვანელობით პროცესი წარიმართა ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს" მხარდაჭერით. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებისა და „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაქირავებული ექსპერტებისგან დაკომპლექტდა ვიწრო სამუშაო ჯგუფი (სამართალშემოქმედებითი ჯგუფი), რომელსაც დაევალა პირველ ეტაპზე ცვლილებების კონცეფციის შემუშავება და შემდგომში თავად კანონის პროექტის.<br><br>ვიწრო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული ნებისმიერი ხედვა ინფორმაციის თავისუფლების სფეროში შესატანი ცვლილებების შესახებ, განსახილველად წარედგინებოდა ანტიკორუფციული საბჭოს. არსებული გამოწვევების საპასუხოდ უფრო ფართო მასშტაბიანი სამუშაო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სამი თემატური სამუშაო ჯგუფი - ერთი მათგანს დაევალა განმარტებებზე მუშაობა, მეორეს - ინფორმაციის გაცემის შეზღუდვებზე, ხოლო მესამეს - საზედამხედველო ორგანოზე. აღნიშნული თემატური ჯგუფები მუშაობდნენ კონკრეტული მიმართულებებით და ახდენდნენ ვიწრო სამუშაო ჯგუფის ინფორმაციულ მხარდაჭერას.<br><br>ვინაიდან, მიმდინარე საკოორდინაციო მექანიზმი (ანტიკორუფციული საბჭო) ეფუძნება მონაწილეობით და კონსენსუსის სახით გადაწყვეტილების მიღების ბუნებას, კანონპროექტის შემუშავების სრული პროცესი გარანტირებული იყო ისეთი ფართო ჩართულობით, როგორიცაა წარმომადგენლები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორიდან, | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მედია, სასამართლო, აკადემიური სექტორი და ექსპერტები.<br><br>კანონის პროექტის საბოლოო სახეზე იუსტიციის სამინისტრო მუშაობდა 2016 წელს და 2017 წლის გაზაფხულზე ის ანტიკორუფციული საბჭოს წევრებს დაეგზავნა ფართო კონსულტაციებისთვის. კანონპროქტის პარლმენტში გაგზავნა მიმდინარე წლის საგაზაფხულო სესიისთვის იგეგმება.<br><br>ცვლილებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე არსებული რეგულაციაში:<br><br>საჯარო ინფორმაციის ცნება - საჯარო ინფორმაციის განმარტებაში რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობის ბუნდოვანება პრაქტიკაში სხვადასხვა მიდგომის ჩამოყალიბებაში აისახა. კერძოდ, ტერმინი „დამუშავებული" სხვადასხვანაირადაა გაგებული. ზოგი პრაქტიკოსი მას განმარტავს, როგორც სახელმწიფო უწყების ვალდებულებას, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე შექმნას ინფორმაცია. მაშინ, როდესაც სხვები გამორიცხავენ უწყების მიერ ახალი ინფორმაციის/დოკუმენტის შექმნის ვალდებულებას. ამ საკითხთან მიმართებით სასამართლოს შეხედულებაც ორაზროვანია და დღემდე მოსამართლეთა შორის დებულების განმარტების შესახებ კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული.<br><br>გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციის ფორმასთან დაკავშირებით განმარტებას აკლია სიცხადე, რამდენადაც ის მიემართება ცნებას | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | „ოფიციალურ დოკუმენტი“. ამან დაამკვიდრა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წინაპირობების არასწორი გაგება, რასაც სახელმწიფო უწყებები ხშირად შეზღუდვის საფუძვლად იყენებენ.<br><br>კანონის პროექტი ნათლად მიუთითებს, თუ რა იგულისხმება ტერმინში „დამუშავებული“ (არსებული სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის დამუშავება, ახალი ინფორმაციის შექმნის ვალდებულების გამოკლებით) და „დოკუმენტით“ *inter alia* აღნიშნავს ერთ-ერთ ფორმას, რომელშიც შესაძლოა არსებობდეს ინფორმაცია.<br><br>საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურა და ვადები - არსებული კანონმდებლობა განამტკიცებს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, გამონაკლის შემთხვევებში. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ფარგლებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩანაწერი თითქოს ნებას რთავს საჯარო დაწესებულებებს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყონ 10 დღის განმავლობაში. პრაქტიკაში ტერმინი „დაუყოვნებლივ“ ხშირად უგულებელყოფილია, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია დებულების ბუნდოვანი ფორმულირებით. კანონის პროექტი ინფორმაციის სხვადასხვა კატეგორიის გაცემისათვის განსხვავებულ ვადას აწესებს დაუყოვნებლივ გაცემასა და 10-დღიანი ვადის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შუალედში (მათ შორის 3-დღიანი და 48-საათიანი ვადა).<br><br>საჯარო დაწესებულებები - სადღეისოდ, კანონმდებლობის ფარგლებში, საჯარო დაწესებულებად მოიაზრება ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში. ეს დეფინიცია არ მოიცავს მთელ რიგ დაწესებულებებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობის ფარგლებში ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას, შესაბამისად, განმარტება არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. კანონის პროექტით განსაზღვრული საჯარო დაწესებულება დამატებით ფარავს ყველა კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლებიც დაფუძნებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ; რომელშიც სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაშია წილის (აქციების) 50% ან მეტი; ან რომლის საქმიანობაზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი.<br><br>პროაქტიული გამოქვეყნება და საჯარო ინფორმაციის რეესტრი - ამჟამად საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება რეგულირდება მთავრობის დადგენილებით, რომელიც არ მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველობათა საჯარო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დაწესებულებებს. აქედან გამომდინარე, თითოეულმა ადგილობრივმა თვითმმართველობამ თავისი ტერიტორიის ფარგლებში ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფა უნდა მოახდინოს ბრძანების გამოცემის საფუძველზე. აღნიშნული იძლევა ფართო დისკრეციას, რამაც შედეგად გამოიღო არასისტემატიზებული, ერთმანეთთან შეუსაბამო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხების დამტკიცება სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მიხედვით. ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი ფარავს როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო დაწესებულებებს, რაც ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე განსხვავებული სტანდარტების არსებობის თავიდან აცილებას ემსახურება.<br><br>კანონის პროექტი ზუსტად განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის რეესტრის წინაპირობებს დოკუმენტაციის მენეჯმენტის სისტემის გამარტივებისთვის საჯარო დაწესებულების ფარგლებში და ინფორმაციის გაცემის კუთხით.<br><br>საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა - ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისათვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლებია: პერსონალური მონაცემები, სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება. არსებული რეგულაცია არ შეიცავს ზუსტ წესებს, თუ როგორ შეიძლება ინფორმაცია მიჩნეულ იქნეს საიდუმლოებად და რა ინტერესების გათვალისწინება უნდა მოხდეს ამისთვის. უფრო მეტიც, მას არ გააჩნია შესაბამისი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დებულებები საჯარო ინტერესისა და შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის დაბალანსებისთვის. ამის საპირისპიროდ, ინფორმაციის გასაიდუმლოება შესაძლებელია ზოგადი წესით და კანონი არაფერს მიუთითებს ამ ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ.<br><br>კანონის პროექტი განსაზღვრავს ინფორმაციის გასაიდუმლოებისა და დასაიდუმლოების საფუძვლებსა და წესებს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ პროექტით წარმოდგენილია საჯარო ინტერესისა და ზიანის ტესტები, რომლებიც შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, სახელმძღვანელო პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევისა თუ განსაიდუმლოებისთვის.<br><br>საზედამხედველო ორგანო - შემოთავაზებული კანონის პროექტის უმნიშვნელოვანესი სიახლეა საჯარო ინფორმაციის საზედამხედველო ორგანო საქართველოს სახალხო დამცველის სახით. მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო პრაქტიკა ითვალისწინებს კონკრეტული მექანიზმის/ორგანოს არსებობას ინფორმაციის თავისუფლების უფლების ზედამხედველობისთვის.<br><br>კანონის პროექტის მიხედვით, სახალხო დამცველი ზედამხედველობას გაუწევს საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საჯარო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ, კონსულტაცია გაიარონ სახალხო დამცველთან რეკომენდაციის, შეთავაზებებისა და ა.შ. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მიღების მიზნით. სახალხო დამცველი ხელს შეუწყობს საჯარო რეესტრების წარმოების ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ სასიცოცხლო მნიშვნელოვნისაა საჯარო ინფორმაციის შენახვისათვის.<br><br>კანონის პროექტის მიხედვით, სახალხო დამცველს, როგორც საზედამხედველო ორგანოს, ექნება ძლიერი მექანიზმი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. კანონის პროექტის მიხედვით, სახალხო დამცველი უფლებამოსილი იქნება კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის დააწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა. კანონპროექტით გათვალისიწინებულია სახალხო დამცველის უფლებამოსილება გამოსცეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომელიც უნდა წარედგინოს სასამართლოს.<br><br>კანონის პროექტის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევა:<br>- საჯარო ინფორმაციის კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევით გაცემა;<br>- საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი უმოქმედობით;<br>- საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების დარღვევა;<br>- საჯარო დაწესებულებაში დაცული საჯარო ინფორმაციის შემცველ დოკუმენტზე ხელმისაწვდომობის ვალდებულების დარღვევა;<br>- საჯარო ინფორმაციის შესახებ წლიური ანგარიშის წარუდგენლობა; | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | - საჯარო ინფორმაციის განადგურება;<br>- განზრახ არასწორი ინფორმაციის გაცემა;<br>- საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა.<br><br>საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყანაში გარანტირებულია **მედიის თავისუფლება და პლურალიზმი.**<br><br>საქართველოში დღეს არსებული მედია პოლიტიკა ტელემაუწყებლობის განსახორციელებლად ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია.<br><br>მოქმედი კანონმდებლობით, ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს 10 დღეში შეუძლია მაუწყებლობის დაწყება. მაუწყებლობის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მარტივი ავტორიზაციის პროცესის გავლით და ლიცენზიის აღება სჭირო აღარ არის.<br><br>პროცედურების გამარტივებამ და ლიბერალურმა პოლიტიკამ მაუწყებლების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდა და დღეს მედია გაცილებით უფრო მრავალფეროვანია.<br><br>შედარებისთვის, 2012 წლამდე ქვეყანაში სულ 4 ეროვნული მაუწყებელი არსებობდა ( საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩათვლით ), დღეის მდგომარეობით კი, საქართველოში მოქმედებს 21 ეროვნული ღია საეთერო მაუწყებელია. 2018 წლის 1 მარტის მონაცემებით კი, ქვეყანაში 98 მაუწყებელი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ოპერირებს, მაშინ როცა 2012 წლამდე (რეგიონალური და საკაბელო მაუწყებლების ჩათვლით) 54 მაუწყებელი მოქმედებდა.<br><br>ამასთან, 2018 წლის 5 მარტიდან ძალაში შევიდა მაუწყებლობის შესახებ ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს მედიისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას უფრო გამჭვირვალე ფინანსირების, ასევე სატელევიზიო კომპანიების პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოს დემოკრატიული შემადგენლობის მეშვეობით.<br><br>საქართველო 2015 წელს სრულად გადავიდა ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე. 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის საფუძველზე შეიქმნა საეთერო მაუწყებლობის ციფრულ რეჟიმში გავრცელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (მულტიპლექსპლატფორმები). აღნიშნული დოკუმენტით, ადგილობრივი მაუწყებლობის ხელშეწყობისა და ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირების უზრუნველყოფის მიზნით, ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისათვის/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებისათვის გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო რადიოსიხშირული რესურსის უსასყიდლოდ მინიჭება. დღეის მდგომარეობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს სამი ციფრული | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მულტიპლექსპლატფორმა, თბილისის მასშტაბით -თბილისის მულტიპლექსპლატფორმა, ასევე, ფუნქიონირებს 25 რეგიონული მულტიპლექსი, მათ შორის ეროვნული და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.<br><br>მაუწყებლების და მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით 2016 წელს ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა მულტიპლექს პლატფორმების მფლობელების ვალდებულება, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საეთერო მაუწყებლობაზე ავტორიზებული მაუწყებლები დაუშვან არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯზე ორიენტირებული ტარიფებით და მიაწოდონ ერთგვაროვანი ხარისხის მომსახურება. აღნიშნული სტანდარტი წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში უმთავრეს ევროპულ სტანდარტს, რომელიც მოქმედებს ელექტრონული კომუნიკაციების ყველა სფეროში. | |
| 117.96 | განახორციელოს შესაბამისი ზომები მედიაგარემოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით<br>**(Institute measures that guarantee a free and independent media environment)** | განა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. რეკომენდაცია 117.95.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| 117.97 | განაგრძოს მედიის თავისუფლების საკითხზე პრიორიტეტული წესით მუშაობა **(Continue to prioritize safeguarding media freedom)** | ავსტრალია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. რეკომენდაცია 117.95.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| 117.98 | ხელი შეუწყოს პლურალიზმის პატივისცემას და თავისუფალ დიალოგს ისეთი გარემოს დამკვიდრების გზით, სადაც თავისუფლად იქნება შესაძლებელი განსხვავებული, მათ შორის ოპოზიციური მოსაზრებების დაფიქსირება, ასევე კრიტიკული მედიასაშუალებების წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული ზომების გამოყენების თავიდან აცილებით **(Bolster respect for pluralism and open debate** | აშშ | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. რეკომენდაცია 117.95.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | by fostering a non-violent environment tolerant of dissenting voices, including those of the opposition, and avoiding politically motivated actions against critical media outlets) | | | | |
| 117.99 | თავი შეიკავოს ადამიანის უფლებათა დამცველებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში ჩარევისაგან და უზრუნველყოს მათი მუშაობისთვის საჭირო უსაფრთხო გარემო **(Refrain from interfering in the activities of human rights defenders and non-governmental organizations and ensure a safe and enabling environment for their work)** | ესტონეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოში ადამიანის უფლებათა დამცველები და არასამთავრობო ორგანიზაციები შეუფერხებლად ახორციელებენ პროფესიულ საქმიანობას ხელისუფლებისაგან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. არასამთავრობო სექტორი საქართველოში აქტიურია და მათთვის საქართველოში შექმნილია უსაფრთხო გარემო. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა დამცველები და არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამთავრობო პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავების პროცესში, ისევე როგორც სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესში. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 117.100 | შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე ქალთა ჩართულობას ხელისუფლების ყველა შტოში **(Develop a strategy to increase the** | ავსტრია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. რეკომენდაციები 117.32 და 117.102.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **participation of women in decision-making positions in all branches of the Government)** | | | | საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი |
| 117.101 | განაგრძოს მუშაობა თანასწორობის პრინციპის მოთხოვნების შესაბამისად, დისკრიმინაციის გარეშე, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისა და აღმასრულებელ თანამდებობებზე მათი წარმომადგენლობის ხელშეწყობის მიმართულებით, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ქალთათვის **(Continue working to boost the participation of women in political and executive positions under principles of equality without discrimination, particularly guaranteeing** | კოლუმბია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. რეკომენდაციები 117.32 და 117.102.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო<br><br>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **the participation of rural women)** | | | | |
| 117.102 | გააღრმაოს მუშაობა და გამოყოს აუცილებელი რესურსები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალთა მეტი წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით **(Increase efforts and allocation of necessary resources to guarantee greater participation of women in political and leadership positions)** | კოსტა რიკა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ კანონის მიღების საკითხი აქტუიურად განიხილება ეროვნულ დონეზე.<br><br>2017 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საკანონმდებლო წინადადება, სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ, 30 000 მეტი ხელმოწერით. საქართველოს პარლამენტმა, პირველ, საკომიტეტო მოსმენაზე მხარი დაუჭირა აღნიშნულ კანონპროექტს. კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, არჩევით ორგანოებში, როგორც პარლამენტში, ასევე ადგილობრივ დონეზე, პროპორციული საარჩევნო სიების წარდგენისას საარჩევნო სუბიექტებს დაევალებათ სიების 50% განსხვავებული სქესის კანდიდატებით იყოს დაკომპლექტებული. შედეგად, საქართველოს პარლამენტში, ქალთა წარმომადგენლობა დაუახლოვდება 30%. მართალია, კანონი არ იქნა მიღებული, რადგან ვერ მოიპოვა სათანადო მხარდამჭერთა რიცხვი პარლამენტში, თუმცა, ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გრძელდება. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო |
| 117.103 | გაატაროს ზომები უმცირესობების ინტეგრაციისა და საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად | ალბანეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | **პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაცია.** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ცესკო თავის საქმიანობას ახორციელებს დამტკიცებული საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წწ. სტრატეგიული და ყოველწლიური სამოქმედო გეგმების საფუძველზე. 2016 წლის საქართველოს პარლამენტის და 2017 წლის ადგილობრივი | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **(Undertake further measures for the integration of minorities and the promotion of their representation in Georgian political and public life)** | | | თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის ეთნიკურ უმცირესობებს ჰქონდათ თანაბარი მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. კერძოდ:<br>• საარჩევნო დოკუმენტაცია, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ასევე ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის განკუთვნილი მასალები და საინფორმაციო ვიდეო რგოლები ითარგმნება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;<br>• ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა ინტენსიური ტრენინგები გაიარეს, ასევე მათთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე დაიბეჭდა ფუნქციების შესასრულებლად საჭირო სახელმძღვანელო მასალები.<br>• ამომრჩევლებს შესაძლებლობა ჰქონდათ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ამომრჩეველთა ერთიან სიაში, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გადაემოწმებინათ საკუთარი მონაცემები.<br><br>2015-2017 წ.წ. საარჩევნო ადმინისტრაციამ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განახორციელა მნიშვნელოვანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროექტები, როგორც საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, სტუდენდებისა და ზოგადად ახალგაზრდებისთვის, ისე ნებისმიერი ასაკის ამომრჩევლებისთვის. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირებისა და საარჩევნო პროცესში ჩართულობისთვის ადგილობრივი | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გაიცა გრანტები.<br><br>ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არიან საქართველოს პარლამენტში. ასევე, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ადგილობრივ ხელისუფლებაში ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები მოსახლეობის პროპორციულად არიან წარმოდგენილნი. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით, შერიგებისა და სამოქალაქო თანსწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ხელი შეუწყო ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებთან შექმნილი საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობას. საბჭოების შემადგენლობაში ასევე შედიან რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.<br><br>საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესებისა და საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს გაერო-ს ასოციაციასთან თანამშრომლობით, 2017 წელს განახორციელა სტაჟირების საპილოტე პროგრამა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო (1+4) პროგრამით“ მოსარგებლე პირებისათვის. პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | წარმომადგენელი ახალგაზრდები კონკურსის საფუძველზე ჩაერთვნენ სტაჟირების პროცესში. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის წევრი უწყებების კეთილი ნების საფუძველზე, 65-მა წარმატებულმა აპლიკანტმა სამთვიანი სტაჟირება გაიარა 20 უწყებაში, მათ შორის საჯარო სტრუქტურებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.<br><br>ასევე აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლიდან მოქმედებს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“ („1+4“ პროგრამა), რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საგრძნობლად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების რაოდენობა: 2015 წელს ჩაირიცხა 741 აბიტურიენტი; 2016 წელს - 960, ხოლო 2017 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 1046-მა აბიტურიენტმა. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2017 წლის დეკემბრის თვეში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში. კერძოდ, განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა“ შესაძლებლობა მიეცემათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები.<br><br>**წვდომა მედიასა და ინფორმაციაზე.** საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით მიმდინარეობს საინფორმაციო გადაცემის ტრანსილირება ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. ასევე, 2016 – 2017 წლის ივლისამდე ეთერში გადიოდა ყოველდღიური გამოშვებები სამ ენაზე (აფხაზური, ოსური და რუსული). ხოლო, 2017 წლის სექტემბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედდა შვიდენოვანი (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ვებ-პორტალი - www.1tv.ge, რომლის საშუალებით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს შესაბამის ენაზე მომზადებულ მისთვის საინტერესო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ინფორმაციას, უყუროს რეპორტაჟებსა და სიუჟეტებს. ვებ-პლატფორმის საფუძველზე დაგეგმილია ინტერნეტ-რადიო ტელევიზიის შექმნა. რადიომაუწყებლობა ასევე ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობებისათვის.<br><br>2016-2017 წწ. სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“; გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაწესებულებებში.<br><br>**განათლება.** განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, მათ შორის მათ მშობლიურ ენებზე.<br><br>საქართველოში ფუნქციონირებს 211 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 76 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 82 აზერბაიჯანულენოვანი, 118 სომხურენოვანი, 11 რუსულენოვანი სკოლები. ასევე ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი - 32, ქართულ-რუსული სექტორი - 29, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი - 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი-1.<br><br>ბოლო წლების განმავლობაში შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა: | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | • შეიქმნა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო რესურსში გათვალისწინებულია ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური მრავალფეროვნების ასახვა, აღმზრდელ-პედაგოგების მიერ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;<br>• მომზადდა ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული) სტანდარტი საბაზო საფეხურისათვის (VII-IX კლასები, პირველი ვერსია);<br>• ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების ექსპერტებთან ერთად მზადდება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) წლიური პროგრამები;<br>• ყურადღება დაეთმო არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას;<br>• განისაზღვრა და დაინერგა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების (ოსური, ხუნძური, უდიური, ასურული, ქურთული, ჩეჩნური) სწავლება კონკრეტულ სკოლებში.<br>• 2017 წლის იანვრიდან მიმდინარეობს აფხაზური ენის სწავლება აჭარის ორ სკოლაში;<br>გაგრძელდა „1+4“ პროგრამის განხორციელება, რომელიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობისკენ; | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | განათლების თითოეულ საფეხურზე გაგრძელდა იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას. ამ მიმართულებით საქმიანობა განაგრძო სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ, რომელმაც განახორციელა „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამხარეო ადმინისტრაციების, განათლების სამინისტროს რესურცენტრების, საჯარო სკოლების თანაშრომლებსა და ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს უფასოდ ისწავლოს სახელმწიფო ენა სკოლის დაქვემდებარებაში არსებულ 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა და მობილურ ჯგუფებში.<br><br>ქართული ენის შემსწავლელი კურსები ასევე განახორციელეს იუსტიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, კულტურისა და სპორტის სამინისტროებმა.<br>ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა ქ. ახალქალაქის სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის ეპარქიაში.<br><br>გენდერული მეინსტრიმინგი. წარიმართა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქალთა უფლებები, ეთნიკური უმცირესობების უფლებები, | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, ადრეული ქორწინება, ოჯახური ძალადობა, სახელმწიფო სოციალური პროგრამები და სერვისები, საგანმანათლებლო პროგრამები, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი და სხვა.<br><br>სოციალური და რეგიონული მობილობა.<br>• ხორციელდება ეთნიკური უმცირესობებისათვის საინფორმაციო კამპანია ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ. შემუშავდა და დაიბეჭდა საინფორმაციო მასალები როგორც სახელმწიფო ენაზე, ისე ეთნიკური უმცირესობების ენებზე.<br>• გრძელდება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. პროექტები ითვალისწინებს გაზიფიკაციას, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაციას; სასკოლო, სპორტული ინფრასტრუქტურის შეკეთებას/განახლებას.<br><br>**კულტურის შენარჩუნება.** ეთნიკური უმცირესობები აქტიურად არიან ჩართული კულტურულ ღონისძიებებში. მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტების და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავს მათი კულტურული თვითმყოფადობის წახალისებასა და პოპულარიზაციას. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მიმდინარეობს საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომლის ფარგლებშიც იმართება შეხვედრები, დისკუსიები შემდეგ საკითხებზე: განათლების სფეროში არსებული სიახლეები, პროგრამები; სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამები; საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა და პერსპექტივები, ადამიანის უფლებები და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა, სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა, ქალთა უფლებები, ოჯახური ძალადობა და სხვა.<br><br>*იხ. ასევე 117.33 რეკომენდაცია.* | |
| 117.104 | გააუმჯობესოს სოციალურად დაუცველ პირთა წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე **(Improve access to health services for socially vulnerable persons)** | ალჟირი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ,2007 წელს ამოქმედებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, ხოლო 2013 წლიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის პარალელურად, მოწყვლადი მოსახლეობის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, 2017 წლის 1 ივლისიდან ქრონიკული დაავადებების მქონე პირთათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების" მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ამოქმედდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა. | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |
| 117.105 | გააუმჯობესოს ქალთა წვდომა ჯანდაცვისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ხარისხიან სერვისებზე | რუანდა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან | 2017 დამტკიცდა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია, რომელიც მომავალი 14 წლის განმავლობაში განსაზღვრას ქვეყნის პოლიტიკას როგორც დედათა და | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **(Improve women's access to high quality health care and health-related services)** | | შესრულების პროცესშია | ახალშობილთა ჯანმრთელობის, ასევე, ოჯახის დაგეგმვის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით.<br><br>2015 წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდა პერინატალური რეგიონალიზაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პერინატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების დონეების და მათი როლისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრას, რათა საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს სწორი პაციენტის სწორ სამედიცინო დაწესებულებაში სწორ დროს მიმართვა და ეფექტური რეფერირება. შედეგად, 2016 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში - 22,9/100 000 ცოცხალშობილზე.<br><br>2017 წლიდან დაიწყო დედიდან ბავშვზე სქესობრივად გადამდები დაავადებების ელიმინაციის პროგრამა. | დაცვის სამინისტრო |
| 117.106 | განიხილოს საჯარო განათლების ყველა დონეზე განათლების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის საკითხი **(Consider improving and promoting education at all levels of public education)** | ომანი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 დეკემბრის N533 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021. შემუშავდა სტრატეგიის სამოქმედო გეგმები. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროს: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. სამინისტროს სტრატეგია სრულად ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შეთანხმების მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს და შესაბამისობაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული მიზნები ემსახურება ყველა საფეხურზე განათლების ხელმისაწვდომობასა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ყველასთვის.<br><br>საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სრული ზოგადი განათლება უფასოა.<br><br>2015 წელს დამტკიცდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება მასწავლებლის სისტემური პროფესიული განვითარების გზით. სქემა განსაზღვრავს მასწავლებლების ოთხ სტატუსს: პრაქტიკოსი მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი, მენტორი მასწავლებელი. სქემით განსაზღვრული სტატუსები ეფუძნება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br><br>სქემის ამოცანაა მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროფესიის პრესტიჟის ზრდას, საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას, არსებული პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას. უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი პროგრამებისა და სერვისების მიწოდება: პროექტები, პროგრამები, ტრენინგები, კონფერენციები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, მეთოდური და საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.<br><br>2017-2018 სასწავლო წლის მონაცემებია: მენტორი 9; უფროსი 19097; წამყვანი 277; პრაქტიკოსი 44057.<br><br>ამასთან, სკოლებთან გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აუმჯობესებს ტრანსპორტირების მომსახურებას. აღნიშნულ პროგრამაში 2016-2017 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩართული იყო 1188 საჯარო სკოლა და 65559 მოსწავლე, 2016-2017 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში 1212 სკოლა და 66 971 მოსწავლე, ხოლო 2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში - 1234 სკოლა და 70 687 მოსწავლე.<br><br>ასევე, ყოველწლიურად ხორციელდება „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც, პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისთვის ხდება სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემა. ამავე პროგრამით, ყოველწლიურად ხდება როგორც ქართულენოვანი საჯარო სკოლების, ასევე არაქართულენოვანი საჯარო სკოლების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.<br><br>არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს გადაეცემათ შესაბამის ენაზე ნათარგმნი ბილინგვური ენის სახელმძღვანელოები და ასევე დამხმარე ლიტერატურა.<br><br>ხორციელდება პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად პორტაბელური კომპიუტერები („ბუკი“) გადაეცემათ საჯარო სკოლის პირველკლასელ მოსწავლეებს და მათ დამრიგებლებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, კომპიუტერები გადაეცემათ საჯარო საფეხურის კურსდამთავრებულ წარჩინებულ მოსწავლეებს. ხდება საჯარო სკოლების (მათი მოთხოვნის შესაბამისად) უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის ინვენტარით.<br><br>ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო სერვისი - ,,ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა“ მიუსაფარი ბავშვებისთვის. პროგრამაში 2017 წელს ჩაერთო სულ 101 მიუსაფარი ბავშვი, 2018 წელს კი - 150 (ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვი), 12 მათგანი ჩაირიცხა სკოლაში, 3 ბენეფიციარი მომზადდა პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვისთვის და დანარჩენებთან ჩატარდა მუშაობა სკოლის ვადაზე ადრე მიტოვების პრევენციისა და სკოლებში სრულფასოვანი ინტეგრაციის კუთხით. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ზოგადი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის მიზნით, ხორციელდება „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და შსს მიგრაციის დეპარტამენტში მოთავსებულ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას. კერძოდ, ქართულ ენის სწავლებას იმ დონეზე, რომ ბენეფიციარებმა შეძლონ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შეუფერხებლად გაგრძელება. ქვეპროგრამაში 2017 წლის იანვარში ჩაერთო 8 მსმენელი. სწავლას ასევე აგრძელებს სექტემბრის თვეში ჩარიცხული 17 მსმენელი. ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს სულ 25 მსმენელი.<br><br>ხორციელდება „ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც, ბრალდებული/მსჯავრდებული პირებისთვის ხელმისაწვდომია ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა.<br><br>2013-2020 წლებისათვის პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში, პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ბაზრის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდის მიზნით, დამსაქმებლების ჩართულობით, აქტიურად დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა. რეფორმის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდება მოქნილი, კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასთან ერთად დაიწყო სწავლება-შეფასების ხარისხის გაუმჯობესება და მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარება. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.<br><br>ასევე, რეფორმის ფარგლებში აქტიურად დაიწყო მუშაობა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით - დაარსდა ახალი კოლეჯები, განახლდა კოლეჯების სასწავლო კორპუსები/საერთო საცხოვრებლები და ინფრასტრუქტურა. ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით, ადაპტირდა სასწავლო მასალები შშმ და სსსმ პირებისათვის, ასევე ადაპტირდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. 4 პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულება მოეწყო უნივერსალური დიზაინის პრინციპების შესაბამისად (ნორვეგიული სტანდარტი). დაინერგა ალტერნატიული პროცედურები შშმ და სსსმ პირებისათვის სისტემაში ჩასართავად. სახელმწიფო კოლეჯებში დაინერგა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მრავალფეროვანი სერვისები (ჟესტური ენის თარჯიმნები, დამხმარე თანამშრომლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები), დაიგეგმა და განახორციელდა სპეციალური ტრენინგები მასწავლებლებისათვის. შედეგად, 2013-2018 წლებში ალტერნატიული პროფესიული ტესტირების საფუძვლად პროფესიულ განათლებაში 1000-მდე შშმ/სსსმ პირი ჩაირიცხა; 2013-2018 წლებში სსსმ/შშმ სტუდენტების პროფესიული განათლება პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი 29 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იყო უზრუნველყოფილი თბილისსა და რეგიონების 16 მუნიციპალიტეტში. (არსებული მდგომარეობით ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ადაპტირებულია შშმ და სსსმ პირების საჭიროების შესაბამისად. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების განათლების მხარდასაჭერად მომზადდა 52 პროფესიული სახელმძღვანელოს აუდიო ვერსია; 12 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა პორტაბელური ვიდეო გამადიდებლები მხედველობის სირთულეების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლების ხელშესაწყობად; ჟესტური ენით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტების განათლების ხელშესაწყობად შეიქმნა პროფესიული პროგრამების ტერმინოლოგიის შესაბამისი ქართული ჟესტების ელექტრონული ბანკი SignWiki, რომელიც 1500-ზე მეტ ჟესტს აერთიანებს. შეიქმნა ინკლუზიური | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროფესიული განათლების წარმატებული გამოცდილების გზამკვლევი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობით, 90-ზე მეტი სსსმ/შშმ პროფესიული კურსდამთავრებულის დასაქმება მოხდა. ეროვნულ უმცირესობებს შესაძლებლობა აქვთ პროფესიული ტესტირება მშობლიურ ენაზე ჩააბარონ, დაიწყო მოკლევადიანი კურსების განხორციელება სამუშაოს მაძიებელთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა პროფესიული განათლების მიზნით.<br><br>რეფორმის ფარგლებში შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მიღწეული შედეგების შეფასებას. 2017 წელს დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები.<br><br>ამასთანავე უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრო ახორციელებს სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის პროგრამას, რომლის ფარგლებში ფინანსდებიან სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები: მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | რეგიონებში მცხოვრები სტუდენტები; სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან; სტუდენტები, რომლებმაც სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში; სტუდენტები, რომლებმაც სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში; სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები; სტუდენტები, რომელთაც მოპოვებული აქვთ რეპატრიანტთა სტატუსი; სტუდენტები, რომლებიც არიან ობოლნი (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა); სტუდენტები, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები; სტუდენტები, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; სტუდენტები, რომლებიც რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან ან მინდობით აღზრდაში) ან გასული არიან სახელმწიფო ზრუნვიდან; სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. | |
| 117.107 | კიდევ უფრო გააუმჯობესოს განათლების | ჩინეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ | *იხ. 117.106 და 117.108 რეკომენდაციები.* | საქართველოს განათლებისა და |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ხელმისაწვდომობა და განათლების ხარისხი, აგრეთვე, უზრუნველყოს მოწყვლად ბავშვთათვის, მათ შორის გოგონათა და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვთათვის, განათლების ხელმისაწვდომობა **(Further improve the accessibility and quality of education, and increase the enrolment rate of vulnerable children, including girl children and children of ethnic minorities)** | | შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | | მეცნიერების სამინისტრო |
| 117.108 | ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ გოგონათათვის განათლების ხელმისაწვდომობას და აღმოფხვრას ბოშა ბავშვთა მიერ განათლების მიღების კუთხით არსებული დაბრკოლებები **(Consider promoting access to education for girls from ethnic** | ნიგერია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს „სოციალური ინკლუზიის" და „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის" პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს ინკლუზიური სწავლებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნას. პროგრამების ფარგლებში 2016-2017 წლებში მოხდა 200-მდე ბოშა ბავშვის სკოლაში ინტეგრაცია. ბოშები თანატოლებთან ერთად ჩართულები არიან საერთო ინტერესის აქტივობებში (კითხვისა და თეატრის კლუბები). | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **minorities and remove barriers that impede access to education by Roma children)** | | | 2016-2017 წლების საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ლინგვისტური უფლებების დაცვას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N1255 ბრძანებით განისაზღვრა სკოლები/კლასები, სადაც დაინერგა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების შემდეგი ენების სწავლება: ოსური, ხუნძური, უდიური, ასურული, ქურთული, ჩეჩნური.<br><br>ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის ფარგლებში, შემუშავდა ეთნიკური უმცირესობების ენების დაწყებითი საფეხურის სტანდარტები და წლიური პროგრამები. სომხურად და აზერბაიჯანულად ითარგმნა მშობლიური ენის დაწყებითი საფეხურის სტანდარტები. ასევე, შემუშავებულ იქნა მშობლიური ენის საბაზო საფეხურის სტანდარტი, მიმდინარეობს მუშაობა ამავე საფეხურის წლიურ პროგრამებზე.<br><br>საქართველოში ოფიციალურად ცხორვების უფლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სამინისტროს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამას. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ენას A1, A2 და B1 დონეზე დაეუფლა/ეუფლება უცხო ქვეყნის 143 მოქალაქე. მათ შორის არიან: სომხეთის, | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სირიის, ეგვიპტის, უკრაინის, ერაყის, ტაჯიკეთის, ლიბანის, პაკისტანის, რუსეთის და იემენის მოქალაქეები.<br><br>სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამას, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას საერთო სახელმწიფოებრივ სივრცეში და კარიერულ წინსვლას. 2016-2017 წლებში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით ისარგებლა 6440-მა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელმა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებიდან.<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2016-2017 წლებში ახორციელებდა „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამას“, რომლის მიზანიც იყო ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა.<br><br>ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის ფლობის დონის ამაღლებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“, რომლის მიზანია ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით.<br><br>„ქართული ენის დისტანციური სწავლების“ ფარგლებში, რომლის მიზანია უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლება და ქართულ კულტურასთან ზიარება დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენებით, ჩართული იყო 225 მოსწავლე 35 ქვეყნიდან. 2017 წელს 35 მასწავლებლის მიერ ჩატარდა 1300-მდე ქართული ენის დისტანციური გაკვეთილი.<br><br>2016 წლიდან საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალება აქვთ, მშობლიურ ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე) გაიარონ პროფესიული ტესტირება და სრული სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხონ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისას ისინი პირველ ეტაპზე გადიან ქართული ენის მოდულს.<br><br>ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლიდან ამოქმედდა სპეციალური, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც წარმოადგენს აკრედიტებულ სპეციალურ საგანმანათლებლო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროგრამას, რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება მხოლოდ ერთი გამოცდის (მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი ტესტები) შედეგების საფუძველზე და რომლითაც ხორციელდება ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა იმ დონეზე, რომ შემდგომში პირმა შეძლოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება.<br><br>*იხ. ასევე რეკომენდაცია 117.33 და 118.48.* | |
| 117.109 | გააგრძელოს იმგვარი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო ასაკის ბავშვთათვის, განსაკუთრებით კი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთათვის მაღალი ხარისხის განათლების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას **(Continue to pursue policies that will expand opportunities for all children of school-going age to access high quality education, in particular** | სინგაპური | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | 2017 წელს დაიწყო ინკლუზიური განათლების განვითარების 2018-2024 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტის შემუშავება. 2018 წელს იგეგმება შემუშავებული დოკუმენტის დამტკიცება. შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციასთან ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის ჰარმონიზაციის მიზნით მომზადდა ზოგადი განათლების შესახებ საქართელოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელიც 2018 წელს აისახება კანონში.<br><br>საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სმენის პრობლემების, საშუალო, მძიმე ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევის, აუტისტური სპექტრის მქონე და ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **those with special-education needs)** | | | მოსწავლეებისათვის უზრუნველყო საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება (ინტეგრირებული კლასების სახით). დღევანდელი მდგომარეობით 12 ინტეგრირებული კლასი ფუნქციონირებს.<br><br>ზოგადი განთლების საფეხურზე, სსსმ მოსწავლეებისთვის შეიქმნა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, მასწავლებლის გზამკვლევები ქართულ ენასა და მათემატიკაში და საინფორმაციო პოსტერები. მასწავლებლის გზამკვლევებში დეტალურადაა განმარტებული, თუ როგორ შეიძლება დაიგეგმოს და ჩატარდეს გაკვეთილი სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებით, რათა ყველა საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართულობა გაიზარდოს.<br><br>დასრულდა 4 დიდკონტინგენტიანი (60-ზე მეტი ბავშვი) სკოლის და 3 (20 ბავშვიანი) მცირეკონტინგენტიანი სკოლის მშენებლობა სრულად ადაპტირებული. მიმდინარეობს 9 დიდკონტინგენტიანი (60-ზე მეტი ბავშვი) სკოლის და 15 (20 ბავშვიანი) მცირეკონტინგენტიანი სკოლის მშენებლობა, რომელიც სრულად ადაპტირებული იქნება.<br><br>13 საჯარო სკოლაში განხორციელდა პანდუსის მოწყობა, აქედან 11 საჯარო სკოლაში სააგენტოს მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერით ჩატარდა სამუშაოები, ხოლო 2 საჯარო სკოლას გადაეცა პროექტი და დაფინანსება სამუშაოების განხორციელების მიზნით. დღევანდელი მდგომარეობით, სკოლებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სკოლების შენობების 35% -მდე ნაწილობრივ ან/და სრულად ადაპტირებულია.<br><br>„ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში, რომლის ბენეფიციარები არიან ზოგადი განათლების მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები, შემუშავდა და განხორციელდა ტრენინგ-მოდულები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის, მასწავლებლებისთვის, სპეციალური მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. 2016 წლიდან დღემდე ტრენინგები გაიარა 3000-ზე მეტმა ბენეფიციარმა.<br><br>პროფესიული განათლების საფეხურზე, „პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ტრენინ-გმოდულით „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლებისას და პროფესიული ტესტირება“ დატრენინგდა პროფესიული კოლეჯების 400-ზე მეტი მასწავლებელი.<br><br>სსსმ და შშმ პირები პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის დროს სარგებლობენ ტესტირების ფორმებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ძირითადი ნაწილი ადაპტირებულია შშმ და სსსმ პირთა საჭიროებებზე. პროფესიულ განათლებაში ჩართული სსსმ სტუდენტებისთვის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ინდივიდუალურად ხდება სასწავლო მასალის მორგება ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ხელშეწყობით. სმენის შეზღუდვის მქონე სტუდენტები სარგებლობენ ჟესტური ენის თარჯიმნების სერვისით. შეიქმნა ქართული ჟესტური ენის ელექტრონული გვერდი; უსინათლო პროფესიული სტუდენტებისათვის შეიქმნა სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები. დამატებითი სერვისები ითვალისწინებს საჭიროების შესაბამისად შშმ და სსსმ სტუდენტებს ტრანსპორტირების საკითხებს.<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2016-2017 წლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინკლუზიის პროგრამის ფარგლებში შშმ პირებისთვის ახორციელებდა არაფორმალურ განათლებასთან, სპეციალურ გადამზადებასა და დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებული აქტივობებს. მომზადდა სპეციალური საგანმანათლებლო და შშმ პირებისთვის დასაქმების მხარდამჭერი სერვისი (Job Coacher), რომელიც გადაეცა შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს. | |
| 117.110 | გაატაროს დამატებითი ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციის განხორციელების მიზნით | მიანმარი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროექტის „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ ფარგლებში, 2016 წელს მოწვეულ იქნა საერთაშორისო ექსპერტი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა, კონვენციის იმპლემენტაციის კუთხით საქართველოში არსებული ინსტიტუციური ჩარჩოს და ამ | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | (Take further steps for the implementation of the Convention on the Rights of Persons with Disabilities) | | | კუთხით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლა. 2016 წლის განმავლობაში ექსპერტი ორჯერ ეწვია საქართველოს, ივნისის და ოქტომბრის თვეში. პირველი ვიზიტის დროს ექსპერტი შეხვდა დაინტერესებულ მხარეებს და დეტალურად შეისწავლა საქართველოში არსებული მექანიზმის მუშაობის სპეციფიკა. მეორე ვიზიტის დროს მან მოახდინა საკუთარი რეკომენდაციების და შემოთავაზებების პრეზენტირება დაინტერესებული პირების წინაშე. დაინტერესებული პირების კომენტარების საფუძველზე 2016 წლის ნოემბრის თვეში გადამუშავდა ექსპერტის ანგარიში, რომელმაც საბოლოო სახე დეკემბრის თვეში მიიღო.<br><br>საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე 2018 წლის განმავლობაში გეგმავს, გაეროს კონვენციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციური მექანიზმის განვითარებას.<br><br>*იხ. ასევე 117.109 რეკომენდაცია.* | |
| 117.111 | განათლებისა და დასაქმების სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და პირთა ჩართვის მეშვეობით ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა | ავსტრია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.109 რეკომენდაცია.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უფლებების შესახებ საერთაშორისო კონვენციის განხორციელებას **(Advance the implementation of the Convention on the Rights of Persons with Disabilities by improving the inclusion of children and persons with disabilities in education and employment)** | | | | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| 117.112 | გაატაროს დამატებითი ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის უზრუნველსაყოფად **(Take further steps to ensure the protection of persons with disabilities)** | საბერძნეთი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. რეკომენდაცია 117.21, 117.30. 117.90 და 117.109, 117.110.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 117.113 | განაგრძოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ხელშეწყობა **(Carry on making efforts to promote the rights of people with disabilities)** | ომანი | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. რეკომენდაცია 117.21, 117.30. 117.90 და 117.109, 117.110.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 117.114 | განახორციელოს აუცილებელი ზომები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების | კოსტა რიკა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან | 2016-2017 წლებში სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | წარმომადგენლების დასაცავად ძალადობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმისაგან **(Adopt the necessary measures to protect ethnic and religious minorities from all forms of violence and discrimination)** | | შესრულების პროცესშია | ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან მათი უფლებების, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შესახებ. 2017 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩართულობითა და საერთაშორისო მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“, რომლის მიზანი იყო სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადრეული ქორწინების შედეგებისა და ოჯახში ძალადობის შესახებ. პროექტის პირველ ეტაპზე ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების 61 სოფელში 103 შეხვედრა ჩატარდა, ხოლო მეორე ეტაპზე - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების 33 სოფელში გაიმართა 66 შეხვედრა.<br><br>*იხ. რეკომენდაციები: 117.7, 117.30. 117.43, 117.45 და 117.46.* | საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი<br><br>სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო |
| 117.115 | გააუმჯობესოს სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენელ პირთა განათლების მდგომარეობა **(Improve the education of persons belonging to minority groups)** | მაკედონია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.108 რეკომენდაცია.* | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 117.116 | ზოგადი განათლების მშობლიურ ენაზე წარმართვის გზით უზრუნველყოს უმცირესობათა ენების სწავლება და შენარჩუნება **(Ensure teaching and preservation of minority languages, by providing adequate general education to students in their native language)** | ავსტრია | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | *იხ. 117.108 რეკომენდაცია.* | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| 117.117 | განახორციელოს აუცილებელი ზომები მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილებისა და მიგრანტების უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად და გადადგას ნაბიჯები სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში მათი ეფექტიანად ინტეგრირების უზრუნველსაყოფად **(Take the necessary steps to address concerns over the rights of vulnerable groups, including internally displaced** | კორეის რესპუბლიკა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო იძულებით გადაადგილებულ პირების განსახლების მიმართულებით წელიწადში ხარჯავს დაახლოებით 75 მილიონ ლარს და 2018 წლის მდგომარეობით დაახლოებით 38,000 დევნილი ოჯახი (42%) არის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი. გარდა სხვადასხვა დახმარების პროგრამებისა, დევნილები იღებენ ყოველთვიურ შემწეობას (45 ლარი), თუ მათი შემოსავალი არის 1250 ლარზე ნაკლები. დევნილთა ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით, მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უძრავი ქონების აღწერა, რათა დევნილებს გააჩნდეთ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით საქართველო ცდილობს, რომ დევნილებისთვის შექმნას საკუთარ სახლებში უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნების პირობები. დევნილის სტატუსის | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდა ნ იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **persons, refugees and migrants, and carry forward measures to integrate them effectively into the broader social and political systems)** | | | მიღება არის ნებაყოფლობითი, არ ფიქსირდება დევნილთა დისკრიმინაცია დევნილობის ნიშნით და ისინი ჩვეულებრივ სარგებლობენ საქართველოს მოქალაქის ყველა უფლებით. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ასევე პასუხისმგებელია ეკომიგრანტების (სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) ითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას მეწყერის, ღვარცოფის, კლდეზვავის, ქვათაცვენის, მდინარეების ნაპირების გარეცხვის, თოვლის ზვავის, ჯდენადი გრუნტის გამო, გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა.) უსაფრთხო გარემოში განსახლებაზე. სამინისტროს ახალი პოლიტიკის შედეგად როგორც დევნილები, ეკომიგრანტებიც იღებენ საცხოვრებელს კერძო საკუთრებაში და როგორც დევნილებისთვის, მათთვისაც აუცილებელია ახალ გარემოში ინტეგრაციის და თვითრეალიზების ხელშეწყობა. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ეკომიგრანტების უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მიზნით 2015 წელს მოხდა 2004-2009 წლებში შესყიდული საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების ხელახალი რეგისტრაცია, რის შემდეგ, 2016 წლიდან დაიწყო მათი კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცედურა.<br><br>სტიქიით დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებთან დაკავშირებით სამინისტრო ახორციელებს განსახლების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე დაზარალდა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით დადგენილი სტიქიური მოვლენების შედეგად, შეუძლიათ მომართონ სამინისტროს „საცხოვრებელი სახლის მოძიების თაობაზე“ განაცხადით, რომლის შემდეგაც წარმოშობის მუნიციპალიტეტის მიერ დაზარალების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ხდება მიღებული განაცხადების შესწავლა და შეფასება მინისტრის ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. აღნიშნული პროცედურის შემდეგ, ოჯახების განსახლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება გამჭირვალედ, კომისიური წესით, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სახალხო დამცველის აპარატი.<br><br>ჩამოყალიბდა ახალი მიდგომა, რომლის მიხედვითაც წინა წლებისგან განსხვავებით, ბენეფიციარ ოჯახებს ეძლევათ საშუალება თავად მოიძიონ და შესასყიდად წარმოადგინონ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საცხოვრებელი სახლი საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომელიც იქნება მათ მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე მორგებული.<br><br>ასევე, შეიქმნა სსიპ საარსებო წყაროების სააგენტო. სააგენტოს პრიორიტეტია დევნილთა ინფორმირებულობის ზრდა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ, მათი ჩართულობის ხელშეწყობა და დევნილთა საჭიროებაზე მორგებული საგრანტო/სუბსიდირების პროგრამების შეთავაზება. 2016-2017 წლებში დაახლოებით 3000 დევნილმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა საარსებო წყაროების პროგრამაში (მცირე სამეწარმეო გრანტების პროგრამა, პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა, აგრო-დაზღვევის პროგრამა და სხვა).<br><br>აღსანიშნავია, რომ 2017 წელს შეიცვალა სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სახელწოდება და მოქმედების არეალი. ცვლილება ასევე შევიდა გრანტების შესახებ კანონში. სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს უკვე აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს გრანტი და განახორციელოს პროგრამები როგორც დევნილთა, ასევე ეკომიგრანტთა ინტეგრაციის და დასაქმების ხელშესაწყობად.<br><br>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის მიზნით 2015 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ყოველწლიურად ახორციელებს „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ სახელმწიფო პროგრამას. პროგრამა ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის, სოციალური პროექტების დაფინანსების, საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფისა და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება- გადამზადების ხელშეწყობის სერვისებს. 2017 წლიდან სახელმწიფო პროგრამა ფარავს საქართველოს მთელ ტერიტორიას (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) და შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სერვისების რეგიონული ხელმისაწვდომობა.<br><br>2017 წლიდან საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სამინისტრომ დაიწყო „საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის“ ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, 2017 წლიდან ფუნქციონირებს ინტეგრაციის ცენტრი, რომელიც საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს სთავაზობს ქართული ენის შემსწავლელ კურსებს, სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსებს, სამოქალაქო ორიენტაციის კურსს, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის აქტივობებში ბენეფიციართა ჩართვას, ინტეგრაციის ცენტრი საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს სთავაზობს საკონსულტაციო სერვისს, რომლის | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფარგლებშიც მათ სტატუსიდან გამომდინარე მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია, აგრეთვე ბენეფიციარები ინფორმირებულნი არიან მათთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ. ინტეგრაციის ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის მხარდაჭერა წარმოადგენს, აღნიშნულის ფარგლებში ბენეფიციართათვის შემოსავლის წყაროს გაჩენისა და დასაქმების/თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით ხდება მათ საჭიროებებზე მორგებული პროექტების დაფინანსება. | |
| 117.118 | განაგრძოს non-refoulement (თავშესაფრის მაძიებელ პირთა იმ ქვეყანაში დაუბრუნებლობა, საიდანაც ისინი გამოიქცნენ) პრინციპის დაცვა და შეზღუდოს თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის პრაქტიკის გამოყენება და თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა **(Continue to keep the principle of non-refoulement and limit the use and duration of** | კორეის რესპუბლიკა | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | საქართველოს კანონმდებლობა იცავს საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს და თავშესაფრის მაძიებლებს იძულებითი გაძევებისაგან. არ-გაძევების პრინციპი ასახულია შემდეგ საკანონმდებლო დოკუმენტებში: საქართველოს კანონი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი იძლევა არ-გაძევების პრინციპის განმარტებას ამ კანონისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. მე-8 მუხლის მიხედვით, არ-გაძევების პრინციპის საფუძველზე „თავშესაფრის მაძიებელი ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირი არ უნდა იქნეს დაბრუნებული ან გაძევებული იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **detention for asylum seekers)** | | | შეხედულების გამო საფრთხე შეექმნება“. საქართველოს თავშესაფრის კანონმდებლობა ასევე უზრუნველყოფს უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის გათავისუფლებას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ასევე გათავისუფლდება „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის დარღვევით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის, ან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის, ან ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალურიდოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის გასაღებასთან დაკავშირებული ქმედებისა) შემთხვევაში, თუ იგი საქართველოში უშუალოდ იმ ტერიტორიიდან შემოვიდა, სადაც მას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლით, ამ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფრთხე ემუქრებოდა, საქართველოში უნებართვოდ იმყოფება და საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო დაცვას სთხოვს, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება იმ პირობით, რომ ის დაუყოვნებლივ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გამოცხადდება ხელისუფლების ორგანოში და წარადგენს სათანადო განმარტებას ამ ქმედების ჩადენის მიზეზთან დაკავშირებით. | |
| 117.119 | გააძლიეროს მუშაობა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და საზოგადოებრივი განვითარების პროგრამებში მათი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინების მიმართულებით **(Strengthen measures to protect displaced persons and include them in public social development policies)** | ჩილე | საქართველოს მიერ 2015 წელს დაფიქსირდა, რომ შესრულებულია ან შესრულების პროცესშია | დევნილები აქტიურად არიან ჩართულები განვითარების როგორც ეროვნულ, ასევე მუნიციპალურ პროგრამებში. პროგრამების შემუშავებას კოორდინაციას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტრო სხვადასხვა უწყებასთან ერთად. აღნიშნულ პროგრამებში დევნილთა ჩართულობის გაზრდის მიზნით გათვალისწინებულია შეღავათიანი პირობები.<br><br>საარსებო წყაროებზე დევნილთა წვდომის გაზრდის მიზნით საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ახორციელებს სხვადასხვა საარსებო წყაროების პროგრამას დევნილთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებისა და სხვადასხვა სერვისების მისაწოდებლად. პერმანენტულად იზრდება დევნილთა ღირსეული ცხოვრების პირობების შესაქმნელად გამოყოფილი სახელმწიფო რესურსები.<br><br>რეგულარულად ხდება დევნილების ინფორმირება არსებული პროგრამების შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში. როგორც კვლევები მოწმობს, დევნილები არ განიცდიან დისკრიმინაციას მათი დევნილობის გამო და ისინი აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ პროგრამებში. | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო |
| 118.2 | განახორციელოს საკანონმდებლო | შვედეთი | | | საქართველოს მთავრობის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ცვლილებები დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში და გაითვალისწინოს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში სახალხო დამცველის მიერ დაჯარიმების ან სხვა სახის სანქციის გამოყენების შესაძლებლობა **(Amend the Law on the Elimination of All Forms of Discrimination to include a mechanism of fines and other sanctions for use by the Public Defender's Office in the event of discriminatory actions)** | | | | ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |
| 118.3 | განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში და დასჯადი გახადოს რასისტული გამონათქვამები, როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის ცალსახა ფორმა, და პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად | ჯიბუტი | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): According to the paragraph 31 of the Article 53 (General principles of | სისხლის სამართლის კოდექსის 239(1) მუხლით დასჯადია ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მიწოდება. კერძოდ, რასობრივი და სხვა ნიშნის მქონე პირთა შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს, იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნული მუხლი სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 2015 წლის 12 ივნისის ცვლილებით. | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | აღიაროს დანაშაულის ჩადენისას რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის არსებობა **(Amend the criminal code by incorporating the category of racist remarks to clearly define direct and indirect discrimination and recognize that racial, religious, national or ethnic grounds constitute an aggravating circumstance)** | | imposition of punishment) of the Criminal Code of Georgia (CCG), commission of a crime on the grounds of race, colour, language, sex, sexual orientation, gender identity, age, religion, political or other beliefs, disability, citizenship, national, ethnic or social origin, material status or rank, place of residence or other discriminatory grounds shall constitute an aggravating circumstance for all the relevant crimes provided for by this Code.<br>In addition, the draft amendments to the CCG have been prepared which include revision of Article 1421 (Racial Discrimination) of CCG to establish criminal liability for public incitement of acts against equality or | *იხ. ასევე რეკომენდაცია 117.13.* | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | those triggering violence or hostility due to one's affiliation to any of the aforementioned groups, which could have caused substantial damage. | | |
| 118.4-118.5 | უზრუნველყოს ბავშვთა ქორწინების პრევენცია რაიმე გამონაკლისის გარეშე, ქორწინების ასაკად 18 წლის განსაზღვრის გზით **(Prevent child marriage by having a minimum age restriction of marriage at 18 without any exception)** | ბოთსვანა სიერა ლეონე | On 1 January, 2016, legislative amendments entered into force restricting minimum age of marriage at 18 without any exception. | ბავშვთა ქორწინების პრევენციის მიზნით 2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით" აიკრძალა 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვნების ქორწინება მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით ან/და პატივსადები მიზეზების არსებობისას (მაგ., ორსულობა), სასამართლოს ნებართვით. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, პირს რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა შეუძლია მხოლოდ 18 წლის ასაკიდან.<br><br>გარდა ამისა, სტამბოლის კონვენციის ეროვნულ კანონმდებლობაში სრული ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე დანაშაულად გამოცხადდა ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებული) იძულება. | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 118.6 | შექმნას მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება, ზედამხედველობა განახორციელოს 2014 წლის ანტიდისკრიმინაციულ ი კანონმდებლობისა და ქმედებებზე ორიენტირებული სტრატეგიების განხორციელების პროცესზე **(Establish a mechanism that monitors the implementation of the 2014 anti-discrimination legislation and action-oriented strategies)** | ისლანდია | | ანტიდისკრიმინაციული კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა სტრუქტურული ერთეული თანასწორობის დეპარტამენტი. საქართველოს სახალხო დამცველი იღებს და განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მომჩივანს არ ეკისრება დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის ტვირთი - სახალხო დამცველთან მიმართვისას საკმარისია პირმა მიუთითოს ის ფაქტები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა და წარადგინოს შესაბამისი მასალები, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელმა პირმა უნდა დაამტკიცოს, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. დისკრიმინაციის დამადასტურებელი საკმარისი მასალების არსებობის შემთხვევაში, სახალხო დამცველს შეუძლია დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის დაწესებულებას ან ფიზიკურ პირს. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| 118.7 | გააძლიეროს „ადამიანის უფლებებისა და ინტეგრაციის კომისიის" მიერ შექმნილი მექანიზმები, რათა უზრუნველყოს მაქსიმალურად ეფექტიანი დაკვირვება და შეფასება ქვეყანაში | მოროკო | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): Although, | სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შექმნილია და მოქმედებს სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია. კომისია მართავს სამუშაო შეხვედრებსა და სხდომებს, სადაც განიხილავს სამოქალაქო სტრატეგიის დაგეგმვასთან, განხორციელებასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კომისიის | საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე **(Strengthen the mechanisms set up by the "Commission of Human Rights and Integration", to ensure the best possible monitoring and evaluation of the human rights situation in the country)** | | Georgia supports the recommendation, the definition of the "Commission of Human Rights and Integration" needs clarification. We suppose that it might be the Inter-Agency Commission for the implementation of the Civic Integration State Strategy.<br>The Civic Equality and Integration State Strategy and respective Action Plan for 2015-2020 defines specific mechanisms and timelines for monitoring and evaluation. The State Inter-Agency Commission will be created to monitor and report on the implementation of strategy goals and activities, which will be coordinated by the Office of the State Minister of Georgia for Reconciliation and Civic Equality. Members of the | ფარგლებში ფუნქცინირებს თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.<br><br>საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე მაქსიმალურად ეფექტიან დაკვირვებასა და შეფასებას უზრუნველყოფს საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს მთავრობის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, იურიდიული დახმარების სამსახურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა უწყებების მიერ პარლამენტისადმი წარდგენილი ანგარიშების მოსმენა-განხილვისა და ამ პროცესის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გზით.<br><br>სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენის შემდეგ პარლამენტის დადგენილებაში აისახება სახალხო დამცველის ანგარიშში არსებული ის რეკომენდაციები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და სხვა შესაბამისი უწყებების მიმართ, რომლებიც გაიზიარა პარლამენტმა. პარლამენტის დადგენილებით გაცემული რეკომენდაციების შესრულება სავალდებულოა.<br><br>აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს აწარმოებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | Commission will include all major state institutions which have assumed relevant responsibilities according to the Strategy and Action Plan. Thematically relevant working groups will continue to operate within the Inter-Agency Commission. Quantitative and qualitative assessment of the implementation of the policy document is envisaged. Monitoring will be provided by the Council of National Minorities functioning at Public Defender's Office. Financial support of the activities planned in the Action Plan will be provided by the state agencies within their profile and competence. | კომიტეტი, რომელიც კალენდარული წლის დამთავრების შემდეგ, საკომიტეტო სხდომებზე, სახალხო დამცველის მონაწილეობით, რეკომენდაციების ადრესატი უწყებებისგან პერსონალურად ისმენს ანგარიშებს დასახელებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ და შეიმუშავებს დასკვნას, რომელშიც შეფასებულია თითოეული უწყების მიერ გაწეული საქმიანობა, გაანალიზებულია რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და მიეთითება დარჩენილ პრობლემებსა და გამოწვევებზე. აღსანიშნავია, რომ საკომიტეტო სხდომებზე სახალხო დამცველის ანგარიშისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა ხდება საჯაროდ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული სუბიექტების უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობით.<br><br>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 228$^{1}$ მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობა პარლამენტს წარუდგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სამუშაო ჯგუფის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში საქართველოს შესახებ საქართველოსთვის წარდგენილი რეკომენდაციების როგორც პროექტს, ასევე საბოლოო ვარიანტს, საქართველოს მთავრობისთვის ოფიციალურად გადაცემის შემდეგ. საქართველოს მთავრობა პარლამენტს აგრეთვე წარუდგენს გაერთიანებული ერების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ორგანიზაციის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ როგორც შუალედურ ანგარიშს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე საბოლოო ანგარიშის პროექტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის წარდგენამდე.<br><br>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის $228^2$ და $228^3$ მუხლების თანახმად, საქართველოს მთავრობა პარლამენტს ყოველწლიურად წარუდგენს:<br>• გაეროს შესაბამისი კომიტეტის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშს;<br>• ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ანგარიშს იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზედაც წინა წელს მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საბოლოო რეზოლუცია;<br>• ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების სამოქმედო გეგმას მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით, აგრეთვე ამ საქმეების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და შუალედურ რეზოლუციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);<br>• კომიტეტი ისმენს და განიხილავს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედურ ანგარიშს, რომელსაც პერიოდულად წარუდგენს პარლამენტს საქართველოს მთავრობა.<br><br>კომიტეტი ასევე ისმენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, იურიდიული დახმარების დამსახურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა უწყებების მიერ წარმოდგენილ ყოველწლიურ ანგარიშებს. საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს და წლის განმავლობაში პერიოდულად უწევს მონიტორინგს ამ რეკომენდაციების შესრულებას, ხოლო მომდევნო წლის ანგარიშის განხილვის პროცესში ერთიანად აფასებს წინა წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას. კომიტეტი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვებასა და შეფასებას უზრუნველყოფს ასევე კომიტეტში შემოსულ მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებებზე რეაგირების გზით. | |
| 118.8 | განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები, რათა სახალხო დამცველსა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს უფრო ქმედითი რეაგირების უფლებამოსილება ჰქონდეთ | ანდორა | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): Partially Implemented. The | *იხ. რეკომენდაცია 117.26.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **(Amend the legislation to ensure an effective follow-up instrument for the public defenders and the members of the national preventive mechanism)** | | legislation was amended in 2015 to grant Public Defender and the members of National Preventive Mechanism the right to take photos in the penitentiary establishments during their unrestricted monitoring visits. A Ministerial Order regulating the rules and procedures is being developed in close cooperation with the office of the Public Defender and shall be adopted in the second quarter of 2016 in order to ensure implementation of this right by September 1, 2016. At the same time close cooperation with PDO continues to ensure solid follow-up and implementation of its recommendations through practical measures. | | |
| 118.9 | გააფართოოს მუშაობა ლგბტ პირთა | ურუგვაი | | 2018 წლის 17 აპრილს დამტკიცებული ადამიანის უფლლებათა დაცვის 2018-2020 | საქართველოს მთავრობის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უფლებების ხელშეწყობის მიზნით და ადამიანის უფლებების კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად ებრძოლოს ჰომოსექსუალობის, ბისექსუალობისა და ტრანსსექსუალობის ნებისმიერი ფორმით სტიგმატიზაციას, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობით მოტივირებულ სიძულვილის ენას, დისკრიმინაციას და ძალადობას **(Redouble its efforts to ensure the rights of LGBTI persons and, in line with the Human Rights Committee's recommendations, combat all forms of social stigmatization of homosexuality, bisexuality and transsexuality, and hate speech, discrimination and violence based on sexual orientation or gender identity)** | | | წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით მთავრობა იღებს ვალდებულებას წლის ბოლომდე შეიმუშაოს და დაამატოს თანასწორობის თავი, რომელიც კონცენტრირებული იქნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციისა და გამოძიების ასევე გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრისაკენ. ქვეთავი ასევე ორიენტირებული იქნება ლგბტი პირთა უფლებებზე შესაბამისი პირების გადამზადებაზე.<br><br>*იხ. ასევე რეკომენდაციები: 117.7, 117.43, 117.44 და 117.45.* | ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 118.11 | გადადგას ნაბიჯები წინასწარი პატიმრობის გამოყენების პრაქტიკისა და, გამოყენების შემთხვევაში, ასეთი პატიმრობის ხანგრძლივობის მაქსიმალურად შეზღუდვისთვის **(Take steps to limit the application and length of pretrial detention)** | დანია | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): In 2014, the Prosecution Service of Georgia elaborated and disseminated to prosecutors the Handbook containing the standards of the European Convention on Human Rights on the use of detentions; the document serves as a guideline for prosecutors on the application of custodial measure of constraint. In July 2015, the Parliament passed amendments to the Criminal Procedure Code to introduce periodic automatic judicial review of pre-trial detention. A presiding judge has to review the necessity | საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებული სტატისტიკის თანახმად, 2013-2017 წლების განმავლობაში წინასწარი პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი 26% - 34% შორის მერყეობს. უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება გირაო ან აღკვეთის სხვა ალტერნატიული ღონისძიებები.<br><br>2015 წლის 15 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.<br><br>აღნიშნულ საქმეში სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა ბრალდებულის პატიმრობას, თუ მას ბრალის წაყენების მომენტისთვის სხვა სისხლისსამართლებრივ საქმეზე პატიმრობაში ერთობლივად გატარებული ქონდა 9 თვე.<br><br>შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ პარალელურად რამდენიმე ბრალდების შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ვადა, არ უნდა განისაზღვროს თითოეული საქმისთვის დამოუკიდებლად და საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს კონსტიტუციით განსაზღვრულ 9 თვეს. | საქართველოს უზენაესი სასამართლო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | of pre-trial detention at least once in two months and should order release of a defendant if no compelling reason for continued detention is found.<br>In 2015 the Prosecution Service of Georgia in association with the Council of Europe and the European Union carried out extensive trainings of all prosecutors in reasoning of the requests for pre-trial detentions in line with ECHR and national legislation. | | |
| 118.12 | გაზარდოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისთვის განსაზღვრული რესურსები, მათ შორის, მსხვერპლთა საჭიროებების ადგილზე შეფასებისთვის აუცილებელი მგზავრობის ხარჯები და ადამიანური | პარაგვაი | | სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები პერიოდულად გადიან მოსამზადებელ ტრენინგებს, სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ოჯახში და სექსუალური ძალადობის საკითხებზე. ადამიანური და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, დაგეგმილია სოციალური მუშაკების რესურსის გაზრდა ბენეფიციარებისათვის უკეთესი მომსახურების მიწოდების მიზნით.<br><br>საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარეობს მუშაობა „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონზე. რომლის | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რესურსები **(Increase the budget allocated to social workers responsible for assisting victims of domestic violence, by including the costs of travel to visits to assess victims and by increasing human Resources)** | | | დამტკიცების შემდგომ განხორციელდება სოციალური მუშაკების გაძლიერება. | |
| 118.13 | გადადგას კონკრეტული ნაბიჯები გენდერული ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების დროულობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად **(Take concrete steps to streamline and ensure efficiency of judicial procedures concerning gender violence)** | ესპანეთი | | უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ფარგლებში მომზადდა კვლევა თემაზე „დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში“. კვლევა აანალიზებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეთა გამოყენების პრაქტიკას. კვლევის თანახმად, საერთო სასამართლოებს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ განხილული აქვს სულ 5 საქმე, მათ შორის სამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ განხილული აქვს სულ 3 საქმე, მათგან ორ საქმეზე დადგინდა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი.<br><br>2016-2017 წლებში სქესობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება (სსკ 53[1] მუხლი) გამოყენებულია სულ 8 საქმეში, მათგან 4 საქმე ეხებოდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას. | საქართველოს უზენაესი სასამართლ<br><br>სსიპ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა<br><br>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, იზრდება ოჯახური დანაშაულების განხილვის მაჩვენებელი (სსკ 11[1] მუხლი): 2015 წელს განჩენი მიღებულ იქნა 773 პირის მიმართ, 2016 – 981 საქმეზე 993 პირის მიმართ, 2017 წელს - 1210 საქმეზე 1228 პირზე. ამგვარი კატეგორიების დანაშაულებზე სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მაჩვენებელი ზრდადია. 2015 წელს 773 ბრალდებულიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 105 პირს, 2016 წელს 993 ბრალდებულიდან 153 პირს, 2017 წელს 1228 ბრალდებულიდან 344 პირს.<br><br>გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობაც. 2015 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია 2 პირის მიმართ, 2016 წელს 5 პირის, 2017 წელს 6 პირის მიმართ.<br><br>*ასევე, იხ. რეკომენდაცია 117.46* | |
| 118.14 | გააუმჯობესოს ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობის განხორციელება, მათ შორის შეძლებისდაგვარად დროულად შექმნას სექსუალური ძალადობის, შევიწროებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერის ცენტრები, როგორც ამას | ჰონდურასი | | 2016 წელს სახელმწიფო ფონდმა, პროექტის (UNWOMEN) ფარგლებში, შეიმუშვა სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც, 2017 წლის გაზაფხულზე, უზრუნველყო სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურებების განსაზღვრა და მათი თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების სერვისებში გათვალისწინება.<br>2017 წლის თებერვლიდან, ფონდის ფარგლებში მოქმედ ცხელ ხაზზე - 116006 - კონსულტაციის მიღება, გარდა ოჯახში ძალადობის საკითხებისა, ასევე შესაძლებელია ქალთა | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში<br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ახალი კანონი ითვალისწინებს **(Progress in the implementation of the laws against domestic violence by establishing, in the short term, the centres to support women against sexual abuse, harassment and domestic violence provided for in the new law)** | | | მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის საკითხებზეც, ხოლო 2017 წლის 01 მარტიდან, ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა, ქართული ენის გარდა, უზრუნველყოფილია დამატებით 7 უცხოურ ენაზე (ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ ენებზე).<br><br>სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (სახელმწიფო ფონდი) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებსა და სავარაუდო მსხვერპლებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებებს. დღეს არსებული მდგომარეობით ხელმისაწვდომია ძალადობის 5 სახელმწიფო თავშესაფარი და 3 კრიზისული ცენტრი.<br><br>*იხ. 117.6; 117.7, 117.20, 117.37, 117.38, 117.39, 117.46, 117.59, 117.60, 117.62 და 117.63 რეკომენდაციები.* | დაცვის სამინისტრო |
| 118.15-118.16 | გააუმჯობესოს პროგრამები, რომლებიც ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ხორციელდება, კერძოდ შექმნას ზედამხედველობისა და გამოძიების ქმედითი მექანიზმები **(Strengthen ongoing efforts against domestic violence by establishing adequate** | თურქეთი შვედეთი | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): Already implemented. In order to strengthen existing monitoring mechanism, the | როგორც ზემოთ აღინიშნა, იხ. რეკომენდაცია 117.7., შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმების ეტაპზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც აღიჭურვა გაფართოებული მანდატით ოჯახში ძალადობის პრევენციის და მასზე ეფექტიანი რეაგირების კუთხით. აღნიშნულმა დეპარტამენტმა ჩაანაცვლა კომისია, რომლის ფუნქციების ინტეგრირება მოხდა დეპარტამენტის დებულებაში.<br><br>*იხ. ასევე 117.6; 117.7, 117.20, 117.37, 117.38, 117.39, 117.46, 117.59, 117.60, 117.62 და 117.63 რეკომენდაციები.* | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **monitoring and investigative mechanisms)** | | Ministry of Internal Affairs has established a special commission to supervise and enhance police responses on DV cases. It is envisaged in the relevant legislation as well.<br>In order to strengthen existing monitoring mechanism, the Ministry of Internal Affairs runs separate statistics and analytics for DV and special commission to supervise and enhance police responses on DV cases has been established. Along this, the Ministry of Internal Affairs has identified and trained number of police officers throughout country working on gender based violence cases including domestic violence. | | |
| 118.17 | შექმნას ქმედითი მარეგულირებელი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს კანონიერი მიგრაციის | უკრაინა | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მობილურობის ცენტრის მიერ საქართველოს მასშტაბით | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდა ნ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | განვითარებას და უკანონო მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის თავიდან აცილებას **(Establish effective regulatory mechanisms for promoting development of legal migration and preventing irregular migration and trafficking in human beings)** | | უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): The Migration Strategy for 2016-2020 and its Action Plan for 2016-2017 adopted in December 2015 ensure the precise actions to promote prevention of illegal migration. Common Information Strategy on Combating Human Trafficking determines the target groups and means of preventive activities. Interagency Council on Combating Trafficking in Persons monitors the implementation of the Strategy. Within the framework of the Strategy information meetings are permanently organized, multi-lingual leaflets are produced and widely disseminated, etc. Implementation of the Strategy is monitored | გაიმართა 50-მდე მეტი საინფორმაციო შეხვედრა, თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში, სადაც მიგრაციის თემით დაინტერესებულ მოქალაქეებს მიეწოდათ ინფორმაცია სხვადასხვა საკითხებზე, როგორიცაა საზღვარგარეთ გამგზავრების სამართლებრივი საფუძვლები, დასაქმების შესაძლებლობები, უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები და მათი პრევენცია.<br><br>უკანონო მიგრაციის პრევენციის მიზნით შსს–ში 2014 წელს შეიქმნა მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირების აღმოჩენაზე, იდენტიფიცირებასა და გაძევების პროცედურების განხორციელებაზე. დეპარტამენტი მართავს დროებითი განთავსების ცენტრს, რომელიც განკუთვნილია ქვეყანაში კანონიერი საფუვლის გარეშე მყოფი პირებისთვის.<br><br>შინაგან საქმეთა მინისტრის ბძანებით დამტკიცდა საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის გამოვლენისა და შემდგომი რეაგირების წესი (სტანდარტული სამოქმედო პროცედურები).<br><br>შინაგან საქმეთა მინისტრის ბრანებით შსს-ში შექმნილია უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და მიგრაციული | იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | and promoted by the Interagency Council on Combating Human Trafficking.<br>Furthermore, in 2015 the Law on Labor Migration was enacted to promote the legal labor migration and prevent illegal migration, including human trafficking.<br>Apart from this, the Law on the Legal Status of Foreigners and Stateless Persons adopted in 2014 promotes the prevention of illegal migration. | პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა.<br><br>ქვეყანაში უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისა და პრევენციის მიზნით შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები.<br><br>უკანონო მიგრაციის ეფექტიანი მართვის მიზნით რიგ ქვეყნებთან ინიცირებულია უნებართვოდ მყოფ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმებების პროექტები. ასევე, რიგ ქვეყნებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები რეადმისიის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერის თაობაზე.<br><br>საანგარიშო პერიოდში (2016–2017 წლებში) უკანონო მიგრაციის პრევენციის მიმართულებით განხორციელდა/ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:<br>• სახელმწიფო საზღვრის დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება ინფრასტრუქტურის განვითარებითა და აღჭურვილობის განახლებით (აშენდა 8 ახალი სასაზღვრო სექტორი; მიმდინარეობს 4 სექტორის მშენებლობა; 5 სასაზღვრო სექტორზე განხორციელდა ელექტრონული დაკვირვების სისტემების მოწყობა);<br>• 2015 წლიდან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე რისკის ანალიზის ერთიანი სისტემის დანერგვის მიზნით. ერთიანი სისტემის მიზანია უზრუნველყოს საზღვრის მართვის სფეროში რისკების | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | იდენტიფიცირება და მათზე რეაგირებისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ქმედითი მექანიზმების განვითარება. ამ მიზნით, შემუშავებულია სისტემის კონცეფცია, სამოქმედო გეგმა, ანალიტიკური პროდუქტების კატალოგი და სხვა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა რისკის ანალიზის წარმოების მეთოდოლოგიაზე;<br>• სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე სამგზავრო დოკუმენტების ინსპექტირების შესაძლებლობების გაძლიერება: 2016 წლის ბოლოს 10 სგპ აღიჭურვა შესაბამისი აღჭურვილობით (Foster&Freeman), რომელიც უზრუნველყოფს სამგზავრო დოკუმენტების სიღრმისეულ შესწავლას.<br>• ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში კინოლოგიური ჯგუფის შექმნა;<br>• სასაზღვრო პოლიციის კინოლოგიური სამსახურის განვითარება;<br>• საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება API-PNR (მგზავრის შესახებ წინასწარი ინფორმაცია და მგზავრის პირადი მონაცემების ჩანაწერი) სისტემის დანერგვის თაობაზე. PNR სისტემა მიზნად ისახავს ტერორისტული აქტების და სხვა მძიმე დანაშაულების პრევენციასა და აღმოფხვრას, ხოლო API სისტემა ემსახურება უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლას.<br>• მიმდინარეობს მიგრაციის რისკის ანალიზის სისტემის დანერგვა, რომელშიც ჩართულია რელევანტური უწყებები (შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | უსაფრთხოების სამსახური, იუსტიციის სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო). სისტემის მიზანია გაანალიზოს მიგრაციულ ნაკადებთან დაკავშირებული მონაცემები, გამოავლინოს ტენდენციები, შეაფასოს გამოკვეთილი რისკები, შეიმუშაოს პრევენციული ღონისძიებები და რეკომენდაციები მოსალოდნელი პროცესებზე ადეკვატური რეაგირების მიზნით. მიმდინარე ეტაპზე სისტემაში ჩართული უწყებების უმრავლესობას შემუშავებული აქვს რისკების ანალიზის უწყებათაშორისი მეთოდოლოგიები და ამჟამად მიმდინარეობს მიგრაციის რისკის ანალიზის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესი.<br><br>2017 წლის განმავლობაში მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ) სამდივნოს მიერ იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა 15 საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან. შეხვედრის მსვლელობისას დამსწრეებს მიეწოდათ ინფორმაცია ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებზე (მათ შორის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის წესებსა და პირობებზე) და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე. საზოგადოებრივ ცენტრებში, იუსტიციის სახლის ფილიალებში და სსგს-ს ტერიტორიულ სამსახურებში საქართველოს მოქალაქის პასპორტისა და | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | პირადობის მოწმობის გაცემასთან ერთად, მოქალაქეებს გადაეცემათ საინფორმაციო ბროშურები ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის წესებისა და პირობების შესახებ. დღეის მდგომარეობით გავრცელებულია 900,000-მდე ასეთი ბროშურა.<br><br>2017 წელს გამოიცა ლეგალური იმიგრაციის და ემიგრაციის გზამკვლევის მე-2 განახლებული ვერსია, რომელიც გამოქვეყნებულია როგორც მსსკ-ს ასევე მისი წევრი უწყებების და პარტნიორი ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე. გზამკვლევებში თავმოყრილია პრაქტიკული ინფორმაცია, როგორც ემიგრანტებისთვის აუცილებელი დოკუმენტების, ქვეყნიდან დროებითი ან მუდმივი გასვლის და უკან დაბრუნების სამართლებრივი გზების, ასევე უცხოელებისთვის საჭირო დოკუმენტაციის, შესაბამისი სტატუსის მოპოვებისა და ლეგალურად გადაადგილების შესახებ.<br><br>ასევე, 2017 წლის 4 დეკემბერს მსსკ-ს მე-19 სხდომაზე დამტკიცდა 2017 წლის საქართველოს მიგრაციის პროფილი და საქართველოს 2016-2020 წწ. მიგრაციის სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმა.<br><br>ა/ო „სიდა"-სთან თანამშრომლობით მომზადდა პუბლიკაცია - „მიგრანტის პირველი ნაბიჯები". რომელშიც საქართველოს მოქალაქეებისთვის წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალური მიგრაციის შესახებ, ასევე დასაქმების პროცედურებზე და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობებზე. პუბლიკაცია | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | განთავსებულია მსსკ-ს და სიდა-ს ვებ-გვერდებზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.<br><br>რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციას, ამ მიზნით ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭომ 2014 წელს შეიმუშავა ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები და საკითხები სწორი საშუალებებით იქნეს გაშუქებული და საზოგადოების კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის მიწოდებული. ტრეფიკინგის თემაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მუდმივად ახორციელებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებას: საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან (სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, მასწავლებლები, დამსაქმებლები და დასაქმებულები, მიუსაფარი ბავშვები, იძულებით გადაადგილებული პირები, ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა.), დისკუსიებს, საჯარ ლექციებს, კონფერენციებს, ყოველწლიურ იმიტირებულ პროცესს სტუდენტებისთვის, საინფორმაციო ბროშურებისა და ვიდეორგოლების დამზადებასა და გავრცელებას და ა. შ.<br><br>ტრეფიკინგი, როგორც საგანი, ასევე, ისწავლება სკოლებსა (IX-X კლასები) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები). | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ყოველწლიურად აცხადებს საგრანტო კონკურსს ადამიანით ვაჭრობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, რათა სამომავლოდ მათ დამოუკიდებლად შეძლონ ტრეფიკინგის მიმართულებით აქტიური მუშაობის გაგრძელება. 2014-2017 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ტრეფიკინგის მიმართულებით გამოაცხადა 4 საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ჯამში გასცა 93000 ლარი.<br><br>*იხ. 117.74 რეკომენდაცია.* | |
| 118.19 | გააძლიეროს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და სამართალწარმოების გამჭვირვალობა; გაატაროს ზომები მოსამართლეთა საქმიანობაში პოლიტიკური ჩარევის თავიდან ასაცილებლად **(Strengthen the independence of the judiciary and transparency of judicial proceedings and adopt measures preventing political interference in the work of judges)** | ჩეხეთის რესპუბლიკა | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): The third wave of legislative initiatives to reform judiciary, which are being considered by the Parliament, is focused on creating greater guarantees for independence of judges and ensuring | 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში პარლამენტმა კონსტიტუციის დონეზე აიტანა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი.<br><br>მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს კონსტიტუციური კანონით გაკეთებული დათქმა, რომლის თანახმად, სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.<br><br>სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2018 წელს დაგეგმილია ცვლილებების განხორციელება | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს უზენაესი სასამართლო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | transparency of judicial proceedings | სასამართლოს საფინანსო-საბიუჯეტო დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით.<br><br>სამართალწარმოების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაწყებულია მუშაობა გადაწყვეტილებებისა და სამართალწარმოების სტატუსის/ეტაპების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.<br><br>მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციური რეფორმის მესამე ტალღა ძალაში შევიდა 2017 წლის დასაწყისში.<br><br>გარდა ამისა, 2017 წლის 29 მაისს დამტკიცდა საერთო სასამართლოების სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგია და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წწ. სამოქმედო გეგმა.<br><br>*იხ. 117.75 - 117.77, 117.81, 118.19 - 118.21 რეკომენდაციები.* | |
| 118.20 | გამოასწოროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზები, რათა უზრუნველყოს, რომ მისი უფლებამოსილება სათანადოდ იყო გაწონასწორებული ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ბერკეტებით **(Eliminate** | შვედეთი | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): The third wave of judicial reform includes legislative | 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, კონსტიტუციამ გაითვალისწინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. კონსტიტუციური კანონის თანახმად, ანგარიშგების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.<br><br>სასამართლო სისტემის 2018 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მუშაობა დაწყებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის, | საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **existing gaps in the legislation governing the work of the High Council of Justice in order to make sure that its powers are balanced by adequate guarantees of transparency and accountability)** | | amendments to ensure and enhance transparency of the High Council of Justice by obliging it to publish at the Council's website information about its decisions, the dates and agenda of its sittings, and any other relevant information related to its activities. | მათ შორის, გადაწყვეტილების მიღების, დასაბუთების და გამოქვეყნების პროცედურების გაუმჯობესებაზე.<br><br>*დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. 118.19 რეკომენდაცია.* | |
| 118.21 | განაგრძოს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერება, რათა უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლოს უფლების პატივისცემა, მათ შორის გაზარდოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის მეთოდების, პროკურორების დანიშვნისა და სასამართლოში საქმეების განაწილების გამჭვირვალობა **(Continue strengthening the independence and impartiality of the** | შვეიცარია | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): The third wave of judicial reform includes provisions to introduce principle of computer-based random assignment of cases to judges. | სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის" ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი". აღნიშნულის საფუძველზე 2017 წლის 1 ივლისიდან საქმეთა ელექტრონული განაწილების პილოტური პროგრამა ამოქმედდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, 2017 წლის 31 დეკემბრიდან კი, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე - ყველა სხვა სასამართლოში.<br><br>იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის მეთოდების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია ისეთი წესების პრაქტიკაში დანერგვით, როგორიცაა: დაინტერესებული პირების, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების სხდომაზე მოწვევა, | საქართველოს უზენაესი სასამართლო<br><br>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **judiciary to ensure the right to a fair trial, including by increasing the transparency of the working methods within the High Council of Justice, the appointment of prosecutors and the allocation of court cases)** | | | სხდომათა აუდიო/ვიდეო ჩაწერა დაინტერესებული პირისთვის მიწოდება, საბჭოს საჯარო სხდომების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შიდა ქსელის - „intranet" - ის მეშვეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მეშვეობით საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე მოვლენებზე.<br><br>*დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. 118.19 და 118.20 რეკომენდაციები.* | |
| 118.22 | განამტკიცოს კანონის უზენაესობა - სასამართლო და სამართალდამცავი სისტემის დეპოლიტიზების გზით გაზარდოს სასამართლოს დამოუკიდებლობა და გამჭვირვალობა, ასევე გააძლიეროს ადამიანის უფლებების ხელყოფისა და დარღვევის შემთხვევათა გამოძიებაზე პასუხისმგებელი მექანიზმები **(Strengthen respect for the rule of law by promoting judicial independence and transparency through the depoliticization of the judiciary and law** | აშშ | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): See paras.118.19 to 118.21 | *იხ. 117.75 - 117.77, 117.81, 118.19 - 118.21 რეკომენდაციები.* | საქართველოს უზენაესი სასამართლო<br><br>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **enforcement authorities, and by strengthening mechanisms to investigate human rights abuses or violations)** | | | | |
| 118.23 | ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის რეკომენდაციების შესაბამისად განახორციელოს ზომები ადამიანის უფლებათა დარღვევების საქმეებზე მართლმსაჯულების სისტემის მიერ სამართლებრივი დევნისხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით, მათ შორის გააუმჯობესოს პროკურატურის დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა **(Take measures to support and strengthen prosecutions for human rights violations by the judiciary, with reference to the recommendations made by the Council of Europe Commissioner for Human Rights, including with respect to the strengthening of the independence and** | ბელგია | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): On September 18, 2015, the Parliament passed amendments to the law on Prosecution Service which were appraised by the Venice Commission and other international institutions as step in the right direction. Three brand new institutes were introduced to ensure depoliticization, independence and accountability of the prosecution service, including the Prosecutorial Council, the Conference of | საქართველოს პროკურატურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის, აგრეთვე, მისი ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, 2015 წლიდან ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანო-საპროკურორო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. საქართველოს მთავარი პროკურორი 6 თვეში ერთხელ ანგარიშით წარსდგება საპროკურორო საბჭოს წინაშე. საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა რაიონული და საოლქო პროკურატურების პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ამჟამად ხორციელდება პროკურორთა შეფასება. 2017 წლის ბოლოს კი, მთავარი პროკურორის ბრძანებითვე დამტკიცდა პროკურატურის გამომძიებელთა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები.<br><br>საქართველოს პროკურატურაში შექმნილია საკონსულტაციო საბჭო, რომელიც განიხილავს პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს. 2017 წელს ჩატარდა საკონსულტაციო საბჭოს 7 სხდომა და საბჭომ განიხილა საქართველოს პროკურატურის 243 მუშაკის საკითხი. 2017 წელს საკონსულტაციო საბჭოს გენერალური ინსპექციის მიერ წარედგინა სამსახურებრივი | საქართველო უზენაესი სასამართლო<br><br>საქართველოს პროკურატურა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **effectiveness of the Prosecutor's Office)** | | Prosecutors and the special *(ad hoc)* prosecutor to investigate crime allegedly committed by the chief prosecutor. The Prosecutorial Council consists of the prosecutors elected by their peers, as well as representatives of all the three branches of the government and civil society. The procedures for the appointment of and removal from office of the Chief Prosecutor were fundamentally improved to make the process open and transparent to the public. In particular, the chief prosecutor will be proposed by the Prosecutorial Council and will be elected by the Parliament. Further steps to reform the prosecution service **are being contemplated.** | შემოწმების დასკვნა პროკურატურის 21 მუშაკის მიმართ. საკონსულტაციო საბჭომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეწონილად მიიჩნია 17 მათგანის მიმართ, 4 მუშაკს კი მისცა რეკომენდაცია. 2017 წელს საკონსულტაციო საბჭოს წასახალისებლად წარედგინა 148 მუშაკი, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია 74 მუშაკის წახალისება. 2017 წელს საკონსულტაციო საბჭომ განიხილა 74 მუშაკის დაწინაურების საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია 18 მათგანის დაწინაურება. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 118.24 | გააძლიეროს მექანიზმები სასამართლო სისტემისა და სამართალდამცავი ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის მოსამართლეთა დანიშვნისა და პოლიციის ზედამხედველობის შესახებ წესების განხორციელების გზით **(Strengthen mechanisms to guarantee independence and impartiality of the judiciary and law enforcement institutions by implementing precise rules on judicial appointments and police oversight)** | კანადა | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Within the third stage of the reform of judiciary the rules on judicial appointments will be improved – the criteria for the appointment of judges will be determined on legislative level and the principle of open competition for every candidate will be introduced. Also please refer to paras. 118.19 to 118.21.** | *იხ. 117.75 - 117.77, 117.81, 118.19 - 118.21 რეკომენდაციები.* | საქართველოს უზენაესი სასამართლო<br><br>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| 118.25 | სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების სრულად განხორციელების გზით კიდევ უფრო გააუმჯობესოს | ლიტვა | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **The** | პატიმრობის კოდექსისა და „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 2 ნოემბრის №157 ბრძანებით გარანტირებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის უფლების შეუფერხებლად, ყოველგვარი | საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო<br><br>საქართველოს უზენაესი სასამართლო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მართლმსაჯულების სისტემა; აღნიშნული სტანდარტები მოიცავს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებას, შეხვდნენ ადვოკატს და დაცული იქნეს მათი კომუნიკაციის კონფიდენციალურობა, ასევე ყველა ადამიანისთვის, მათ შორის ქალებისა და უმცირესობის წარმომადგენლებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას **(Further improve the justice system by fully implementing international fair trial standards such as ensuring adequate access of lawyers to their detained clients and that confidentiality of communication between them is protected, to ensure access to justice to all persons, including women and minorities)** | | **Criminal Procedure Code ensures a fundamental right of every defendant to see his/her lawyer without any restriction. In 2013, the Parliament lifted a ban upon a defence lawyer to appeal the court's decision on pretrial detention without his/her client's approval, which ban used to compel the lawyers to get signatures from their clients in 48 hours available for appealing pretrial detention. In addition, Georgia has established a strong, professional and independent system of free legal aid and any defendant that cannot afford a lawyer by contract is able to use their services.** | შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე განხორციელება. | |
| 118.26 | ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, | შვეიცარია | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 | საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | შეძლებისდაგვარად სწრაფად დანერგოს ჩვენების მიცემის პროცესში დუმილის უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე **(Introduce as soon as possible the right to silence without restrictions when testifying, in accordance with its human rights international obligations)** | | წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Right of a defendant to silence and not to incriminate himself-herself and his/her close relatives is an established right under the Constitution and the Criminal Procedure Code.** **Similarly, no witness may be compelled to testify against himself/herself and his/her close relatives. Moreover, in December 2015, the Parliament passed amendments to the Criminal Procedure Code whereby it abolished a compulsory witness testimony to investigator or prosecutor. Instead, a voluntary witness interview was introduced as a basic rule. In exceptional cases, a witness may** | უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. აგრეთვე, სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. 2016 წლიდან ამოქმედდა მოწმეთა გამოკითხვის წესი, რომლის თანახმად ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოიკითხოს და დაუშვებელია, გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. გამომდინარე იქიდან, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედების ფაქტები, გამოძიებისათვის ინფორმაციის მიწოდება ნებაყოფლობითია. თუ მოწმე ნებაყოფლობით არ მიაწვდის ინფორმაციას საგამოძიებო ორგანოს, ასეთ შემთხვევაში იგი დაიკითხება მაგისტრატი მოსამართლის წინაშე და არა საგამოძიებო ორგანოში. | საქართველოს პროკურატურა<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | **be examined before a magistrate judge at the investigative stage.** | | |
| 118.27-<br>118.28-<br>118.29-<br>118.30-<br>118.31 | შექმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, გამოიძიოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები<br>**(Establish an independent investigation mechanism with the mandate to investigate alleged human rights violations committed by law enforcement officials)** | ნორვეგია<br>პოლონეთი<br>ესპანეთი<br>დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო<br>ბელგია | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **The Georgian legal framework ensures independent and effective investigation of the facts of torture and ill-treatment. All facts of alleged torture or other inhuman or degrading treatment is subject to immediate and thorough investigation conducted by the competent law enforcement authorities.**<br>**The commitment to establish thorough, transparent, independent and effective investigative mechanism is manifested in the EU-** | *იხ. 117.81 რეკომენდაცია.* | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | Georgia Association Agenda, the National Human Rights Strategy and the Action Plan, and reaffirmed in the newly adopted anti-torture action plan.<br>At the meeting (held on 18 May 2015) the council decided that the line ministries will thoroughly analyze the principles upon which the investigation mechanism can be based on. The comments of the relevant agencies were collected by the secretariat and the follow up meeting was held on 23 October 2015 to progress in reaching common ground and chart the way ahead. | | |
| 118.32 | შეიმუშაოს და შეასრულოს სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ზედამხედველობას, | დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო ბელგია | | *იხ. 117.7, 117.45, 117.46 და 117.49 რეკომენდაციები.* | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მათ გამოძიებას და პასუხისმგებელ პირთა დევნას, მათ შორის შესაბამისი უფლებამოსილებითა და რესურსებით აღჭურვოს სახალხო დამცველი, რათა მან მიიღოს ზომები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ<br><br>**(Develop and implement a strategy to monitor, investigate, and prosecute hate crimes, giving the Public Defender relevant powers and resources to take action against instigators of hate crime)** | | | | საქართველოს მთავარი პროკურატურა<br><br>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| 118.33 | უზრუნველყოს ბოშა უმცირესობის წარმომადგენლებისთვის დაბადების მოწმობებისა და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა **(Ensure the issuance of birth certificates and citizenship documents to the Roma minority)** | ნიგერია | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Since 2011 the Public Service Development Agency of the Ministry of Justice of** | *იხ. 117.87 რეკომენდაცია.* | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | Georgia has been implementing activities to promote registration of Roma population and ensure legal support to respective Roma people.<br>The Government of Georgia affirms that the State Strategy on Civic Equality and Integration and its respective Action Plan for 2015-2020 includes the activity such as undertaking appropriate measures for the documentation of persons without birth certificates and identity cards. | | |
| 118.34-118.35 | კიდევ უფრო გააღრმაოს მუშაობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით და დაიცვას რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელ პირთა უფლებები, მათ შორის მიიღოს ზომები რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების | იტალია<br>სომხეთი | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Having Accepted these recommendations, Georgia emphasizes that the Georgian** | რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში, ინტერ-რელიგიურ სათათბიროს ფორმატში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით, რელიგიური უმცირესობების ჩართულობით, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს პასუხისმგებელ უწყებებთან, ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რათა ეფექტურად მოხდეს ხელისშეწყობა კანონის განხორციელებისა და აღსრულებისათვის. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია<br><br>სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | წინააღმდეგ შეუწყნარებლობისა და სიძულვილის ენის ეპიზოდებთან დაკავშირებით და გადაჭრას რელიგიური უმცირესობის ჯგუფების ლოცვისა და ღვთისმსახურების ადგილებსა და საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები **(Strengthen efforts to promote freedom of religion or belief and to protect the rights of persons belonging to religious minorities, including by adopting measures both to address episodes of intolerance and hate speech against religious minorities and to solve outstanding issues related to the ownership and maintenance of places of worship and properties belonging to religious minority groups)** | | **State is not a legal successor of the Soviet Totalitarian regime and does not bear any legal obligation to restitute any damages caused by such and also, in the Georgian legislation there are no legal provisions or any base for restitution, accordingly the policy of the state will be implemented under it's discretion and in accordance with the standards recognized by international Human Rights Law.** | მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის ვალდებულება, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველო არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, საქართველოს სახელმწიფო რელიგიურ გაერთიანებებს უბრუნებს იმ საკულტო ნაგებობებს, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოს ფაქტობრივ საკუთრებაში აღმოჩნდა. სააგენტოს ბაზაზე არსებობს „რელიგიურ გაერთიანებათა ფინანსური და ქონებრივი საჭიროებების შემსწავლელი კომისია". კომისიის გადაწყვეტილებით, 2014 წლიდან დღემდე მუსლიმ თემს დაუბრუნდა 182 მეჩეთი საქართველოს მასშტაბით, როგორც სუნიტური, ასვე შიიტური; იუდეურ თემს - 20 სინაგოგა; ასევე ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას - 2, ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას, საქართველოს იეზიდურ თემს და საქართველოში არსებულ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს დაუბრუნდათ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობები. საკულტო ნაგებობების დაბრუნების პროცესი კვლავ გრძელდება.<br><br>*იხ. რეკომენდაციები 117.7, 117.45, 117.46 და 117.49.* | საქართველოს პროკურატურა |
| 118.36 | დამატებითი ზომები გაატაროს რელიგიის, გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების დასაცავად და | კორეის რესპუბლიკა | | რელიგიის თავისუფლების დასაცავად, რელიგიის სააგენტოს შექმნისთანავე გატარდა დამატებითი ზომები. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:<br>ა) მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო არ არის საბჭოთა რეჟიმის | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია<br><br>სსიპ - რელიგიის საკითხთა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | განაგრძოს ის პროგრესი, რომელიც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნითა და მაუწყებლობის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებებით დაიწყო **(Further develop measures to protect freedom of religion, expression and peaceful assembly and continue to build on the progress begun with the establishment of the State Agency for Religious Issues and the amendments to the Law on Broadcasting)** | | | სამართალმემკვიდრე, და შესაბამისად, საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ აქვს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების ფარგლებში, 4 რელიგიურ მიმდინარეობას - ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ, და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიურ გაერთიანებებს სიმბოლურად და ნაწილობრივ უნაზღაურებს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანს, რომელიც ხმარდება რელიგიური თემის განვითარებას, გამთლიანებას და ქვეყანაში მშვიდობიან თანაარსებობას (იხ. დანართი ცხრილის სახით N1).<br><br>ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები ღებულობენ ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.<br><br>ბ) მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის ვალდებულება, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველო არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, საქართველოს სახელმწიფო რელიგიურ გაერთიანებებს უბრუნებს იმ საკულტო ნაგებობებს, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოს ფაქტობრივ საკუთრებაში აღმოჩნდა. სააგენტოს ბაზაზე არსებობს „რელიგიურ გაერთიანებათა ფინანსური და ქონებრივი საჭიროებების შემსწავლელი კომისია“. კომისიის | სახელმწიფო სააგენტო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გადაწყვეტილებით, 2014 წლიდან დღემდე მუსლიმ თემს დაუბრუნდა 182 მეჩეთი საქართველოს მასშტაბით, როგორც სუნიტური, ასვე შიიტური; იუდეურ თემს - 20 სინაგოგა; ასევე ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას - 2, ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას, საქართველოს იეზიდურ თემს და საქართველოში არსებულ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს დაუბრუნდათ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობები. საკულტო ნაგებობების დაბრუნების პროცესი კვლავ გრძელდება.<br><br>რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში არის ცალკე რეგიონული საეთერო მაუწყებლობის ციფრულ რეჟიმში გავრცელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (მულტიპლექსპლატფორმები) და სურვილის შემთხვევაში, მათ საშუალება აქვთ გაავრცელონ საკუთარი სათემო მაუწყებლობა.<br><br>ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლებისა და მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლის 3 მაისიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო პროექტი ,,მრავალფეროვანი საქართველო“, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტეგრირებას პირველი არხის ქართულენოვან გადაცემებში. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ენებზე მზადდება დოკუმენტური მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპროდუქცია ითარგმნება ეთნიკური უმცირესობების ენებზე. საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ მზადდება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.<br><br>საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ პორტალზე 1tv.ge, „მრავალფეროვანი საქართველოს“ პროექტის ფარგლებში, 10-საათიანი უწყვეტი პირდაპირი ეთერით მაუწყებლობს აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ონლაინ რადიო-ტელევიზია.<br><br>2017 წლის 6 ნოემბრიდან ფუნქციონირებს საზოგადოებრივმა მაუწყებელის მიერ განახლებული თანამედროვე, მულტიმედიური, მობილურისთვის შექმნილი და დესკტოპზე ადაპტირებული, შვიდენოვანი ერთიანი საინფორმაციო ვებპლატფორმა 1 tv.ge, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ, რუსულ, ინგლისურ და ქართულ ენებზე, რომელიც გათვლილია მრავალფეროვან მომხმარებელსა და ინფორმაციის მიღების მრავალ მეთოდზე - კითხვა, მოსმენა, ყურება, ანალიზი და სხვ. 1tv.ge არის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პასუხი - კონტენტის წინ წამოწევა მრავალი არხის გაერთიანების საშუალებით. ვებ-პლატფორმაზე განთავსდა ის კონტენტი, რომელიც 10 სხვადასხვა საიტზე თუ ქვესაიტზე იყო მიმოფანტული. არსებულ საიტებზე განაწილებულმა სიახლემ თავი მოიყარა ახალ, ერთიან სივრცეში. ვებ-პორტალი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ქართული TTS (Text-to-speech) მოდული შეყვანილ ტექსტს აგენერირებს აუდიო ფორმატში, რითაც | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კონტენტს ხელმისაწვდომს ხდის მცირემხედველი მომხმარებლებისთვის. | |
| 118.37 | უზრუნველყოს გამოხატვის თავისუფლების პატივისცემა, კერძოდ, ხელი შეუწყოს მედიის პლურალიზმსა და დამოუკიდებლობას და შეურაცხყოფისა და თავდასხმებისაგან დაიცვას მთავრობის მიმართ კრიტიკული მედიასაშუალებები **(Ensure the right to freedom of expression, in particular through ensuring plurality and independence of the media as well as protection of media outlets critical to the Government from harassment and attacks)** | ჩეხეთის რესპუბლიკა | | იხ. რეკომენდაცია 117.95. | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია |
| 118.38 | განახორციელოს კონკრეტული ზომები პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში ქალთა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მონაწილეობის გაძლიერების | გერმანია | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Georgia** | საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), ხელმძღვანელობს რა 2016 წლის 2 სექტემბერს დამტკიცებული „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის" დოკუმენტით, თავის ყველა პოლიტიკასა და საქმიანობას წარმართავს გენდერული ასპექტების გათვალისწინებით (gender mainstreaming). გენდერული თანასწორობის პოლიტიკა უზრუნველყოფილია ბიუჯეტით, რაც გამოიხატება საგრანტო კონკურსების | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია<br><br>საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ხელშეწყობის მიზნით (Adopt concrete measures to encourage stronger participation by women and ethnic minorities in political decision-making processes) | | will take efforts to encourage a stronger participation of women and ethnic minorities in political decision-making processes. The Working Group on Ethnic Minority Issues within the Central Election Commission of Georgia ensures equal and active participation of ethnic minorities in the elections processes. Currently, 8 ethnic minority persons are represented in the Georgian Parliament. The representation of ethnic Armenians in Samtskhe-Javakheti region and of ethnic Azerbaijanis in Kvemo Kartli region councils is proportional to the percentage of the population in those regions. The new Civic Integration Strategy envisages specific activities in the area of | დაფინანსებისას ერთ-ერთ მიმართულებად „ქალთა გაძლიერებისა და მონაწილეობის ხელშეწყობის“ განსაზღვრაში (2016-2017 წწ).<br><br>2014 წლიდან ცესკო სისტემატურად ამუშავებს და აქვეყნებს არჩევნებთან დაკავშირებულ სტატისტიკურ ინფორმაციას გენდერულ ჭრილში (gender disaggregated statistics), რომელიც განთავსებულია ცესკოს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.<br><br>საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა სახის საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია მოდული არჩევნებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე.<br><br>გენდერული თანასწორობის საკითხებზე სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს (კომისიის თავმჯდომარე; კომისიის მდივანი) და გაიმართა რეგიონებში დისკუსია გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით.<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (2014, 2017) და საპარლამენტო (2016) არჩევნების წინ პოტენციური კანდიდატი ქალების გასაძლიერებლად ცესკომ ჩაატარა სპეციალური ტრენინგები საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით.<br><br>2015 წელს ცესკომ ევროსაბჭოს ვენეციის კომისიასთან თანამშრომლობით გამართა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი<br><br>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | **improving participation of ethnic minorities in political decision making. They include: creation of a special working group on ethnic minorities' political participation within the State Inter-agency Commission; consultations with international organizations and experts on best practices on minorities' political participation in the European countries; active interaction/cooperation with the political parties (experience sharing), awareness-raising campaign on political participation of ethnic minorities in the society.** | „გენდერული თანასწორობა საარჩევნო პროცესებში“.<br><br>პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია ასახულია რეკომენდაციაში 117.103.<br><br>სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და მათი საჭიროებების შესწავლა. სამოქმედო გეგმის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები და ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავს ქალთა მონაწილეობის გაუმჯობესებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში.<br><br>2016 წლის მოწვევის პარლამენტში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 7 წევრია. გენდერული თანასწორობის საბჭოს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და საჯარო შეხვედრები მუდმივად იმართება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.<br><br>*იხ. ასევე რეკომენდაცია 117.37 და 117.100.* | |
| 118.39 | განაგრძოს სოციალური დიალოგის გაძლიერება, უზრუნველყოს მუშახელის ეკონომიკური | გერმანია | | ჩატარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 3 სხდომა და შეიქმნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი (გაიმართა 9 შეხვედრა). 2017 წლის 2 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის N1331-Iს | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უფლებების ადეკვატური ხელშეწყობა და დაცვა, მაგალითად, შრომის ინსპექტირების ქმედითი მექანიზმის შექმნის გზით, რომელსაც აღსრულების ბერკეტებიც ექნება **(Continue efforts to enhance social dialogue, as well as to ensure adequate protection and promotion of economic rights of the labour force, e.g. through the establishment of an efficient labour inspection mechanism with executive powers)** | | | დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა „შრომის საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სამმხრივი კონსულტაციების შესახებ" შრომის საერთაშორისო კონფერენციის სამოცდამეერთე სესიაზე (ჟენევა, 1976 წლის 21 ივნისი) მიღებული №144 კონვენცია.<br><br>აჭარის მთავრობის მიერ დამტკიცდა აჭარის რეგიონში სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულება (2018 წლის 24 აპრილს).<br><br>შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2015 - 2017 წლებში შემოწმებულია 334 კომპანიის 585 ობიექტი.<br><br>2018 წლის პირველ კვარტალში შემოწმდა 18 კომპანია. 2015-2017 წელს შემოწმებულ ორგანიზაციებში გაიცა 6460 წერილობითი რეკომენდაცია. მიუხედავად რეკომენდაციების ნებაყოფლობითი ხასიათისა, ობიექტების 67%-მა ნაწილობრივ მოახდინა რეაგირება, 14%-მა კი სრულყოფილად შეასრულა გაცემული რეკომენდაციები.<br><br>„შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამას" პილოტურ რეჟიმში დაემატა შრომითი უფლებების შემოწმების კომპონენტი.<br><br>2018 წლის 21 მარტს ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ". კანონი დაარეგულირებს დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. კანონი ითვალისწინებს საზედამხედველო ორგანოს მიერ საწარმოების შემოწმებას და ნორმების დარღვევის შემთხვევაში სანქცირების მექანიზმებს. | |
| 118.40 | განაგრძოს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა თითოეული ადამიანისთვის უსაფრთხო სასმელი წყლისა და კანალიზაციის უზრუნველყოფის მიმართულებით, მათ შორის შესაბამის ინფრასტრუქტურულ მომსახურებაში ადეკვატური ინვესტიციების განხორციელების გზით **(Continue taking steps to ensure the full realization of the right to safe drinking water and sanitation for all, including through adequate investment in the relevant services infrastructure)** | ეგვიპტე | | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია მისი კომპეტენციის შესაბამისად მუნიციპალიტეტებში განაგრძობს ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას სასმელი წყლისა და კანალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 118.41 | გამოყოს აუცილებელი რესურსები ჯანდაცვის სისტემის 2014-2020 წლების სტრატეგიის წარმატებით შესასრულებლად, რომელიც მიზნად ისახავს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერებას **(Allocate the resources necessary for the successful realization of the Strategy of the Health Protection System 2014-2020, which is aimed at strengthening maternal and child health)** | ბელორუსი | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Strengthening material and child health is one of the main priorities of the Social-Economic Development Strategy of Georgia "Georgia 2020" adopted on 17 June 2014 by the Georgian Government** | საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფციის ერთ-ერთ პრიორიტეტს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა წარმოადგენს.<br><br>2017 წელს შემუშავდა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია, რომელიც მომავალი 14 წლის განმავლობაში განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას როგორც დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის, ასევე, ოჯახის დაგეგმვის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით.<br><br>2017 წლიდან ამოქმედდა დედიდან შვილზე სქესობრივად გადამდები დაავადებების ელიმინაციის ღონისძიებები.<br><br>მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წელს დაიწყო და 2017 წელს დასრულდა პერინატალური სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებათა რეგიონალიზაციის პროცესი.<br><br>აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და სერვისების სწორი დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, 2016 წელს ამოქმედდა ე/წ. „დაბადების რეგისტრი". | საქართველოს, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |
| 118.42-118.43 | უზრუნველყოს, რომ არსებობდეს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები, მათ შორის | დანია<br>ბრაზილია | | ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია, რომელიც | საქართველოს, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | აბორტი და კონტრაცეფციის სერვისები, ისევე, როგორც მათ შესახებ ინფორმაცია, და ეს სერვისები ფიზიკურად თუ ფინანსურად ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ქალისა თუ გოგონასთვის, განსაკუთრებით სოფლებში და მოწყვლად ჯგუფებს შორის **(Take steps to ensure that sexual and reproductive health services, including abortion and contraception services and information, are available, accessible and affordable to all women and girls, especially in rural areas and among vulnerable groups)** | | | განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას როგორც დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის, ასევე, ოჯახის დაგეგმვის, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით.<br><br>შეიქმნა აბორტის სარეგულაციო მექანიზმების განახლებული პაკეტი, რომელიც მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს: ,,ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანებას; ,,აბორტის პროცედურა“ - პროტოკოლის პაციენტის ვერსია, რომელიც უშუალოდ პაციენტისთვისაა განკუთვნილი და მის სრულ ინფორმირებულობას ემსახურება. აბორტის შედეგად გართულებული შემთხვევების დაფინანსება ხდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან.<br><br>გაეროს მოსახლეობის ფონდის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ორგანიზებით, 2016-2017 წლებში ჩატარდა გადამზადების 6 ციკლი თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის. სულ სწავლება გაიარა 138 ექიმმა და ექთანმა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების, ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების, აბორტის, ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის დროს მოვლის, მკურნალობისა და რეფერალის საკითხებზე. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 118.44 | შეიმუშაოს და შეასრულოს განათლების ხარისხის ზედამხედველობის ეროვნული სტანდარტები და მექანიზმები **(Put in place and implement national standards and mechanisms to monitor the quality of education)** | ომანი | | 2017 წელს მომზადდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გარე ხარისხის მექანიზმების შემუშავების კონცეფცია, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულ მხარეების ჩართულობით მომზადდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების პროექტი. მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი ითვალისწინებს ადაპტირებული გარემოს არსებობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.<br><br>2017 წელს მომზადდა პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ადაპტირებული გარემოს არსებობას შშმ პირებისთვის. კერძოდ, შშმ პირს შეუძლია შენობაში თავისუფლად ორიენტაცია და გადაადგილება (მაგ: პანდუსები, ლიფტი და სხვ.), სულ მცირე, წვდომა აქვს პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.<br><br>2016 წელს დაიწყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შემუშავება, რის შედეგადაც, 2017 წლის მაისში დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები.<br><br>2017 წელს დაიწყო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ახალი სტანდარტების შემუშავება, რის შედეგადაც 2018 წლის იანვარში დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები. განახლებული ავტორიზაციის სტანდარტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეკისრებათ ვალდებულება, შეიმუშავონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და უზრუნველყონ ინფრასტრუქტურის ადაპტაცია მათი საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე, ხელი შეუწყონ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესისა და გარემოს განვითარებას.<br><br>დამატებით იხ. 117.106 და 117.107 რეკომენდაციები. | |
| 118.45 | უზრუნველყოს განათლების ყველა დონეზე სრული სასკოლო დასწრება ბავშვებისთვის, რომლებიც სოციალურად დაუცველ და მარგინალიზებულ ჯგუფებს | პორტუგალია | | „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“ ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს ზრუნვის სერვისებში მყოფი ფორმალურ განათლებაში ჩართული 80-მდე მოსწავლიდან უმრავლესობა ახლაც აგრძელებს სკოლაში სიარულს და შემცირებულია მათი მხრიდან სკოლის მიტოვების შემთხვევები | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მიეკუთვნებიან (**Ensure full-time school attendance at all levels to children belonging to disadvantaged and marginalized groups)** | | | (აღნიშნული მოსწავლეები 2016 წელს იქნენ ჩართული ფორმალურ განათლებაში).<br><br>განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ზოგადი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლებისა და „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისათვის საქართველოში“ ქვეპროგრამის ფარგლებში შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებულ დღის ცენტრებში 2017 წელს განხორციელდა საგანმანათლებლო ტრანზიტული პროგრამის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები ხელმისაწვდომი იქნება 2017 წლის ბოლოს.<br><br>იმისათვის რომ მოწყვლადი ჯგუფებისათვის უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა (ასევე დასწრების გაუმჯობესება) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მიერ შშმ პირებისათვის შეთავაზებულია ტრანსპორტირების სერვისი. ასევე, დევნილი პროფესიული სტუდენტებისათვის ანაზღაურდება ტრანსპორტირების ხარჯები. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო აქტიურად მუშაობს სტუდენტური საერთო საცხოვრებლების განვითარების მიმართულებით. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 118.46 | ხელი შეუწყოს გოგონების მიერ სასკოლო დასწრებას და აღმოფხვრას ყველანაირი დაბრკოლება, რაც მათ განათლების მიღებაში ხელს უშლის, მათ შორის გააუქმოს მოქალაქეობის მოთხოვნა სკოლაში მეცხრე კლასის შემდეგ სწავლისთვის **(Encourage school attendance of girls and remove all obstacles to their access to education including the citizenship requirement beyond the ninth grade)** | ჯიბუტი | აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Implemented. According to the Georgian legislation, general education is accessible for all regardless of citizenship. The Ministry also undertakes all necessary steps to encourage school attendance of girls.** | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა ჩარიცხვისა და ზოგადი განათლების მიღების პროცედურები მოწესრიგებულია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს N675 ბრძანებით და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით. აღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები არ ითვალისწინებს სკოლაში მეცხრე კლასის შემდეგ სწავლის გაგრძელებისთვის მოქალაქეობის მოთხოვნას. | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| 118.47 | განახორციელოს შესაბამისი ზომები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ გოგონათა მიერ განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, რათა შეამციროს სწავლის მიტოვების შემთხვევების მაჩვენებელი **(Adopt measures that are** | კოლუმბია | | ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლამდელი განათლების დაწესებულებების კადრების გადამზადების მხარდაჭერის მიზნით, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონების (ნინოწმინდის, ახალციხის, მარნეულის და თელავის (სოფ. ყარაჯალა) მუნიციპალიტეტებში) სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და აღმზრდელებს შესაძლებლობა აქვთ, | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **considered relevant to promote learning support for girl children from ethnic minorities in order to reduce the dropout rate)** | | | ისარგებლონ სახელმწიფო ენის სწავლების უფასო პროგრამით.<br>2014 წელს სამინისტრომ განახორციელა კვლევა იმ გარემოებების გამოსავლენად, რაც ხელს უშლის სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს პროფესიული განათლების დაუფლებაში. კვლევის სამიზნე ჯგუფებს შორის წარმოდგენილი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. კვლევამ გამოავლინა, რომ ენობრივ ბარიერთან ერთად ერთ-ერთ ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენს ოჯახური ნორმები, წესები და დამოკიდებულებები (განსაკუთრებით გოგონების/ქალების განათლებასთან მიმართებაში), რაც მათი დასწრების მაჩვენებელზე უარყოფითად აისახება. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ახალი ლოკაციების განვითარებას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.<br><br>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2016 წლიდან ხორციელდება სახელმწიფოში არსებულ მიუსაფარი ბავშვების (ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების) ყველა სერვისში ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა.“ | |
| 118.48 | ხელი შეუწყოს კულტურული და რელიგიური | მექსიკა | შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ | 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „კულტურის სტრატეგია 2025“. სტრატეგიის შემუშავების პროცესი | საქართველოს კულტურისა და |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უმცირესობების სრულფასოვან ინკლუზიას ყველა სფეროში და უზრუნველყოს მათთვის წვდომა განვითარებაზე **(Promote the inclusion on all fronts of cultural and religious minorities and guarantee their access to development)** | | ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **The main strategic goals of civic equality and integration state strategy are as follows:**<br>**• Representatives of ethnic minorities participate equally and fully in the civic and political life;**<br>**• Equal social and economic conditions and opportunities are created for ethnic minority representatives;**<br>**• Representatives of ethnic minorities have access to high quality education at all levels and the level of the state language knowledge is improved;**<br>**• Culture of ethnic minorities is preserved and tolerant environment is encouraged.**<br><br>**Various programs, projects and activities** | გამოირჩეოდა სრული გამჭვირვალობითა და საზოგადოების მასშტაბური ჩართულობით, შეხვედრები ასევე შედგა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან და გათვალისწინებულ იქნა მათი რეკომენდაციები. სტრატეგიის დოკუმენტით პირველად განისაზღვრა კულტურის სფეროში სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკა, რომლის აღსრულების სამოქმედო გეგმაშიც თავმოყრილია, როგორც საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასევე სხვა სამინისტროების პრიორიტეტული ამოცანები კულტურის სფეროში. სტრატეგიის მე-2 მიზანი კი მთლიანად ითვალისწინებს სახელმწიფოს ხელშეწყობას იმისათვის, რომ კულტურა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების ყველა წევრისთვის და ამასთანავე უზრუნველყოფილი იყოს კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება. მიზნის შესაბამისად 2018 წლიდან სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსებში უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები. სამინისტროს საქმიანობა მოიცავს, როგორც ეთნიკური ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, შენარჩუნების, რეაბილიტაციისა და დაცვის ღონისძიებებს, ასევე მათი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობას. სამინისტროს მხრიდან ყოველწლიურად ხორციელდება 3 თეატრის და 3 მუზეუმის საქმიანობის ხელშეწყობა, სადაც შემოქმედებითი საქმიანობა მიმდინარეობს მათივე ენებზე, ასევე ფინანსდება თემატური პროექტები. ეს პროექტები მოიცავს, როგორც თარგმანებისა და | სპორტის სამინისტრო<br><br>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი<br><br>სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | **are planned and implemented in order to accomplish the abovementioned goals.** | გამოცემების ხელშეწყობას, ასევე ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას.<br><br>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით წელიწადში ორ ჯერ იმართება მულტიკულტურული მუსიკალური ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ეთნიკური ქართველი და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომაგენელი ახალგაზრდები.<br><br>მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მათი ჩართულობის გასაძლიერებლად სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შექმნილია მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და ღონისძიებებს.<br><br>2016-2017 წწ. *სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის* ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა ბოშა მოსახლეობაში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას, საგანმანათლებლო სივრცეში ბოშათა ჩართულობის ხელშეწყობას, რის შედეგადაც | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს 300-მდე ბოშა მოზარდი. ქვეპროგრამის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები, მომზადდა საკონფერენციო პრეზენტაციები. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და სოციალიზაციის მიზნით განხორციელდა არაერთი პროექტი, არაფორმალური განათლების გზით ხელი შეეწყო საგანმანათლებლო გარემოში ბოშების ჩართულობას. 2017 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტრომ განაგრძო ბოშათა რეგისტრაციის პროცესი. გატარდა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და ასევე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით.<br><br>გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული). ინფორმაცია აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების შესახებ ასევე ასახულია 117.103 რეკომენდაციაში.<br><br>რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში ფუნქციონირებს ინტერ-რელიგიური სათათბირო, რომელიც ხელს უწყობს რელიგიური ორგანიზაციების დიალოგს და მათ ჩართულობას სხვადასხვა უწყებებში. სხვადასხვა კონფესიების ძალისხმევით გააქტიურება ძალადობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ - შედგა და ხელი მოეწერა საქართველოს რელიგიურ გაერთიანებათა და | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ერთობლივ დეკლარაციას - „ქალი მშვიდობის დესპანი“. ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა კონფერენცია - „ინტერ-რელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“. კონფერენციამ მიიღო ერთობლივი დეკლარაცია, რომლითაც საქართველოში არსებულმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემით მარადიულ ღირებულებებს. დაგმობილ იქნა ყოველგვარი ძალადობა და აღნიშნული იქნა, რომ რელიგიური ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ რელიგიური ჯგუფების მშვიდობიან თანაარსებობას კავკასიის რეგიონში და ამით ხელი შეუწყონ მრავალფეროვანი მსოფლიოს შენარჩუნებას. | |
| 118.49 | უზრუნველყოს სასკოლო სახელმძღვანელოების არსებობა ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენებზე **(Ensure the availability of textbooks in their mother tongue for the national minorities)** | სომხეთი | | ამჟამად მიმდინარე I-VI კლასების სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესის დასრულებისას, განისაზღვრება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.<br><br>2018-2019 სასწავლო წლიდან იწყება ახალი სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების დანერგვა, თავდაპირველად I-VI კლასებში.<br><br>არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის/მასწავლებლებისათვის განხორციელდება შესაბამისი სახელმძღვანელოების თარგმნა. | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| 118.51 | მიიღოს ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა, რომელიც დააჩქარებს თურქი მესხების | თურქეთი | შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა | საქართველომ სრულად შეასრულა ყველა ვალდებულება, რომელიც მან 1999 წელს ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აიღო მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან გადასახლებული პირების რეპატრიაციის | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რეპატრიაციის პროცესს, მათ შორის, ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას და გაითვალისწინებს მათი ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროებებს **(Adopt a comprehensive action plan to accelerate the repatriation process of Meskhetian Turks, including measures to facilitate their integration and taking into account the educational needs of their children)** | | კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Georgia cannot accept the term “Meskhetian Turks” mentioned in Recommendations 118.51 and 118.52. The commitments undertaken by the Government with the accession to the Council of Europe, indicates the term Meskhetian population, since the majority of people who were forcefully sent into exile from Samtskhe-Javakheti, Georgia by the USSR in 1944 were Georgians by ethnicity, among whom there were Muslim Meskhetians, Turks, Khemshils, Kurds, Kharapapakhs, Tarakans, Roma People, as well as Muslim Georgians settled from Adjara, Georgia to Meskheti, Georgia in 1930s. Hence, it is not appropriate to use the** | ვალდებულების ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნულის დასტურია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საქართველოს საკითხზე თანამომხსენებლების საინფორმაციო ცნობა. კერძოდ:<br><br>2017 წლის 26 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „ასამბლეის მონიტორინგის პროცედურების პროგრესის შესახებ“. რეზოლუციით ასამბლეა მიესალმება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს და დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის მხრიდან ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის ვალდებულების შესრულების კუთხით გაწეული სამუშაოს.<br><br>2017 წლის ივნისში საპარლამენტო ასამბლეის საქართველოს საკითხზე თანამომხსენებლების საქართველოში ვიზიტის შემდეგ მომზადდა საინფორმაციო ცნობა, რომელშიც პოზიტიურადაა შეფასებული ის ძალისხმევა, რაც საქართველოს მთავრობამ გასწია აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად. კერძოდ, ხაზგასმულია, რომ საქართველოს მთავრობამ შექმნა შესაბამისი კანონმდებლობა რეპატრიაციისთვის და არაერთხელ გადაიხედა კანონმდებლობა რეპატრიაციის პროცესის გამარტივებისთვის (განცხადებების მიღების ვადის გადავადება, სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გამოსვლის შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის გახანგრძლივება). საინფორმაციო ცნობაში | იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | **term “Meskhetian Turks”.**<br>**The drafting process of the Action Plan of the adopted “State strategy of Repatriation of Persons forcefully sent into exile from the SSRG by the Former USSR in the 40’s of the 20th Century” has been completed, going inter-institutional processes and will be presented to the Government for the approval in near future.** | აღნიშნულია ასევე, რომ რეპატრიაციის თანხმლები პრაქტიკული ბარიერების ნაწილი საქართველოს მთავრობის კომპეტენციას სცდება (მაგ.: აზერბაიჯანის მოქალაქეობის დატოვებასთან დაკავშირებული სირთულეები). შესაბამისად, საინფორმაციო ცნობაში ხაზგასმულია, რომ საპარლამენტო ასამბლეა არ უნდა დაელოდოს თითოეული რეპატრიანტის დაბრუნებას იმისათვის, რომ ქვეყანას ჩაეთვალოს ვალდებულება შესრულებულად.<br><br>2017 წლის ნოემბერში საპარლამენტო ასამბლეის საქართველოს საკითხზე თანამომხსენებლების საქართველოში ვიზიტის შემდეგ მომზადდა კიდევ ერთი საინფორმაციო ცნობა (გამოქვეყნდა 2018 წლის 26 იანვარს). ცნობაში აღნიშნულია, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი და თანმიმდევრული პროგრესი დააფიქსირა ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით და შესანიშნავად თანამშრომლობს ევროპის საბჭოსთან.<br><br>*ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ:*<br><br>რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცესი დასრულებულია. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განხილულ იქნა რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა განაცხადები და მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები. ჯამში, საქართველომ მიიღო 5841 განაცხადი 8900 პირისათვის (მათ | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შორის 3059 მოზარდისთვის). ამჟამად რეპატრიანტის სტატუსი მინიჭებული აქვს 1998 პირს, მათგან 494-მა პირმა (აზერბაიჯანის მოქალაქეები) უკვე მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა დღემდე გრძელდება. საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 23 აგვისტოს №209 ბრძანებულებით, რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გამოსვლის შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენის 2 წლიანი ვადა გაგრძელდა 5 წლამდე.<br><br>დღეისათვის ჩამოსახლებულია 27 რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირი, მათგან 23 არის სრულწლოვანი, ხოლო 4 არასრულწლოვანი. საქართველოს პირობადებული მოქალაქეობა მინიჭებული აქვს 9 სრულწლოვან პირს. | |
| 118.53 | უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფრო მეტი ჩართულობა იმ პროექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე, განსაკუთრებით კი სათანადო საცხოვრისის ხელმისაწვდომობაზე **(Ensure greater participation of internally** | ესპანეთი | შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Implemented. The Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia closely cooperates** | იძულებით გადაადგილებულ პირებს და ეკომიგრანტებს აქვთ საშუალება თვითონ აირჩიონ კონკრეტული საცხოვრებელი ან რეგიონი, სადაც სურთ განსახლება. დევნილები და ეკომიგრანტები სამინისტროსგან მიღებულ საცხოვრებლებს კერძო საკუთრებაში იღებენ. სამინისტროში არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მონიტორინგს უწევს დევნილთა სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან დევნილთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები.<br><br>დევნილთა მინისტრი, მინისტრის მოადგილეები და შესაბამისი დეპარტამენტის | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **displaced persons in decision-making related to projects affecting them, particularly those concerning access to adequate housing)** | | **with international and local non-governmental organizations working on IDP issues, as well as the Public Defender's Office. With their active involvement, the commission established within the Ministry makes the decisions on the DHS for IDPs and elaborates on legal regulations. Every major decision or a launch of a project is preceded by consultations with initiative groups of IDPs in different regions.** | თანამშრომლები მუდმივად მართავენ შეხვედრებს ბენეფიციარებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან როგორც თბილისში, ისე რეგიონებში არსებულ ჩასახლებებში. გარდა ამისა, ადგილზე მუშაობენ და მათ შეკითხვებს ყოველდღიურ რეჟიმში პასუხობენ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლები.<br><br>სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც დევნილთა მიმართულებით მუშაობენ. სამინისტროში ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილების მიღებასა თუ პროექტის დაწყებას წინ უძღვის კონსულტაციები საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა რეგიონში არსებულ დევნილთა საინიციატივო ჯგუფებთან. ასევე, რეგულარულად ტარდება დევნილთა გამოკითხვები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხდება დევნილთა ინტერესების გათვალისწინება.<br><br>დაცულია დევნილების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უფლება გრძელვადიანი განსახლების პროცესში და დევნილებისთვის პროგრამების შემუშავების დროს აქცენტი კეთდება ისეთ პროგრამებზე, რომლებიც ითვალისწინებს დევნილების ჩართულობას. მაგალითად, საცხოვრებლების შესყიდვის პროექტის ფარგლებში დევნილები თავად არჩევენ სახლს და სამინისტრო ეხმარება დევნილებს შერჩეული სახლების შესყიდვაში. | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ეკომიგრანტების შემთხვევაში, სამინისტროში მოქმედ „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის“ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ყველა ის ძირითადი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ეკომიგრანტთა უფლებების დაცვის საკითხებზე, გარდა ამისა ამავე კომისიის მუშაობაში ჩართულია სახალხო დამცველის აპარატი, რომელიც ასევე აქტიურად მუშაობს ეკომიგრანტთა საკითხებზე.<br><br>ეკომიგრანტებისთვის შეიქმნა ელექტრონული ბაზა, რაც ინტეგრირდა და უკვე დანერგილია იუსტიციის სამინისტროში. ბაზების ინტეგრირების მიზანია, რომ ეკო-მიგრანტებისთვის, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში მაცხოვრებელ ეკო-მიგრანტებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა არსებულ სერვისებზე. შედეგად, ეკო-მიგრანტებს იუსტიციის სახლებში და საზოგადოებრივ ცენტრებში შეუძლიათ სამინისტროს სერვისების მიღება.<br><br>მიმდინარე წელს ანალოგიური სერვისის შეთავაზება იგეგმება დევნილებისთვისაც. შეიქმნება განსახლების პროგრამების მიხედვით დევნილი ოჯახების მიერ შევსებული განაცხადების ერთიანი ელექტრონული ბაზა, რაც აღნიშნული პროგრამების მართვის ხარისხს გააუმჯობესებს; დევნილებს საშუალება ექნებათ სამინისტროს საიტზე პირადი ნომრის მითითების შემდეგ შეამოწმონ და ინფორმაცია მიიღონ საკუთარი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | განაცხადების განხილვის ყველა ეტაპის შესახებ და განაცხადის შეფასების შესახებ. აღნიშნული გაზრდის დევნილთა ინფორმირებულობის ხარისხს და სამინისტროს სერვისები ზევრად უფრო ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს რეგიონებში. | |
| 118.54 | გააძლიეროს იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვა, მათ შორის იძულებით გამოსახლებისგან დაცვით და მათ მიერ დაკავებულ სივრცეებთან დაკავშირებული იურიდიული საკუთრების საკითხების მოგვარებით **(Strengthen protection of the economic and social rights of internally displaced persons, including by protecting against unlawful evictions and resolving issues related to legal ownership of living spaces currently inhabited by internally displaced persons)** | კანადა | შესრულებასთან დაკავშირებით 2016 წელს საქართველომ ადამიანის უფლებათა კომიტეტს აცნობა შემდეგი (იხ. დანართი): **Implemented. Unlawful and forced eviction of IDPs is prohibited and protected by the Georgian legislation. All evictions carried out in 2013-2015 are voluntary and all IDP families concerned are maximally informed and all evicted families are provided with alternative housing solutions.** | დევნილები არიან იძულებით გამოსახლებისგან დაცულები. ამასთან ერთად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს დევნილთა განსახლების მიმართულებით. საქართველო ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქვეყნიდან, სადაც დევნილებისთვის საცხოვრებელის კერძო საკუთრებაში გადაცემის პრაქტიკა არსებობს. სამინისტრომ განახორციელა დევნილთა მართლზომიერი მფლობელობაში არსებული საცხოვრებლის კერძო საკუთრებაში გადაცემის პროექტი. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. აღსანიშნავია რომ ისევე როგორც დევნილები, ეკომიგრანტები იღებენ საცხოვრებელს კერძო საკუთრებაში. განსახლება ხდება იქ, სადაც ისინი ინტეგრირდნენ. გრძელვადიანი განსახლების პროცესი სპეციალურად შემუშავებული პროცედურების და კრიტერიუმების მიხედვით მიმდინარეობს.<br><br>განსახლების გარდა, სამინისტრო დევნილთა მოწყვლად ჯგუფებს უწევს ფინანსურ დახმარებას. დახმარება მოიცავს ერთჯერად გრანტებს და ბინის ქირის დაფარვას. სამინისტროსთვის ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია დევნილთა თვითრეალიზება საზოგადოებაში. ამ მიმართულებით, | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სამინისტრომ მიიღო დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს დევნილთა ჩართვას სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში, როგორიცაა პროფესიული განათლების და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები.<br><br>დღევანდელი მდგომარეობით სულ საცხოვრებელი ფართი კერძო საკუთრებაში გადაეცა 28,032 დევნილ ოჯახს.<br><br>რაც შეეხება ეკომიგრანტებს, 2016-17 წლებში ჯამში 474 ეკომიგრანტ ოჯახს გადაეცა საკუთრებაში მათ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი, ხოლო 396 ოჯახისთვის მოხდა ალტერნატიული საცხოვრებელი სახლის შესყიდვა. გარდა ამისა, ამავე პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო პროგრამის ფარგლებში დამატებით 249 ოჯახი განსახლდა ალტერნატიულ საცხოვრებელ სახლში.<br><br>იხ. ასევე რეკომენდაციები 117.117 და 117.119. | |

დანართი 1.

| | 2014 წელი | 2015 წელი | 2016 წელი | 2017 წელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| მუსლიმი თემი | 1 100 000 | 2 200 000 | 2 750 000 | 2 750 000 | 8 800 000 |
| რომაულ-კათოლიკური თემი | 200 000 | 400 000 | 550 000 | 550 000 | 1 700 000 |
| სომხური სამოციქულო თემი | 300 000 | 600 000 | 800 000 | 800 000 | 2 500 000 |
| იუდეური თემი | 150 000 | 300 000 | 400 000 | 400 000 | 1 250 000 |
| სულ | 1 750 000 | 3 500 000 | 4 500 000 | 4 500 000 | 14 250 000 |

*თანხები მოცემულია ლარში